

ინგა ფრანგიშვილი

საბრუნავი კაპიტალის მენეჯმენტის სრულყოფის
მიმართულებები საქართველოს მრეწველობაში

წარმოდგენილია დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
თბილისი, 0175, საქართველო
თვე, წელი 2012

საავტორო უფლება © 2012 ინგა ფრანგიშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერი ვადასტურებთ, რომ გავაცანით ინგა ფრანგიშვილის მიერ შესრულებულ სადისერტაციო ნაშრომს დასახელებით: “საბრუნავი კაპიტალის მენეჯმენტის სრულყოფის მიმართულებები საქართველოს მრეწველობაში” და ვაძლევთ რეკომენდაციას საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოში მის განხილვას დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

თარიღი

ხელმძღვანელი: გოდერძი ტყეშელაშვილი

რეცენზენტი: გელა წიკლაური

რეცენზენტი: გოჩა ამყოლაძე

რეცენზენტი:

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

წელი 2012

ავტორი: ინგა ფრანგიშვილი

დასახელება: საბრუნავი კაპიტალის მენეჯმენტის სრულყოფის მიმართულებები საქართველოს მრეწველობაში

ფაკულტეტი : სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის

ხარისხი: დოქტორი

სხდომა ჩატარდა: თარიღი

ინდივიდუალური პიროვნებების ან ინსტიტუტების მიერ შემოთმთმყვანილი დასახელების დისერტაციის გაცნობის მიზნით მოთხოვნის შემთხვევაში მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს.

ინგა ფრანგიშვილი

ავტორის ხელმოწერა

ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საგამომცემლო უფლებებს და არც მთლიანი ნაშრომის და არც მისი ცალკეული კომპონენტების გადაბეჭდვა ან სხვა რაიმე მეთოდით რეპროდუქცია დაუშვებელია ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ავტორი ირწმუნება, რომ ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცული მასალებზე მიღებულია შესაბამისი ნებართვა (გარდა ის მცირე ზომის ციტატებისა, რომლებიც მოითხოვენ მხოლოდ სპეციფიურ მიმართებას ლიტერატურის ციტირებაში, როგორც ეს მიღებულია სამეცნიერო ნაშრომების შესრულებისას) და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

რეზიუმე

სადისერტაციო ნაშრომში განიხილება საბრუნავი კაპიტალის ეფექტურად გამოყენების პრობლემები და მათი გადაჭრის მიმართულელები. საბრუნავი კაპიტალი წარმოების აუცილებელი ატრიბუტია, იგი მნიშვნელოვანი ხვედრითი წილითაა წარმოდგენილი პროდუქციის თვითღირებულებაში და შესაბამისად აისახება წარმოებული პროდუქციის ფასშიც, ამიტომ მისი ეფექტურად გამოყენება განსაზღვრავს სამეწარმეო ფირმების კონკურენტუნარიანობასაც. აღნიშნული მიუთითებს კვლევის მაღალ აქტუალურობაზე.

დისერტაციის ლიტერატურული მიმოხილვის ნაწილში განხილულია სხვადასხვა მკვლევართა მოსაზრებები „საბრუნავი კაპიტალის“ ცნების შინაარსის შესახებ. ზოგიერთი ავტორი განმაზოგადებელ კატეგორიად მიიჩნევს „საწარმოო პოტენციალის ცნებას“. ოღონდ საწარმოო პოტენციალი გაგებული უნდა იქნას როგორც პროდუქციის წარმოების შესაძლებლობა. მიუხედავად ამისა უფრო უპრიანია ამ შემთხვევაში გამოყენებული იქნას „რესურსული პოტენციალის“ ცნება. რესურსული პოტენციალი აღნიშნავს რაიმე ერთი სახის რესურსის არსებობის შესაძლებლობას, კერძოდ კი საბრუნავი კაპიტალის არსებობას. ჩვენ ვიზიარებთ რიგი ეკონომისტების შეხედულებებს, აგრეთვე ვეთანხმებით მათ შეხედულებებს, რომელთაც საბრუნავი კაპიტალის ფორმები წარმოდგენილი აქვთ შემდეგი პირობების სახით: კერძოდ, საბრუნავი კაპიტალის შემადგენლობა და სტრუქტურა; საბრუნავ კაპიტალზე მოთხოვნის განსაზღვრა; საბრუნავი კაპიტალის ფორმირების წყაროების გამოვლენა; საბრუნავი კაპიტალის ოპტიმიზაცია და საბრუნავი კაპიტალის გამოყენების ეფექტიანობა.

თანამედროვე პირობებში საბრუნავი კაპიტალის შეფასების რამდენიმე ვარიანტი არსებობს, ერთ-ერთი მეთოდი ემყარება ღირებულებით შეფასებას, რაც დამტკიცებული იქნა რიგი ეკონომისტების, კერძოდ; ს. ა. ბათელორის, ს. ბელტონის, კ. მ. ბონდის, ი.ი. ლუკინის, ა.მ. ონიშენკოს, ბ.ი. პასხავერის და სხვათა მიერ. მეორე მეთოდი დაფუძნებულია რაოდენობრივი პარამეტრების განსაზღვრაზე და ითვალისწინებს წარმოების შედეგებზე საბრუნავი კაპიტალის გავლენის განსაზღვრას. ამ შემთხვევაში აუცილებელია საბრუნავი კაპიტალის ეკონომიკური მართვა წარმოდგენილი იქნას მართვის დადებითი შედეგების, მართვის არასრულფასოვნების, მართვის ნეგატიური შედეგების თვალსაზრისით. ეს მოითხოვს საბრუნავი კაპიტალის მართვის სისტემის შემუშავებას საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბების პროცესში.

ზოგიერთი ავტორის აზრით საბრუნავ კაპიტალს უნდა მივაკუთვნოთ მარაგებში და წარმოებაში ჩადებული საშუალებები, თუმცა შეიძლება საბრუნავი კაპიტალის კლასიფიკაცია წარმოდგენილი იქნას დაგეგმვის ხარისხის მიხედვით (როგორც ნორმირებული და არანორმირებული საბრუნავი კაპიტალი). ეს დაკავშირებულია საწარმოო პრაქტიკის მოთხოვნებთან და განვითარების ინტენსიურ ფაქტორებზე ორიენტა-

ციასთან.

მეორე თავში - "სასაქონლო ბირჟები და მათი როლი სამრეწველო საწარმოთა საბრუნავი კაპიტალით უზრუნველყოფაში"-განხილულია ბირჟების როლი საბრუნავი კაპიტალით მომარაგების საქმეში. აღნიშნეთ, რომ ისტორიულად სასაქონლო ბირჟა არის იქ, სადაც მაღალია მოთხოვნა მიწოდება და ქვეყანა, რომელიც აშენებს საბაზრო ეკონომიკას აუცილებლად უნდა ჰქონდეს სასაქონლო ბირჟა. ბირჟის ფუნქციონირება ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას, თანამედროვე საბითუმო ბაზრის შექმნას და კონკრეტული გარემოს ჩამოყალიბებას.

საქართველოს საბრუნავი კაპიტალის სრულყოფილად დახასიათებისათვის კვლევა ჩავატარეთ საქართველოს ეკონომიკისათვის მთლიანად და მისი შემადგენელი ისეთი უმნიშვნელოვანესი დარგისათვის როგორცაა მრეწველობა, ხოლო საბრუნავი კაპიტალის მენეჯმენტის სრულყოფის მიზნისგან გამომდინარე კონკრეტული ფირმისთვის, გამოკვლევა და შესაბამისი გამოთვლები სს "ელექტროვაგონშემკეთებელი" ქარხნის მაგალითზე.

აღნიშნული საწარმო უძველესია მთელ კავკასიაში, მისი როგორც ისტორია, ისე დღევანდელი მჭიდროდ უკავშირდება საქართველოს რკინიგზას და შესაბამისად საქართველოს ტრანსპორტს. ს.ს. "ელექტროვაგონშემკეთებელი" ქარხნიდან მოპოვებული ციფრობრივი მონაცემების აღებული ცხრა მაჩვენებლიდან მხოლოდ მომუშავეთა რიცხოვნობასა და საერთო შემოსავლებს შორის აღმოჩნდა მჭიდრო კორელაციური დამოკიდებულება. აღნიშნული წარმოების მაგალითზე მათემატიკური მოდელის აგებამ აზრი დაკარგა. აღნიშნული უნდა აიხსნას იმ გარემოებით, რომ წლების განმავლობაში სიტუაცია ელექტროვაგონშემკეთებელ წარმოებაში არასტაბილური იყო. შემოსავლების ფულადი ოდენობა უმეტესად არ არის დამოკიდებული წარმოების სხვა მნიშვნელოვან ტექნიკურ-ეკონომიკურ პარამეტრებზე, რაც მოცემული წარმოების არასტაბილური ეფექტიანობით აიხსნება, განსხვავებით მრეწველობის საშუალო მაჩვენებლებისა, სადაც დამოკიდებულების კანონზომიერების განსაზღვრა უფრო შესაძლებელიცაა და მოდელი დიდი ალბათობით ფაქტიური მდგომარეობის ამსახველია.

ნაშრომში შევეცადეთ გამოგვეკვლია და გაგვეანალიზებინა ფირმის შიგა მენეჯმენტის შინაარსობრივი შემადგენლობა და შეფასების მაჩვენებლები, გაგვეანალიზებინა შიგა მენეჯმენტის ორგანიზაციული სტრუქტურის აგების არსებული სისტემა, მისი ნაკლოვანებები და ღირსებები, მიმოგვეხილა ისინი და ჩამოგვეყალიბებინა ჩვენეული ხედვა ოპტიმალური სტრუქტურის შედგენის წინაპირობის შესახებ, მოგვეხდინა მენეჯმენტის ორგანიზაციულ სტრუქტურაზე მოქმედი ფაქტორების კლასიფიკაცია, გაგვეხილა და შემოგვეთავაზებინა შიდაფირმული მართვის ოპტიმიზაციის მოდელები, გაგვესაზღვრა და დაგვეხასიათებინა ფირმის გარე და შიგა სამყაროს გავლენა მენეჯმენტის სრულყოფის მექანიზმზე, გაგვესაზღვრა ფირმის შიგა მენეჯმენტის შეფასების კრიტერიუმები და განზოგადოებული მაჩვენებლები.

საკითხის შესწავლამ გვიჩვენა, რომ საბრუნავი საშუალებების მართვის საქმეში ზოგიერთ საწარმოებში სრული გაუგებრობაა. ამასთან დაკავშირებით აუცილებელია თითოეულმა საწარმომ, გაერთიანებამ გაითვალისწინოს, რომ საბაზრო ურთიერთობათა პირობებში საბრუნავი საშუალებების მართვის ერთ-ერთი მთავარი საკითხი სწორედ დაგეგმვაა. მოწინავე საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში ფინანსების დაგეგმვას და მათ შორის საბრუნავი საშუალებების დაგეგმვას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა.

თითოეულმა საწარმომ საფინანსო დაგეგმვის დროს თავიდან უნდა განსაზღვროს საბრუნავი საშუალებების საჭირო ოდენობა, თუ რა ოდენობის სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის მარაგი იქნება საჭირო იმისათვის, რომ მან უზრუნველყოს პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) წარმოება და რეალიზაცია. ასევე აუცილებელია დამატებითი სეზონური საჭიროების განსაზღვრა.

აუცილებელია განხორციელდეს კონტროლი საბრუნავი საშუალებების ეფექტიანად გამოყენებაზე. პირველ რიგში აუცილებელია ოპერატიული კონტროლის განხორციელება შემუშავებული გეგმიური მაჩვენებლების თითოეულ საწარმოო ერთეულამდე, საწარმოს ქვედანაყოფებამდე დაყვანაზე და საწარმოო ვალდებულებათა შესრულებაზე, აგრეთვე სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა მარაგის და დანახარჯის მდგომარეობაზე.

საბრუნავი საშუალებების გამოყენებაზე კონტროლის ერთ-ერთი იარაღია საბრუნავი საშუალებების ანალიზი, რომელიც ძირითადად საბუღალტრო ბალანსის საშუალებით ხორციელდება. ანალიზმა უნდა მოიცვას ისეთი საკითხები, როგორცაა საბრუნავი საშუალებების სტრუქტურა, მათი რაციონალური განლაგება წარმოებისა და მიმოქცევის სფეროების მიხედვით, საკუთარი საბრუნავი საშუალებების, ბანკის კრედიტების გამოყენება, მარაგის და დანახარჯების მდგომარეობა, დებიტორები, კრედიტორები, საწარმოს გადახდისუნარიანობა, საბრუნავი საშუალებების ბრუნვადობა და სხვა.

ამასთან აუცილებელია შემუშავდეს ზოგადი პრინციპები საბაზრო ურთიერთობათა პირობებში საწარმოთა საბრუნავი საშუალებების მართვის შესახებ, რაც ერთგვარი ორიენტირი იქნება საწარმოებში საბრუნავი საშუალებების მართვის ახალი სისტემის დანერგვისათვის.

ბიზნესის ეფექტური მსვლელობის უზრუნველსაყოფად მენეჯერები უნდა ცდილობდნენ ამ ხარჯების თავიდან აცილებას. მაშასადამე საბრუნავ კაპიტალზე მიღებულ გადაწყვეტილებას არა ერთჯერადი, არამედ პერმანენტული ხასიათი უნდა გააჩნდეს.

საბრუნავი კაპიტალის ეფექტიანობა თვითონ დარგის, საწარმოს ან ფირმის საბოლოო ტექნიკურ-ეკონომიკური პარამეტრებით გამოისახება, მაგრამ თვითონ საკუთრივ საბრუნავი კაპიტალის ეფექტიანობაზეც მნიშვნელოვანწილად ვიმსჯელებთ ისეთი განზოგადოებული მაჩვენებლებით, როგორცაა საბრუნავი კაპიტალის სიჩქარე, საბრუნავი კაპიტალის ერთი შემობრუნების დროის პერიოდი და მასალატევადობა. ამ

მაჩვენებლებიდან საბრუნავი კაპიტალის ერთი შემობრუნების დროის პერიოდი დამოკიდებულია ბრუნვის სიჩქარეზე, ანუ ისინი ერთმანეთს განსაზღვრავს, ამიტომ ჩვენს შემთხვევაში მიზანშეწონილი იყო საბრუნავი კაპიტალის ეფექტიანობის განზოგადოებულ მაჩვენებლებად, კრიტერიუმებად აგველო მხოლოდ მისი ბრუნვის სიჩქარე და მასალატევადობა.

ნაშრომში აგრეთვე განხილულია ხელმძღვანელის კომუნიკაციური უნარები თანამედროვე პირობებში, რადგან მას საქმე აქვს არა მარტო ფულთან და მატერიალურ რესურსებთან, არამედ ადამიანთა ჯგუფთან, რომლებზეც ზემოქმედება ხორციელდება მართვის სპეციფიკური მეთოდების მეშვეობით. მას აუცილებლად უნდა ესმოდეს მმართველობითი საქმიანობის სტრუქტურა, შეეძლოს პროფესიონალიზმის დონეთა განსაზღვრა ამ სფეროში, ასევე ამ დონეთა მიღწევის გზები და საშუალებები მიზანმიმართული განათლებისა და თვითგანვითარების გზით.

Abstract

The problems of effective use of floating capital's (current assets) and the directions of their solving are considered in the thesis work. Floating capital is the necessary attribute of the enterprise, it is represented by the significant share in the production prime cost and respectively is reflected in the price of obtained production, therefore its effective use determines the competitiveness of production companies. The mentioned fact points at the high topicality of the research.

In the literature review of the thesis work are considered the opinions of various researchers concerning the content of the notion of floating capital. Some authors consider the notion of "production potential" as the determining category, but production potential should be understood as the possibility of production of outputs. Despite of this fact, it is better to use the notion of "resource potential" in this case. Resource potential means the possibility of existence of one certain kind of resources, namely the existence of floating capital. Under current conditions there are several options of floating capitals' assessment. We share the view of a number of economists who represent floating capital's forms in terms of the following conditions: in particular, the content and structure of floating capitals; determination of demand for floating capital; discovery of sources of floating capital's formation; floating capitals' optimization and the efficiency of floating capitals' use.

There are several options of floating capital's assessment under current conditions, one of them is based on the value appraisal, that has been proven by a variety of economists, namely, S.A. Battelore, S. Belton, K.M. Bond, I.I. Lukin, A.M. Onishenko, B.I. Paskhaver and others. The second method is based on the determination of quantitative approaches and foresees the determination of floating capitals' effect on the production results. In this case it is necessary to represent economic management of floating capitals from the viewpoint of positive results of management, as well as of deficiencies of management and its negative results. All this requires the elaboration of floating capitals' management system in the process of market relations' establishment.

In opinion of some authors the assets inserted in the reserves and production should be added to floating capitals, however it possible to represent floating capitals' classification according to planning degree (like normalized and unnormalized floating capital). It is connected with the requirements of manufacturing practice and commitment to the intensive factors of development.

In the second chapter – "Mercantile exchanges and their role in the industrial enterprises' supply with floating capitals" is considered the role of exchanges in the supply with floating capitals. We have noted that historically the mercantile exchange is, wherein the demand and supply are high and the country, which establishes market economy, surely should have mercantile exchange. Exchange's functioning will promote the development of national economy, creation of up-to-date wholesale market and establishment of competitive environment.

The research with the purpose of comprehensively description of Georgia's floating capitals has been carried by us both for the economy of Georgia as a whole and for such extremely important component field of economy, like the industry is, while proceeding from the objectives of perfection of floating capitals' management the research and respective calculations have been implemented for specific companies by the example of JSC "Electrovagonshemketebeli".

The mentioned enterprise is the oldest in the entire Caucasus, its history, as well as present day is in close relationships with Georgian Railway and, respectively, with Georgian transport. Among nine indicators taken from digital data obtained at JSC "Electrovagonshemketebeli" the close correlation dependence has been discovered only between the number of employees and total profit. Mathematical model construction through the example of the mentioned enterprise already lost its point. The mentioned fact should be explained by the circumstance that over the number of years the situation around electric car's repair production was very unstable. The total profit is not basically depended on the other significant technical and economic parameters of production, and that should be explained by unstable efficiency of the mentioned enterprise, in contrast to average performance of the industry, in which the determination of regularity of dependence is more possible and the model reflects the real situation with higher probability.

In this work we tried to research and analyze substantial content and appraisal indices of inner management of the company, to analyze current system of building-up of organization structure of inner management, its merits and demerits, to review them and to establish our view concerning the prerequisites of optimal structure's building, to classify factors acting on the organization structure of the management, to consider and offer the models of intercompany management optimization, to determine and characterize the effect of company's external and internal environment on the mechanism of management's perfection, to determine the criteria of inner management estimation and general indices.

Our inquiry showed that in some enterprises there is a complete misunderstanding concerning floating assets' management. In this regard is necessary that every single enterprise, corporation took into account the fact that under market relations' conditions namely the planning is the one of the key issues of floating assets management. In the countries with advanced market economy especial attention is paid to the financial planning and among them, to the planning of floating assets. At the same time is necessary to elaborate general principles concerning the management of floating assets in operation under market relations' conditions that will be certain orienting point for introduction of new system of floating assets' management.

The efficiency of floating capitals is expressed by overall technical and economic parameters of the field itself, as well as of the enterprise or company, but we discussed to a considerable extent about the efficiency of floating capitals themselves, based on such generalized parameters, like floating capitals rate, the period of time for floating capital's one turnover and material consumption. Among these indicators the period of time for one turnover of floating capitals is depended on the rate of turnover, i.e. they determine each other, therefore in our case was expedient to take only the rate of floating capitals turnover and material consumption as the generalized indicator, criterium of the efficiency of floating capitals.

შინაარსი

შესავალი	14
1. ლიტერატურის მიმოხილვა	20
1.1. საბრუნავი კაპიტალის მნიშვნელობა და მისი მენეჯმენტის მდგომარეობა საქართველოს მრეწველობაში.....	20
1.1.1. საბრუნავი კაპიტალის მართვა, როგორც ეკონომიკური კვლევის ობიექტი	20
1.1.2. საბრუნავი კაპიტალის ევოლუციისა და ფინანსური უზრუნველყოფის საფუძვლები თანამედროვე ეკონომიკაში	34
1.1.3. საბრუნავი კაპიტალის შემადგენლობისა და სტრუქტურის მაჩვენებლები	42
1.1.4. საბრუნავი კაპიტალის მენეჯმენტის ანალიზი საქართველოს მრეწველობაში.....	48
2. შედეგები და მათი განსჯა.....	77
2.1. საბრუნავი კაპიტალის მენეჯმენტის სრულყოფის მიმართულებები.....	77
2.1.1. სასაქონლო ბირჟები და მათი როლი სამრეწველო საწარმოთა საბრუნავი კაპიტალით უზრუნველყოფაში.....	77
2.1.2. საბრუნავი კაპიტალის ფორმირების წყაროების მაჩვენებლები.....	89
2.1.3. საბრუნავი კაპიტალზე მოთხოვნის განსაზღვრის მაჩვენებლები.....	96
2.1.4. საბრუნავი კაპიტალის ეფექტიანობაზე მოქმედი ფაქტორების გავლენის ზომის განსაზღვრა	99
3. საბრუნავი საშუალებების და მატერიალური რესურსების გამოყენების ეფექტიანობის ანალიზი.....	112
3.1. საბრუნავი საშუალებების შემადგენლობის, სტრუქტურის, დინამიკისა და დაფინანსების ანალიზი.....	112
3.1.1. საბრუნავი კაპიტალის გამოყენების ეფექტიანობის მაჩვენებლები.....	113
3.1.2. მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფის ანალიზი.....	116
3.1.3. მატერიალური რესურსების გამოყენების ეფექტიანობის ანალიზი	118
4. ხელმძღვანელის კომუნიკაციური უნარი თანამედროვე პირობებში.....	124
დასკვნა	149
გამოყენებული ლიტერატურა.....	

ცხრილების ნუსხა

ცხრილი 1.	სამრეწველო პროდუქციის წარმოების მოცულობა ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით და საწარმოთა რიცხვი ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით -----	66
ცხრილი 2.	მრეწველობის ძირითადი მაჩვენებლები რეგიონების მიხედვით -----	67
ცხრილი 3.	საქართველოს მრეწველობის საბრუნავი კაპიტალის ბრუნვის სიჩქარეზე მოქმედი ფაქტორები -----	69
ცხრილი 4.	საქართველოს მრეწველობის საბრუნავი კაპიტალის მასალატევადობაზე მოქმედი ფაქტორები -----	70
ცხრილი 5.	სს „ელექტროვაგონშემკეთებელი“ ქარხანის ციფრობრივი მონაცემები -----	71
ცხრილი 6.	ცნობა ს.ს. "ელმავალშენებელი"-ს რიგი ეკონომიკური მაჩვენებლების შესახებ 2006-2010 წწ. -----	72
ცხრილი 7.	საბირჟო ვაჭრობის ჯგუფები -----	83
ცხრილი 8.	საბირჟო ვაჭრობის უმნიშვნელოვანესი მსოფლიო ცენტრები -----	89
ცხრილი 9.	ბრუნვის სიჩქარეზე მოქმედი ფაქტორები -----	107
ცხრილი 10.	მასალატევადობაზე მოქმედი ფაქტორები -----	111

ნახაზების ნუსხა

ნახ. 1	საბრუნავი კაპიტალის ტრანსფორმაციის სქემა -----	44
ნახ. 2	საწარმოს საბრუნავი კაპიტალის კლასიფიკაცია ძირითადი ნიშნების მიხედვით -----	51
ნახ. 3	მრეწველობის წილი მშპ-ში -----	53
ნახ. 4	მრეწველობის დარგების წილი 2010 წელს -----	54
ნახ. 5	მრეწველობაში ბრუნვის მოცულობა ეკონომიკური საქმიანობის მიხედვით (2002-2010) -----	54
ნახ. 6	ბრუნვის მოცულობა 2010 წელს -----	55
ნახ. 7	დამამუშავებელი მრეწველობა 2010 წელს -----	56
ნახ. 8	პროდუქციის გამოშვება ეკონომიკური საქმიანობის მიხედვით (2002-2010) -----	57
ნახ. 9	მრეწველობის პროდუქციის გამოშვება 2010 წელს -----	58
ნახ. 10	დამამუშავებელი მრეწველობა 2010 წელს -----	59
ნახ. 11	მრეწველობის სექტორის ბრუნვა და გამოშვება წლების მიხედვით (2002-2010) -----	60
ნახ. 12	ბრუნვა და გამოშვება(%-ლი ცვლილება, 2003-2010) -----	60
ნახ. 13	დასაქმებულთა რაოდენობა ეკონომიკური საქმიანობის მიხედვით -----	61
ნახ. 14	მრეწველობაში დასაქმებულთა რაოდენობა ეკონომიკური საქმიანობის მიხედვით (2010) -----	61
ნახ. 15	მრეწველობის ბრუნვის მოცულობა საწარმოთა ზომის მიხედვით -----	62
ნახ. 16	ბრუნვის მოცულობა 2010 წ. -----	62
ნახ. 17	მრეწველობის პროდუქციის გამოშვება საწარმოთა ზომის მიხედვით -----	63
ნახ. 18	პროდუქციის გამოშვება საწარმოთა ზომის მიხედვით 2010 წ. -----	64
ნახ. 19	მრეწველობაში დასაქმებულთა რაოდენობა საწარმოთა ზომის მიხედვით -----	64
ნახ. 20	დასაქმებულთა რაოდენობა 2010 წ. -----	65
ნახ. 21	ბრუნვა რეგიონების მიხედვით 2009 წ. -----	65
ნახ. 22	სასაქონლო ბირჟების კლასიფიკაცია -----	80
ნახ. 23	საერთო მატერიალტევადობის განმსაზღვრელი ფაქტორების სქემა -----	122
ნახ. 24	ადამიანის შესახებ არსებული ინფორმაციის ტიპები -----	125
ნახ. 25	ეფექტიანი კომუნიკაციის მოდელი -----	131
ნახ. 26	კომუნიკაცია და მისი შემადგენლები -----	138

მადლიერება

მსურს გამოვხატო პატივისცემა და მადლობა გადავუხადო ჩემი სადოქტორო დისერტაციის მეცნიერ-ხელმძღვანელს, სატრანსპორტო დეპარტამენტის უფროსს, პროფ. გოდერძი ტყეშელაშვილს, ნაშრომის დროული შესრულებისთვის, გაწეული თანადგომისთვის, სადისერტაციო თემის საგულდაგულოდ გასწორებისთვის და რჩევა-დარიგებისთვის.

დიდ მადლობას მოვახსენებ სტუ-ს სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის დეკანს, ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს პროფ. ო. გელაშვილს საქმიანი შენიშვნებისთვის, გაწეული თანადგომისთვის და დახმარებისთვის. აგრეთვე მადლობას მოვახსენებ ყველა იმ პიროვნებას, ვინც დამეხმარა სტატისტიკური მასალების შეგროვებაში, მათ ანალიზსა და დამუშავებაში.

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდი ჩემს ოჯახს-მშობლებსა და შვილებს, რომლებიც ყოველთვის გვერდში მედგნენ და მამხნეებდნენ სადისერტაციო თემაზე მუშაობისას.

შესავალი

თემის აქტუალობა. მრეწველობა წარმოადგენს ქვეყნის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დარგს, იგი აერთიანებს: ა) სამთომომპოვებით მრეწველობას; ბ) დამამუშავებელ მრეწველობას; გ) ელექტროენერჯის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილებას.

მრეწველობის განვითარების დონე მნიშვნელოვანწილად განაპირობებს ქვეყნის მეცნიერულ-ტექნიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას. სწორედ მძლავრი ინდუსტრიის წყალობითაა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს, გერმანიას, იაპონიას, საფრანგეთს, სამხრეთ კორეას და სხვა ქვეყნებს წამყვანი პოზიციები უკავიათ მსოფლიოში.

მრეწველობაში საწარმოო და ფინანსური საქმიანობის ნორმალური პირობების შექმნისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს საბრუნავი საშუალებების რაციონალურ ორგანიზაციას. საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბება განაპირობებს მეურნეობრიობის კვლავწარმოების ყველა სტადიაზე ეკონომიკური პროცესებისა და ურთიერთობების განვითარებას. ამის შედეგად საზოგადოებრივი ყოფის ეკონომიკური ურთიერთობების მახასიათებელი აყალიბებს ეკონომიკურ კატეგორიას.

ეკონომიკურ კატეგორიათა რიცხვს განეკუთვნება საბრუნავი კაპიტალი, რომელიც ასახავს ეკონომიკის სფეროში რეალურად არსებულ ურთიერთობებს და აქვს სპეციფიკური დანიშნულება. ღირებულების გადანაწილება ფინანსური ინსტრუმენტების მეშვეობით ხორციელდება საბრუნავი კაპიტალის მოძრაობით, რომელსაც შეუძლია ფუნქციონირება ფულად, საწარმოო და საქონლური ფორმით. საბრუნავი კაპიტალის წარმატებული მართვა საწარმოებს საშუალებას აძლევს დაინახონ ბრუნვადობის დაჩქარების არსებული რეზერვები და გაადიდონ მისი გამოყენება სამეურნეო ბრუნვაში. თავის მხრივ, საბრუნავი კაპიტალის ეფექტიანობის ამაღლება განაპირობებს მსხვილი ფინანსური რესურსების გამოთავისუფლებას, რაც მეტად აქტუალურია როგორც საწარმოს საქმიანობისათვის, ასევე მთლიანად ეკონომიკისათვის.

თემის აქტუალობა კიდევ უფრო იზრდება, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ საბრუნავი კაპიტალის მართვას დიდი მნიშვნელობა აქვს წარმოების რენტაბელობის ზრდისა და საწარმოს მდგრადი გადახდისუნარიანობის უზრუნველყოფის მისაღწევად, რაც საწარმოს ფინანსური მდგრადობის დასტურია. მართვის უმნიშვნელოვანესი საკითხებია საბრუნავი საშუალებების განლაგება წარმოების სფეროსა და მიმოქცევის სფეროს მიხედვით და საბრუნავი საშუალებების საკუთარი და ნასესხები წყაროების განსაზღვრა. ამ საკითხის გადაწყვეტა შესაძლებელი იქნება მხოლოდ საბრუნავ საშუალებათა დაგეგმვის ეკონომიკურად დასაბუთებული საჭიროების განსაზღვრის საფუძველზე. საბრუნავი საშუალებების მართვა, დაგეგმვასთან ერთად გულისხმობს კონტროლის განხორციელებას საბრუნავი საშუალებების ეფექტიანად გამოყენებაზე.

მნიშვნელოვანი მომენტი საბრუნავი კაპიტალის უზრუნველყოფა სათანადო ფინანსური წყაროებით და რაციონალური თანაფარდობის შენარჩუნება საკუთარ საბრუნავ კაპიტალსა და ნასესხებ რესურსებს შორის. დასმული პრობლემის გადაჭრის საქმეში მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს საბრუნავი კაპიტალის მართვის უზრუნველყოფის მექანიზმის გამოვლენას რეგიონალურ და ცალკეული საწარმოების დონეზე.

საბრუნავი კაპიტალის კვლევა მიკროდონეზე სავსებით კონკრეტული შინაარსისაა, რაც დაკავშირებულია საწარმოს ყოველდღიურ საქმიანობასთან, შიდა და გარეგანი სიტუაციების ახსნასთან. იგი გავლენას ახდენს წარმოებასა და გასაღებაზე, მოთხოვნასა და მიწოდებას შორის არსებულ თანაფარდობაზე, კონკრეტულ მომხმარებელზე და კომერციულ რისკზე. აუცილებელია ოპერატიული კონტროლის განხორციელება შემუშვებული გეგმიური მაჩვენებლების თითოეულ საწარმოო ერთეულამდე, საწარმოს ქვედანაყოფებამდე დაყვანაზე და საწარმოო ვალდებულებათა შესრულებაზე, აგრეთვე სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა მარაგის და დანახარჯების მდგომარეობაზე.

კვლევის ობიექტია საბრუნავი კაპიტალი, მისი მდგომარეობა და

დონე საქართველოს მრეწველობაში. მისი მართვა როგორც მიკრო, ასევე მაკრო დონეზე. კვლევის საგანია საბრუნავი კაპიტალის მართვის ეკონომიკური მექანიზმი და სტრატეგია.

პრობლემის შესწავლის მდგომარეობა. ეკონომიკაში მრეწველობის განვითარებაზე საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ მრავალ მეცნიერს ჩაუტარებია კვლევა-ძიება. კვლევა შეუძლებელი იქნებოდა საბრუნავი კაპიტალის კვლავწარმოების პრობლემებთან დაკავშირებული თეორიული დამუშავებების, გაცნობ-გათვალისწინების გარეშე. თეორიულ-მეთოდოლოგიურ ბაზას წარმოადგენს ეკონომიკური მეცნიერების კლასიკოსთა ფუნდამენტალური ნაშრომები, ქართველ და უცხოელ მეცნიერ-ეკონომისტთა გამოკვლევები. კერძოდ კი ჯ. კეინსი, რ. ჰაროდი, ა. ოუენი, ჯ. ვაისამანი, ფ. პერუ, ჯ. ჰიკსი, პ. სამუელსონი, პ.ტ. ბალაბანოვი, მ.ი. ბაჯანოვი, ს.ვ. ბოლშაკოვი, ვ.ვ. კოვალიოვი, ნ.ვ. კოლჩინა, ე.ვ. კუზნეცოვი, ა. რეინინა, მ.ა. ფელოტოვი.

საბრუნავი კაპიტალის (ფონდების) შესახებ საყურადღებო გამოკვლევები აქვთ ჩატარებული ცნობილ ქართველ მეცნიერ-ეკონომისტებს: ფ. გოგიჩაიშვილს, ა. გუნიას, ვ. მელქაძეს, დ. ძნელაძეს, გ. ტყეშელაშვილს, პ. ჩაგელიშვილს, გ. პაპავას, რ. კაკულიას, თ. ბაბუნაშვილს, მ. დარჩიაშვილს, ვ. ზურაბიშვილს, თ. ბაქრაძეს,.. მათი ნაშრომები მნიშვნელოვან საყრდენს წარმოადგენს მრეწველობის მენეჯმენტის სფეროში შემდგომი კვლევების გაფართოებისათვის. მაგრამ მათ მიერ ჩატარებული კვლევების შემდეგ დიდი დრო გავიდა, შეიცვალა არა მარტო წარმოების განხორციელების რეალიები, არამედ მეურნეობრიობის წარმართვის წესებიც, აქედან გამომდინარე აუცილებელი შეიქმნა მრეწველობის საბრუნავი კაპიტალის მენეჯმენტის შესახებ ახალი კვლევების ჩატარება.

კვლევის მეთოდი და მეთოდოლოგია. კვლევის მეთოდოლოგიად გამოყენებულია სისტემური მიდგომა. საბრუნავი კაპიტალი განიხილება, როგორც ღია სისტემა, რომელზეც მოქმედებს შიგა და გარე ფაქტორები კომპლექსურად და დინამიკაში, განუწყვეტლივ დროსა და სივრცეში.

ამასთან კვლევის შედეგები არ შეიძლება წინააღმდეგობაში მოდიოდეს ეკონომიკური თეორიის საყოვეთაოდ აღიარებულ დებულებებთან. ამდენად, ეკონომიკური თეორიაც ზოგადად გვევლინება მეთოდოლოგიურ საფუძვლად.

კვლევის მეთოდოლოგიად გამოყენებულია დიალექტიკა, რომელიც საშუალებას გვაძლევს: ვაღიაროთ მოვლენათა განუწყვეტელი მოძრაობა და განვითარება, სუბიექტისაგან (მკვლევარი) ობიექტის (დარგი) დამოუკიდებლობა; ობიექტზე სუბიექტის მოქმედების გავლენა. კვლევის პროცესში გამოყენებულია ანალიზის და სინთეზის მეთოდები. მასთან კავშირში კი სტატისტიკური მასალები, ცალკეული სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციათა კვლევის შედეგები, გამოკვლევები.

კვლევისას ფართოდ გამოვიყენეთ სტატისტიკური მასალები. ასევე ცალკეული სატრანსპორტო ფირმებისა და კორპორაციების სტატისტიკური ინფორმაციები. ნაშრომი დაფუძნებულია ეკონომიკისა და მენეჯმენტის ზოგად თეორიებზე. მის გარე და შიგა ფაქტორების შესწავლაზე და გამოვლენის ხერხებზე.

ნაშრომი თავს უყრის ეკონომიკური ზრდის შესახებ კვლევების, თეორიების, ეკონომიკური ციკლების და მათი გაზომვის, ანალიზის და განზოგადების საშუალებებს.

ბევრი ეკონომისტის შრომებში ფიქსირდება აზრთა სხვადასხვაობა საბრუნავი კაპიტალის შემადგენლობის დასაბუთებასთან დაკავშირებით. ჩვენ უფრო სიღრმისეულად განვიხილეთ საბრუნავი კაპიტალის ელემენტები. პრობლემის ცალკეული საკითხების დამუშავებისას გამოყენებული იქნა ეკონომიკურ მოვლენათა და მაჩვენებლთა ანალიზისა და შეფასების სხვადასხვა მეთოდები.

მეცნიერული სიახლე. საბაზრო ეკონომიკის პირობებში საქართველოში საბრუნავი კაპიტალის ეფექტიანობაზე ჯერ-ჯერობით კვლევა არ ჩატარებულა, მითუმეტეს საქართველოს მრეწველობის მასშტაბით, ამიტომ წარმოდგენილი ნაშრომი მთლიანობაში შეგვიძლია

ნოვაციად განვიხილოთ. კერძო სიახლეები კი შემდეგში მდგომარეობს:

- კრიტიკულად არის გააზრებული საბრუნავი კაპიტალის ცნების არსებული განმარტებები და მიგვაჩნია, რომ აღნიშნული ტერმინის ქვეშ უნდა იგულისხმებოდეს ის წარმოების საშუალებები, რომლებიც მხოლოდ ერთხელ მონაწილეობენ საწარმოო ციკლში, სრულად გადასცემენ თავიანთ სრულ ღირებულებას წარმოებულ პროდუქციას (შესრულებულ სამუშაოებს და მათ თვითღირებულებას) და ჰკარგავენ გარეგნულ–ფიზიკურ ფორმას, ქიმიურ შემადგენლობას ან ურთიერთ-განლაგების კოორდინატებს (ძირითადად საამწყობო ერთეულების შემთხვევაში);
- საბრუნავი კაპიტალის გამოყენების ეფექტიანობით ძირითადად განისაზღვრება მოცემული კონკრეტული წარმოების საბოლოო ტექნიკურ–ეკონომიკური პარამეტრები და კონკურენტუნარიანობა, ხოლო აღნიშნული ეფექტიანობის ძირითადი გასაღები საბრუნავი კაპიტალის მენეჯმენტით განისაზღვრება. აქედან გამომდინარე საბრუნავი კაპიტალის მენეჯმენტში აუცილებელია მართვის თანამედროვე სტრუქტურული სქემების და მოდელირების მეთოდთა გამოყენება;
- ჩატარებულია საბრუნავი კაპიტალის მენეჯმენტის ეფექტიანობის მათემატიკური მოდელირება საქართველოს მრეწველობისთვის და სს „ელექტროვაგონშემკეთებელი“ ქარხნის მაგალითზე. მიღებულმა მოდელმა წარმოაჩინა, რომ საბრუნავი კაპიტალის ეფექტიანობას განაპირობებს: შრომის ინტენსიფიკაციის დონე, ინოვაციებში ჩადებული ინვესტიციების მოცულობა, საგადასახადო განაკვეთების სიდიდეები, დასაქმებულთა კვალიფიკაცია და მოსახლეობის შემოსავლები.

პრაქტიკული მნიშვნელობა. სადისერტაციო ნაშრომი საქართველოში საბაზრო ურთიერთობის განვითარების თანამედროვე ეტაპზე ერთ-ერთი პირველი მეცნიერული გამოკვლევაა. მოცემული თეორიული დასკვნებისა

და წინადადებების პრაქტიკული განხორციელება ხელს შეუწყობს საქართველოში საბაზრო ეკონომიკის პირობებში საბრუნავი კაპიტალის ეკონომიკური ეფექტიანობის შეფასების განსაზღვრას, მრეწველობის დარგების საბრუნავი კაპიტალით მომარაგების უზრუნველყოფას და ქვეყანაში ეკონომიკური კრიზისის დაძლევას.

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი დებულებებისა და სიახლეების გამოყენება შესაძლებელია, როგორც უმაღლეს სასწავლებლებში სწავლების პროცესში, აგრეთვე ნაშრომის დასკვნები და შემოთავზებული რეკომენდაციები შეიძლება გამოყენებული იქნას სამთავრობო სტრუქტურების, სატრანსპორტო ფირმების მენეჯმენტის სრულყოფისათვის. სამრეწველო ფირმების მენეჯერებს შეუძლიათ ნაშრომის პრაქტიკული რეკომენდაციები გაითვალისწინონ მმართველობით გადაწყვეტილებათა გამოტანისას, გამოავლინონ ფირმის ეფექტიანობაზე ყველაზე მაღალი დონით მოქმედი ფაქტორები და არსებული რესურსები მიმართონ ამ ფაქტორების გაზრდისაკენ.

დღეს ვერცერთი მეწარმე, მენეჯერი თუ ბიზნესმენი ვერ შეძლებს წარმატების მიღწევას თავის საქმიანობაში, თუ მან არ მიიღო თანამედროვე საერთაშორისო დონის ეკონომიკური და სამართლებრივი განათლება, არ შეისწავლა არსებული მოწინავე გამოცდილება მართვის სფეროში.

თემის სტრუქტურა. დისერტაციის სრულყოფილად დამუშავების საჭიროებამ მოითხოვა სადისერტაციო ნაშრომის შემდეგი სტრუქტურა: იგი მოიცავს 157 გვერდს, შედგება შესავალის, ოთხი თავის, ათი ცხრილის, ოცდაექვსი ნახაზის, დასკვნებისა და გამოყენებული ლიტერატურის სიისაგან.

1. ლიტერატურის მიმოხილვა

1.1. საბრუნავი კაპიტალის მნიშვნელობა და მისი მენეჯმენტის მდგომარეობა საქართველოს მრეწველობაში

1.1.1. საბრუნავი კაპიტალის მართვა, როგორც ეკონომიკური კვლევის ობიექტი

საბაზრო ეკონომიკის პირობებში აქტუალურია წარმოების პროცესების მართვის ორგანიზაციის სრულყოფის, ფინანსური, შრომითი და მატერიალური რესურსების ეფექტიანად გამოყენების საკითხები. ასეთი ამოცანების გადასაწყვეტად საწარმოთა ხელმძღვანელებმა უნდა აკონტროლონ საანგარიშო პერიოდში მიღებული შედეგები, ამასთან მნიშვნელოვანი მომენტია ეკონომიკის, წარმოების, ტექნოლოგიის, ფინანსების საფუძვლიანი ცოდნა.

ამას გარდა, საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ეფექტიანი მართვისათვის აუცილებელია მეთოდური დოკუმენტების პაკეტი, რომელიც შეამცირებდა წარმოების მართვის თანამედროვე მეთოდების დანერგვაზე გაწეულ დანახარჯებს, კერძოდ კი საბრუნავი კაპიტალის ხარჯებს. გარკვეული პირობითობის გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ საბრუნავი კაპიტალის მართვის სისტემა შედგება სამი ბლოკისაგან:

1) მართვის თეორიული საფუძვლები, სისტემის პრინციპული დებულებები (კონცეფცია);

2) საბრუნავი კაპიტალის მართვის სტრატეგია, რეალიზაციის მექანიზმი;

3) ძირითადი დებულებების რეალიზაციის მეთოდები და ხერხები.

გაფართოებული კვლავწარმოების პირობებში აქტუალურია რეგიონალურ დონეზე საბრუნავი კაპიტალის მართვის, რამდენიმე საკვანძო პრობლემა: პირველ რიგში ესაა კაპიტალის შექმნა და ამასთან დაკავშირებული დამატებითი სახსრებისა და რესურსების მოზიდვა.

საბრუნავი კაპიტალის შექმნა შეიძლება წარმოდგენილი იქნას

როგორც შრომის მომენტი, რის შედეგადაც იქმნება წარმოების საშუალებები. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ თუ მეწარმე თავად არ ქმნის გამოყენებულ საბრუნავ კაპიტალს და ყიდულობს მას, მაშინ იგი ხარჯავს თავისი შრომის ნაწილს შესაბამისი პროდუქციის ნაწილის წარმოებაზე. ასე რომ კაპიტალი მას განსაზღვრულ შრომად უჯდება.

ძირითადი კაპიტალი წარმოების პროცესში ფუნქციონირებს თავისი სამომხმარებლო ფორმით და განსაზღვრავს საბრუნავი კაპიტალის გაგრძელებას (საბრუნავ მუდმივ კაპიტალს + საბრუნავი ცვალებადი კაპიტალი). ყოველი ცალკეული ბრუნვა ანაზღაურებს დახარჯულ საბრუნავ კაპიტალს სასაქონლო კაპიტალის სახით(წარმოების სფეროდან - მიმოქცევის სფეროში).

შესაბამისად, კაპიტალის დაგროვების პროცესი წარმოადგენს წარმოების საშუალებების კვლავწარმოებას და სრულყოფას, ხოლო კაპიტალი ესაა მწარმოებელთა ენერჯია, რომელიც შრომის სახით გამოიყენება. ამას გარდა, კაპიტალი შეიძლება ასევე წარმოდგენილი იქნას როგორც დაგროვილი თავისუფლება.

საბრუნავი კაპიტალის ცვალებადი და მუდმივი ნაწილის საერთო თავისებურებაა (და მათი განმასხვავებელი ნიშანი ძირითადი კაპიტალისაგან) არის ის, რომ მისი ღირებულება გადადის პროდუქტზე, მიმოიქცევა სასაქონლო კაპიტალის მეშვეობით, ე.ი. პროდუქტის მიმოქცევის დროს გარდაიქმნება საქონლურ ფორმად.

ტერმინები: "ცვალებადი" და "მუდმივი" გამოიყენება მაშინ, როცა აუცილებელია დახასიათდეს დანახარჯების გავლენა საწარმოო საქმიანობის დონის ცვლილებაზე. თუმცა, თუ კი შესწავლილი იქნება საბრუნავი კაპიტალის ცვლილებები, მაშინ, ალბათ, უფრო სწორი იქნება იგი გამოკვლეული იქნას ინკრემენტული (ზრდადი), მარგინალური (ზღვრული) ხარჯების და შემოსავლების თვალსაზრისით. ინკრემენტული ხარჯები და შემოსავლები არის დამატებითი და ყალიბდება დამატებითი ერთეული პროდუქციის დამზადების ანდა რეალიზაციის შედეგად. ინკრემენტული

ხარჯები და შემოსავლები მარგინალური ხარჯებისა და შემოსავლების მსგავსია, მარგინალური შემოსავლებისა და დანახარჯების ძირითადი განსხვავებაა დამატებითი ხარჯებისა და შემოსავლების მიღება პროდუქციის ერთეულზე. დანახარჯების ეს სახეობა შეიძლება გამოყენებული იქნეს საწარმოში პროდუქციის წარმოების მოცულობის გადიდებისას. ამასთან საჭიროა ისინი გათვალისწინებული იქნას, როგორც წარმოების მასშტაბის გადიდების შედეგი. შესაბამისად, თუ კი იზრდება წარმოების მასშტაბი, მაშინ ადგილი აქვს საბრუნავი კაპიტალის ზრდასაც, შემოსავლების გადიდებას. საბრუნავი კაპიტალის რაოდენობრივი შეფასებისათვის, ზემოთქმულიდან გამომდინარე, იგი შეიძლება წარმოდგენილი იქნეს როგორც ინკრემენტული საბრუნავი კაპიტალი და მარგინალური საბრუნავი კაპიტალი. ამასთან პირველი, როგორც დამატებითი და მეორე, როგორც ზღვრული. მარგინალური საბრუნავი კაპიტალი, როგორც ზღვრული შეიძლება ასევე განისაზღვროს როგორც ნორმატიული საბრუნავი კაპიტალი, ასეთი დებულებები გამოყენებული უნდა იქნას საპროგნოზო გათვლების დროსაც.

დანახარჯები და შემოსავლები, რომლებიც დაფიქსირებულია პასუხისმგებელი ცენტრების მიხედვით, შეიძლება დაჯგუფდეს ამ დონეების მიხედვით, ყველა ეს ხარჯები რეგულირდებიან განსაზღვრულ მმართველობით დონეზე. თუმცა ზოგიერთი მათგანი შეიძლება დაიყოს რეგულარულ და არარეგულარულ შემოსავლებად და ხარჯებად, წინააღმდეგ შემთხვევაში საკმაოდ გამწვანდება მენეჯერის მმართველობითი საქმიანობის შეფასება.

რეგულარული ხარჯები არის რეგულირების ობიექტი მენეჯერის მხრიდან, რომლის პასუხისმგებლობის სფერო დაკავშირებულია ამ ხარჯებთან. დანახარჯების დაყოფა რეგულირებად და არარეგულირებად ხარჯებად საშუალებას იძლევა ჩატარდეს დანახარჯების დეტალური ანალიზი, რის შედეგადაც შეიძლება შეფასდეს საბრუნავი კაპიტალის მართვის მაჩვენებლები.

საწარმოს ეფექტიანი მართვისათვის საჭიროა შეიქმნას ნორმატიული ბაზა, რომელიც შესაძლებელს გახდის ავტომატიზებულ რეჟიმში განახორციელოს კონტროლი მატერიალურ და ფინანსურ ნაკადებთან, ასევე გათვალისწინებული იქნას საკუთარი და ნასესხები საშუალებები.

ეფექტიანი ხელმძღვანელობის განხორციელება შეიძლება ეფუძნებოდეს მეცნიერულად დასაბუთებული მართვის ნორმატიული მეთოდების გამოყენებას. დასავლეთის მეწარმეები დიდი ხანია იზიარებენ იმ შეხედულებას, რომ მიღებული შედეგების საფუძვლიანი ანალიზის, შეფასების და კონტროლისათვის საჭიროა ყველა ამ ელემენტის ნორმატიული ბაზის არსებობა.

ნორმატივები, როგორც ეკონომიკური კატეგორია, შეიძლება წარმოდგენილი იქნას მატერიალური წარმოების სფეროში რაოდენობრივი კავშირების მარეგულირებელი კონკრეტული ყოველგვარი პარამეტრებისა და სიდიდეების ფართო სისტემაში. ამას გარდა, ესაა აუცილებელი ღონისძიება, რომლის მეშვეობითაც რეგულირდება წარმოების დანახარჯების და შედეგების თანაფარდობა.

ნორმატიული მართვა შეიძლება წარმოდგენილი იქნას, როგორც მართვის ობიექტზე ნორმების ზემოქმედება ფაქტიურ შედეგებთან შედარების მიზნით. ორგანულად ამ სისტემაში შედის მატერიალური რესურსების და საბრუნავი საშუალებების მარაგების ნორმები. ეს აუცილებელია ამ სისტემაში ჩადებული მარაგების ნორმების ოპტიმიზაციისათვის, საბრუნავი კაპიტალის მინიმიზაციისათვის.[1]

საბრუნავი კაპიტალის ფორმირება განისაზღვრება მისი ზემოქმედებით წარმოების საბოლოო შედეგებზე. მისი ზემოქმედების განსაზღვრის მიზნით შეიძლება აიგოს წარმოების მართვის მოდელები. მათი აგებისათვის აუცილებელია ბაზრის მართვის დაგეგმვის თეორიის სრულყოფა, მათში ცალკე აღებული საბრუნავი კაპიტალის ჩართვის გზით.

ამ შემთხვევაში აუცილებელია საბრუნავი კაპიტალის ეკონომიკური მართვა წარმოდგენილი იქნას მართვის დადებითი შედეგების, მართვის

არასრულფასოვნების, მართვის ნეგატიური შედეგების თვალსაზრისით. ეს მოითხოვს საბრუნავი კაპიტალის მართვის სისტემის შემუშავებას საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბების პროცესში. საბაზრო ეკონომიკის პირობებში საქონელმწარმოებლებს შორის ეკონომიკური კავშირები განპირობებულია ურთიერთობების სასაქონლო-ფულადი ფორმებით. საქონელმწარმოებლები თავიანთ პროდუქციას ასაღებენ ბაზრის მეშვეობით მომხმარებელზე მოთხოვნისა და მიწოდების მიხედვით დადგენილ ფასებში, ხოლო შემდეგ იძენენ მათთვის საჭირო მასალებს ბაზარზე საბითუმო ვაჭრობის სისტემის მეშვეობით.

სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის განვითარების შედეგად XX ს. 30-60-იან წლებში ფინანსური პოლიტიკის საფუძვლები ემყარებოდა კეინსიანურ და ნეოკეინსიანურ დოქტრინებს. ჯ. კეინსის ფინანსური დოქტრინისათვის დამახასიათებელია შემდეგი:

- გაფართოებული კვლავწარმოების ყველა მნიშვნელოვანი პრობლემა უნდა გადაწყდეს არა რესურსების მიწოდების შესწავლის პოზიციებიდან, როგორც ამას აკეთებდნენ კეინსის წინამორბედები, არამედ მოთხოვნის პოზიციებიდან, რომელიც უზრუნველყოფს რესურსების რეალიზაციას;

- ეკონომიკის კაპიტალიზაციის მთლიანი თვითრეგულირება შეუძლებელია. შრომის ფართომასშტაბიანი განსაზოგადოებრიობის პირობებში სახელმწიფოს ჩარევა გარდაუვალია;

- ჭარბწარმოების კრიზისები მოვლენის ზედაპირზე გამოდიან როგორც მოთხოვნის ნაკლოვანება. ამიტომ ეკონომიკაში წონასწორობის პრობლემა უნდა გადაწყდეს მოთხოვნის პოზიციებიდან. ამისათვის კეინსს შემოაქვს ახალი ცნება "ეფექტიანი მოთხოვნა", რომელიც გამოხატავს წონასწორობას წარმოებასა და დასაქმებას შორის;

- ეკონომიკის რეგულირების მთავარი ინსტრუმენტია საბიუჯეტო პოლიტიკა. სახელმწიფო ბიუჯეტისა და ფინანსური პოლიტიკის მეშვეობით მიიღწევა მთლიანად სამუშაო ძალის დასაქმებისა და საწარმოო მოწყობილობის დატვირთვის ამოცანის უზრუნველყოფა.

ციკლური განვითარების და კრიზისების დაძლევის პროცესში სახელმწიფო ჩარევის მნიშვნელოვანი ძირითადი ინსტრუმენტი კეინსის მიხედვით, არის სახელმწიფო ხარჯები. ამ ხარჯების ფორმირება, სტრუქტურა და ზრდა კეინსს მნიშვნელოვან ფაქტორად მიაჩნდა "ეფექტიანი მოთხოვნის" მისაღწევად. ისევე როგორც სახელმწიფო ხარჯები, ბრუნვაში კეინსის აზრით, უნდა ჩაერთოს მაკროეკონომიკური მაჩვენებლები და გადასახადები, თანაც, ცვლილებები საგადასახადო პოლიტიკაში არსებით გავლენას ახდენს მოთხოვნის ძირითად კომპონენტებზე: პირად და საინვესტიციო მოხმარებაზე. კეინსის თანამოაზრეები ამ მდგომარეობას "დეფიციტური დაფინანსების პრინციპს" უწოდებდნენ. ასე რომ, იზრდება ის მიმდინარე ხარჯები, რომელთა დაფინანსება შეიძლება ვალით. მიმდინარე ხარჯების დაფინანსება კი გამოიწვევს "მოხმარებისადმი მიდრეკილების" გადიდებას.[2]

კეინსმა შეიმუშავა ფინანსების ახალი თეორია, რომელიც მიმართული იყო ეკონომიკის რეგულირებისაკენ სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის პირობებში. ფინანსური პოლიტიკა განხორციელებული იქნა პრაქტიკაში კეინსის თანამოაზრეების მიერ (აშშ-ში რ. ჰაროლდის, ა. ოუენის, უ. ჰელერის მიერ. დიდ ბრიტანეთში - ჯ. ვაისამანის, საფრანგეთში - ფ. პერუს. იაპონიაში - კ. ემის, ხ. იტოს და სხვათა მიერ). XX საუკუნის 40-იან წლებში ამ თეორიას დიდი წარმატებები და გარკვეული დადებითი შედეგები ჰქონდა და 70-იან წლებამდე დასავლეთის წამყვანი ქვეყნების უმეტესობაში ფინანსური თეორიის და პრაქტიკის საფუძვლად აღებული იყო ჯ. კეინსის თეორიის ამოსავალი დებულებები.

ეკონომიკის შემდგომმა განვითარებამ, ეკონომიკური ზრდის ინტენსიურ ტიპზე გადასვლამ სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის პირობებში და სამეურნეო ცხოვრების ინტერნაციონალიზაციამ აჩვენა სახელმწიფო ფინანსების ფუნქციონირების ჯ. კეინსიანური მოდელის არასრულფასოვნება.

კეინსის თანამოაზრეები თავიანთ კვლევებში სრულყოფენ აღნიშნულ

თეორიას.[3]

გაფართოებული კვლავწარმოების პირობების ცვლილების გავლენის შედეგად ყალიბდება "ნეოკლასიკური სინთეზის" კონცეფცია - წონასწორობითი თეორია არასრული დასაქმების პირობებში, რომელშიც ჩართულია ფულადი ფაქტორი. კეინსიანური თეორიის ამ ახალმა ვერსიამ განვითარება ჰპოვა ჯ. ჰიკსისა და პ. სამუელსონის შრომებში. ფისკალიზმის კეინსიანური იდეები შეუერთდა ნეოკლასიკოსების კონცეფციას, რომელიც ითვალისწინებდა ეკონომიკის რეგულირებას ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მეშვეობით (სააღრიცხვო განაკვეთის ცვლილება, ოპერაციების ჩატარება ღია ბაზარზე და ა.შ.). პ. სამუელსონმა ბრუნვაში ჩართო ტერმინი "საზოგადოებრივი საქონელი", რომლის ქვეშ მოიაზრება საქონელი და მომსახურება, რომელსაც საზოგადოების წევრი ღებულობს სახელმწიფოსაგან.

"საზოგადოებრივი საქონლის" იდეაში წარმოჩინდება სახელმწიფოსა და კერძო სექტორს შორის რესურსების განაწილების საკითხი. სახელმწიფოს ეკისრება ეკონომიკური და სოციალური ინფრასტრუქტურის დაფინანსება, რომელიც საბოლოო ჯამში, ახდენს მოგების მაქსიმიზაციას. პ. სამუელსონის აზრით, ფინანსური პოლიტიკის მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ შეიმუშავოს მარეგულირებელი ღონისძიებები "საზოგადოებრივი საქონლის", გამოყენების სფეროს შესაქმნელად.

XX საუკუნის 70-იანი წლების ბოლოდან დიდი ბრიტანეთის, აშშ-ს, გფრ-ს და რიგი სხვა ქვეყნების ფინანსური პოლიტიკის საფუძვლად მიჩნეული იქნა ნეოკონსერვატორული სტრატეგია, რომელიც დაკავშირებული იყო ეკონომიკური აზროვნების ნეოკლასიკურ მიმართულებასთან. მან ასახვა ჰპოვა მიწოდების თეორიაში. მისი ძირითადი დებულება იყო სახელმწიფოს ეკონომიკური როლის შეზღუდვა, მისი ჩარევის შეზღუდვა სამეურნეო ცხოვრებაში და განსაკუთრებით სოციალურ სფეროში. ასეთი კონცეფციის ღონისძიებებს განეკუთვნება სახელმწიფო საკუთრების ნაწილის პრივატიზაცია, კონკურენციის საბაზრო მექანიზმის გაძლიერება,

ეკონომიკაში სიმპიმის ცენტრის გადატანა მიწოდების გადიდების, წარმოების სტიმულირების, მისი ეფექტიანობის ამაღლების პრობლემებზე. მთავარი ადგილი უნდა დაეთმოს მეწარმეს, რომლის ინტერესების შესაბამისად უნდა შემუშავდეს სტიმულები მისი აქტივობის და მწარმოებლურობის გასაძლიერებლად.

აქტუალური ხდება ბიუჯეტის დეფიციტთან და მათ მიერ გამოწვეულ ინფლაციასთან ბრძოლის აუცილებლობა.

ნეოკონსერვატორები აღადგენენ "ჯანსაღი" ფინანსების პრინციპს, ე.ი. სავალდებულო ყოველწლიურ წონასწორობას ბიუჯეტურ შემოსავლებსა და ხარჯებს შორის, რამდენადაც სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი - ეს არის სერიოზული წინააღმდეგობა ეკონომიკის მდგრადი განვითარებისათვის, სახელმწიფო ვალის ზრდისა და ინფლაციის მიზეზი. ეს პრინციპი განსაკუთრებით აქტუალურია ეკონომიკის თანამედროვე პირობებში.

მთლიანად ნეოკონსერვატორების ფინანსური პოლიტიკა მიზნად ისახავს ეკონომიკური ზრდის გრძელვადიანი სტიმულების შექმნას, საზოგადოებრივი განვითარების გრძელვადიანი ეფექტიანობის მიღწევას.[4]

ზემოთქმულიდან გამომდინარე, უნდა აღინიშნოს რომ საბრუნავი კაპიტალის გამოყენების ეფექტიანობა საწარმოს დონეზე, შეიძლება განხილული იქნას ცალკეული შესაკრების (ელემენტის) მიხედვით, რომლის შემადგენლობაში შედის საბრუნავი კაპიტალი.

საბრუნავი კაპიტალის სიდიდე განისაზღვრება არა მარტო საწარმოო პროცესის საჭიროებებით, მოთხოვნებით, არამედ შემთხვევითი ფაქტორებითაც, ამიტომ მიღებულია იგი დაიყოს ორ კატეგორიად:

1. მუდმივი საბრუნავი კაპიტალი (ფულადი სახსრები), დებიტორული დავალიანების და საწარმოო მარაგების ნაწილი, რომელთა მიხედვით მოთხოვნა შედარებით მუდმივია განსაზღვრული ციკლის განმავლობაში).

2. ცვალებადი საბრუნავი კაპიტალი (ასახავს დამატებით მიმდინარე აქტივებს, რომელიც აუცილებელია პიკური პერიოდების დროს ანდა

საწარმოო მარაგების სახით). წარმოების პროცესში დახარჯული ცვალებადი საბრუნავი კაპიტალი შეიძლება ისევ ჩადგეს წარმოების პროცესის სამსახურში მხოლოდ მაშინ, როცა ხერხდება იმ პროდუქტის გაყიდვა, რაშიც კვლავწარმოებულია მისი ღირებულება და იგი გარდაიქმნება საქონლური კაპიტალიდან ფულად კაპიტალად, იგი შეიძლება გამოყენებული იქნას სამუშაო ძალის ასანაზღაურებლად.

ზოგიერთი ავტორი განმაზოგადოებელ კატეგორიად მიიჩნევს "საწარმოო პოტენციალის" ცნებას. ოღონდ საწარმოო პოტენციალი შეიძლება გაგებული იქნას როგორც პროდუქციის გამოშვების შესაძლებლობა. მიუხედავად ამისა, უფრო უპრიანია ამ შემთხვევაში გამოყენებული იქნას "რესურსული პოტენციალის" ცნება. რესურსული პოტენციალი აღნიშნავს რაიმე ერთი სახის რესურსის არსებობის შესაძლებლობას, კერძოდ კი საბრუნავი კაპიტალის არსებობას. წარმოდგენილი ურთიერთობების სრულყოფის ხარისხი შეიძლება გამოვლინდეს საწარმოო პოტენციალის მატერიალური ნაწილის გამოყენების დონეში, შესაბამისად, ამ დონის შეფასება არის საწარმოო ურთიერთობების განვითარების ხარისხის რაოდენობრივი გაზომვის ინსტრუმენტი.

თანამედროვე პირობებში საბრუნავი კაპიტალის შეფასების რამდენიმე ვარიანტი არსებობს, ერთ-ერთი მეთოდი ემყარება ღირებულებით შეფასებას, რაც დამტკიცებული იქნა რიგი ეკონომისტების, კერძოდ ი.ი. ლუკინის, ა.მ. ონიშენკოს, ბ.ი. პასხავერის და სხვათა მიერ. მეორე მეთოდი დაფუძნებულია რაოდენობრივი პარამეტრების განსაზღვრაზე და ითვალისწინებს წარმოების შედეგებზე საბრუნავი კაპიტალის გავლენის განსაზღვრას.

რესურსების შეფასებისას გამოიყენება ორი ვარიანტი - ინტეგრალური და პროდუქტიული. ერთი ან მეორე ვარიანტის კანონზომიერების დასაბუთებისას უნდა გამოვდიოდეთ საკვლევი ცნების მახასიათებელი თვისებებიდან.[5]

ინტეგრალური შეფასება ეყრდნობა ისეთი ეკონომიკური კატეგორიის

გამოხატვისა და რაოდენობრივი შეფასების ხერხის ძიების აუცილებლობას, როგორცაა ეფექტიანობა, შედეგად წარმოების საშუალებების ნაწილი რეგულარულად კვლავ იწარმოება იმისათვის, რათა თავიდან იქნეს აცილებული გადახარჯვა საჭირო დონეზე მეტი ოდენობით. ამასთან ადგილი აქვს შრომის საშუალებების უფრო ეფექტიანად შექმნას. ამას შედეგად მოჰყვება შრომის შემოსავლიანობის ნორმების გადიდება და საწარმოო პროცესების სრულყოფა.

ამასთან ყალიბდება წმინდა პრაქტიკული ხასიათის (ერთეულები) ამა თუ იმ რესურსის მონაწილეობის წილის განსაზღვრისას ცალკეულ წარმოებათა მიხედვით, რაც პროდუქტიული ვარიანტის ჩამოყალიბებას განაპირობებს. ზემოთ აღნიშნული ქმნის საკმარის საფუძველს იმისათვის, რომ უფრო მისაღებად ჩაითვალოს საბრუნავი კაპიტალის შეფასება ინტეგრალური მეთოდის მიხედვით.

შეფასების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია ეკონომიკური მაჩვენებლები, რომლებიც შეიძლება დაიყოს ცალკეულ ჯგუფებად. ერთ-ერთი ასეთი მაჩვენებელია დამოკიდებულება დებიტორულ და კრედიტორულ დავალიანებას შორის. ამისათვის საჭიროა შეფასება განხორციელდეს დანახარჯების შემცირების ანდა დამატებითი შემოსავლის გადიდების თვალსაზრისით.

დანახარჯების შემცირება შეიძლება დაემყაროს რეზერვების გამოვლენას პროდუქციის წარმოებასა და რეალიზაციაზე გაწეული დანახარჯების შემცირების კუთხით, ასევე პასუხისმგებელი ცენტრების შექმნით დანახარჯების თვალსაზრისით პროდუქციის თვითღირებულების ფორმირების ოპერატიული მართვისათვის. დანახარჯების, საგემო და ნორმატიული კალკულაციის ოპერატიული მართვისათვის პროდუქციის ცალკეული სახეობების მიხედვით. ამასთან შეიძლება გამოყენებული იქნას მეთოდიკა, რომელიც ეფუძნება საწარმო ხარჯების დაყოფას მუდმივ და ცვალებად ხარჯებად.

პროდუქტი შეიძლება არსებობდეს სასაქონლო კაპიტალის სახით,

კაპიტალის შემოსვლა ბაზარზე სასაქონლო მარაგის სახით დაკავშირებულია ხარჯებთან, რომლებიც განეკუთვნება მიმოქცევის სფეროს.

სასაქონლო მარაგი არსებობს სამი ფორმით, საწარმოო კაპიტალის, ინდივიდუალური მოხმარების და სასაქონლო მარაგების ფორმით.

საწარმოო კაპიტალის ფორმით წარმოდგენილი მარაგი შეიძლება არსებობდეს წარმოების საშუალებების ფორმით, რომლებიც მონაწილეობენ წარმოების პროცესში.[6]

სასაქონლო მარაგმა უნდა მიაღწიოს განსაზღვრულ სიდიდეს, რათა დაკმაყოფილდეს მოთხოვნის სიდიდე. მარაგების სიდიდე უნდა აღემატებოდეს გაყიდვების ანდა მოთხოვნის საშუალო სიდიდეებს. საქონლის ღირებულების სიდიდე განისაზღვრება არა მარტო შრომითი დანახარჯებით, არამედ მის წარმოებაზე დახარჯული აუცილებელი სამუშაო დროის მასით, სიდიდით. დ. რიკარდომ ახსნა შრომითი ღირებულების თეორიის შინაარსი: "საქონლის საცვლელი ღირებულება განისაზღვრება მასში განივთებული საზოგადოებრივი შრომის ოდენობით".

კ. მარქსმა ახსნა რა საზოგადოებრივად აუცილებელი სამუშაო დროის ცნება, წერდა რომ "ეს არის ის სამუშაო დრო, რაც საჭიროა რომელიმე სამომხმარებლო ღირებულების შესაქმნელად წარმოების საზოგადოებრივად ნორმალური პირობების არსებობისას მოცემულ საზოგადოებაში შრომის საჭირო და ინტენსიური პირობების არსებობისას" [6].

შრომის არასაჭირო, ზედმეტი დანახარჯები არ ქმნის ღირებულებას, ე.ი. არ არის აღიარებული და განითესება. ბაზარზე არავინ არ აანაზღაურებს ჭარბ ფაქტიურ დანახარჯებს. ამაში ვლინდება ღირებულების კანონი, რომელიც არეგულირებს კავშირებს საქონელმწარმოებლებს შორის საქონლის წარმოებაზე გაწეული შრომის აუცილებელი დანახარჯების შედარების საფუძველზე.

ამ სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების საფუძველია ღირებულების კანონი, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს წარმოების, განაწილებისა და გასაღების მთელ პროცესზე. ღირებულების მარაგის

მარეგულირებელი მექანიზმი აისახება ფასების რყევაში, მათ გადახრებში კონკურენციის მსვლელობისას. ფასები საქონლის ღირებულებას ემთხვევა მხოლოდ მაშინ, როცა მოთხოვნა ემთხვევა მიწოდებას. ე.ი. როცა მოცემული საქონლის წარმოება შეესაბამება და ემთხვევა მიწოდებას, ე.ი. როცა მოცემული საქონლის წარმოება შეესაბამება მასზე გადახდისუნარიან მოთხოვნას. თუ კი ასეთი წონასწორობა არ არსებობს, მაშინ საქონლის ფასი გადაიხრება მისი ღირებულებიდან. ფასების აჭარბება ღირებულებაზე ასტიმულირებს მიწოდების ზრდას, საქონლის წარმოების გადიდებას. ფასების დაწესება ღირებულების დონეზე დაბლა განაპირობებს საქონლის წარმოების შემცირებას.

ფასების რყევა ღირებულების ირგვლივ განპირობებულია არა მარტო რყევებით მიმოქცევის სფეროში, არამედ ცვლილებებით წარმოების სფეროში. საქონლის ღირებულების შემცირებამ შეიძლება გამოიწვიოს შრომის დანახარჯების შემცირების აუცილებლობა და საქონელზე გადახდისუნარიანი მოთხოვნის გადიდება. შედეგად გარდაუვალია ფასების რყევა, რაც უკავშირდება ღირებულების შემცირებას და მოთხოვნის ზრდას.

შესაბამისად, საქონლის ფასების გადახრა მისი ღირებულებიდან ხდება არა საქონელმწარმოებელთა სურვილის მიხედვით, არამედ რეგულირდება ღირებულების კანონის მოქმედებით.

ურთიერთზემოქმედებას მოთხოვნასა და მიწოდებას შორის გამოხატავს საქონლური წარმოების ეკონომიკური კანონი - მოთხოვნისა და მიწოდების კანონი. მოთხოვნა და მიწოდება, მარქსის აზრით არის "საზოგადოებრივად მოქმედი ძალები". და ასრულებენ ძირითად ეკონომიკურ და სოციალურ ფუნქციებს.[7]

ურთიერთკავშირი მოთხოვნასა და მიწოდებას შორის მყარდება ფასების მეშვეობით. თუ, კი მიწოდება აღემატება მოთხოვნას, საბაზრო ფასი ეცემა, იხრება ღირებულებიდან დაბლა. ფასების ასეთი შემცირება იწვევს მოთხოვნის გაფართოებას, თუ კი მოთხოვნა აჭარბებს მიწოდებას, ფასი იზრდება, იხრება ღირებულებიდან ზევით, რაც ასტიმულირებს მიწოდების

გადიდებას.

მოთხოვნა და მიწოდება შეიძლება განხილული იქნას როგორც ურთიერთ განმსაზღვრელი კატეგორიები. კონკრეტულად ეს ურთიერთკავშირი ვლინდება იმაში, რომ მიწოდება განმსაზღვრელ გავლენას ახდენს მოთხოვნაზე, ხოლო მოთხოვნა, მიწოდების სიდიდესა და სტრუქტურაზე, მისი განვითარების ტენდენციებზე. მოთხოვნა აიძულებს მიწოდებას მოერგოს ბაზრის მოთხოვნებს, სახეს უცვლის სასაქონლო მიწოდებას მოთხოვნების შესაბამისად.

სასაქონლო წარმოების პირობებში, მოთხოვნისა და მიწოდების ურთიერთზემოქმედება ხორციელდება ბაზრის მეშვეობით, რაც წარმოდგენილია მოთხოვნასა და მიწოდების სახით. მაგრამ ამასთან მიწოდება არ არის წარმოების იგივეობა, ხოლო მოთხოვნა არ არის მოხმარების ტოლფასი, იგივეური.

მიწოდება, რომელიც ბაზარზე წარადგენს წარმოებას, გამოდის როგორც ხარისხობრივად მისგან განსხვავებული კატეგორია, რაოდენობრივად იგი შეიძლება არ ემთხვეოდეს წარმოებას, რომელიც შეიძლება მოხმარებაზე მეტი ან ნაკლები იყოს. კონკრეტული საქონლის წარმოება, როგორც წესი, ბაზარზე მისი მიწოდებაზე მეტია, მაგრამ შეიძლება გამოყენებული იქნას საწარმოო მოხმარებისათვის.[8]

მოთხოვნა ასევე განსხვავდება მოხმარებისაგან როგორც რაოდენობრივად, ასევე ხარისხობრივადაც. მოთხოვნის ხარისხობრივი მხარე იმაში მდგომარეობს, რომ იგი წარმოადგენს მოთხოვნის, საჭიროებათა გამოხატვის სპეციფიკურ საბაზრო ფორმას. მოთხოვნა გამოდის როგორც ბაზრის, გაცვლის კატეგორია, ხოლო მოხმარება თითქოს ბაზრის გარეთ არსებობს და წარმოადგენს საწარმოო პროცესის დამამთავრებელ სტადიას. მოთხოვნის მოხმარებისაგან ეს ხარისხობრივი განმასხვავებელი ნიშნები ასევე განსაზღვრავენ მათ შორის რაოდენობრივ განსხვავებასაც. საქმე იმაშია, რომ მოხმარების პროცესი ყოველთვის არ არის დაკავშირებული მოთხოვნასთან, რამდენადაც ყველა მოთხოვნილებანი არ გამოდის

გადახდისუნარიანი მოთხოვნის ფორმით და კმაყოფილდება ბაზრის გვერდის ავლით, პროდუქციის ნატურალური მოხმარების ხარჯზე, რომელიც იწარმოება პირად დამხმარე მეურნეობაში.

მოთხოვნა და მიწოდება ასევე შეიძლება არ დაემთხვეს წარმოებასა და მოხმარებას დროსა და სივრცეში. წარმოება დროსთან მიმართებაში წინ უსწრებს მიწოდებას, რამდენადაც პროდუქტი, მანამ, სანამ მიიღებდეს სასაქონლო მიწოდების ფორმას, უნდა იქნას წარმოებული..

არსებობს ასევე "სივრცობრივი" განსხვავება წარმოებასა და მიწოდებას შორის. საქონელი შეიძლება წარმოებული იქნას ერთ ადგილზე, ხოლო მიწოდებული და რეალიზებული - სხვაგან. მოხმარება დროსთან მიმართებაში ჩამორჩება მოთხოვნას, რამდენადაც საქონელი ჯერ შეისყიდება, ე.ი. მასზე ჯერ ყალიბდება მოთხოვნა, ხოლო შემდეგ კი ხდება მისი მოხმარება. საქონლის მოხმარება შეიძლება გაგრძელდეს ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში თანდათანობით დაკარგავს რა თავის სამომხმარებლო ღირებულებას.

მოთხოვნა და მიწოდება ასევე არის ბაზრის დამოუკიდებელი ელემენტები. კონკრეტულად ეს ვლინდება იმაში, რომ მოთხოვნასა და მიწოდებაზე გავლენას ახდენს სხვადასხვა ფაქტორები (საწარმოო მოთხოვნები, ფასები და ა.შ.). თუ კი ფასების ამაღლება ასტიმულირებს მიწოდებას, მაშინ ამ შემთხვევაში იგი ზღუდავს მოთხოვნის ზრდას.[9]

მოთხოვნისა და მიწოდების შეფარდებითი დამოუკიდებლობა ქმნის პირობებს მათი დამოუკიდებელი განვითარებისათვის, შედეგად მიწოდება შეიძლება გაფართოვდეს მოთხოვნის გადიდების გარეშე, ამრიგად, მოთხოვნა ასევე შეიძლება განვითარდეს დამოუკიდებლად. საბოლოოდ ეს გამოიწვევს შესაბამისობის დარღვევას მოთხოვნასა და მიწოდებას შორის. წინააღმდეგობა მოთხოვნასა და მიწოდებას შორის აღმოიფხვრება ინვესტიციების (კაპიტალის) გადაცემის გზით ერთი დარგიდან მეორეში. ურთიერთდამოკიდებულება მოთხოვნასა და მიწოდებას შორის მერყეობს მოქმედ ფასებზე დამოკიდებულებით.

საბაზრო ეკონომიკის ძირითად ელემენტებს შორის არსებობს რთული ფუნქციონალური კავშირები, რომლებიც ყალიბდება სხვადასხვა ფაქტორების გავლენის შედეგად. ამიტომ საწარმოს წარმატებული საქმიანობისათვის აუცილებელია მოთხოვნისა და მიწოდების რეგულირება, რაც შეიძლება მიღწეული იქნას ფასების ცვლილების მეშვეობით და სასაქონლო მარაგების მანევრირების გზით.

1.1.2. საბრუნავი კაპიტალის ევოლუციისა და ფინანსური უზრუნველყოფის საფუძვლები თანამედროვე ეკონომიკაში

საბრუნავი კაპიტალი (ანუ საბრუნავი საშუალებები) შეიძლება დავახასიათოთ, როგორც ფინანსური კატეგორია, რომელიც განეკუთვნება საწარმოს მობილურ აქტივებს.

საბრუნავი საშუალებები ფულად გარდაქმნის უნარზე დამოკიდებულებით იყოფა ძნელად რეალიზებად, (მზა პროდუქციის მარაგები, ნედლეული და მასალები), სწრაფად რეალიზებად, (მზა პროდუქციის მარაგები, ნედლეული და მასალები) სწრაფად რეალიზებად (დებიტორული დავალიანება, სახსრები დეპოზიტებზე) და შედარებით ლიკვიდურ (ფულად სახსრები და ფასიანი მოკლევადიანი საბაზრო ქაღალდები) საშუალებებად.

მარაგები ესაა ეკონომიკური კატეგორია, რომელიც შესაძლებელს ხდის განისაზღვროს მათი შექმნა ყველა განთავსების მიხედვით უშუალო მომხმარებელთან წარმართვის გზით.

სხვადასხვა კატეგორიის მარაგებს (გამსაღებლობითი, საწარმოო, სასაქონლო), როგორც წესი, აქვთ ფორმირების ერთნაირი ხასიათი. თუმცა საწარმოთა ბაზრებზე ისინი ერთიმეორისაგან განსხვავდებიან სადღელამისო გადმოტვირთვის სიდიდით, მიწოდებით, წარმოების სადღელამისო ოდენობით, დანახარჯებით და მიწოდებათა ინტერვალების მიხედვით.

მარაგები იქმნება მომპოვებელ საწარმოებში, შახტებში, საბადოებში, სამთო გამამდიდრებელ კომბინატებში ანდა გადამამუშავებელ და დამამზა-

დებელ საწარმოებში.

მარაგები აუცილებელია საწარმო-მომხმარებლების, მსხვილი საბითუმო და წვრილი საბითუმო მომარაგების ბაზების შეუფერხებელი მომარაგების უზრუნველსაყოფად.

სასაქონლო მარაგები იქმნება საქონელმწარმოებელ ქსელში. მომარაგების სპეციალიზებული ბაზები ღებულობენ მზა პროდუქციას დამამზადებელი საწარმოებისაგან სატრანზიტო ოდენობით და აწვდიან მომხმარებლებს მცირე ოდენობით. ისინი აუცილებელია მომარაგების შეუფერხებელი პროცესის უზრუნველსაყოფად და არის მომარაგების სასაწყობო ფორმა.[10]

საწარმოო საქმიანობის პროცესში ადგილი აქვს საბრუნავი საშუალებების ცალკეული ელემენტების ტრანსფორმაციას: საწარმოები ყიდულობენ ნედლეულს და მასალებს. აწარმოებენ პროდუქციას, შემდეგ კი ყველაფერს ყიდიან. შედეგად იქმნება დებიტორული დავალიანება, რომელიც რაღაც გარკვეული დროის მონაკვეთის შემდეგ გარდაიქმნება ფულად ფორმად.

თანამედროვე პირობებში საბრუნავი კაპიტალის განვითარება მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს საწარმოს ფინანსურ მდგომარეობას. გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგრადობის შეფასების ტრადიციული მეთოდები ემყარება მაჩვენებელთა დიდ რიცხვს (დიდი რაოდენობის მაჩვენებლებს), რომლებიც ყალიბდება საწარმოს ბალანსის აქტივების და პასივების სტრუქტურიდან. ცნებები "გადახდისუნარიანობა" და "ფინანსური მდგრადობა" პირობითია და არ გააჩნიათ მკაცრი საზღვრები. გადახდისუნარიანობა გამოიხატება კოეფიციენტებით, რომელთა მეშვეობით იზომება დამოკიდებულება საბრუნავ საშუალებებს ანდა ცალკეულ ელემენტებს და მოკლევადიან დავალიანებას შორის. ანუ იმ მაჩვენებლებით, რომლებიც გვიჩვენებენ, თუ რამდენად, რა ზომით შეძლებენ წარმოების აქტივები ვალების დაფარვას.[11]

ფინანსური მდგრადობა გამოიხატება კოეფიციენტებით, რომლებიც

სხვადასხვამხრივ აფასებენ ბალანსის სტრუქტურას საწარმოში. მათი მიზანია შეაფასოს საწარმოს დამოუკიდებლობის ხარისხი იმ შემთხვევითობებთან მიმართებაში, რაც დაკავშირებულია ბაზრის პირობებთან, შეთანხმებების ჩვეულებრივ დარღვევებთან, გადაუხდელობასთან და ა.შ.

საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შეფასების მთავარი კრიტერიუმებია გადახდისუნარიანობისა და ფინანსური მდგრადობის მაჩვენებლები.

შეფასების სქემა - ესაა ბალანსის მონაცემების მიხედვით ფინანსური მდგრადობის კოეფიციენტების გათვლა და მათი შედარება ექსპერტულად ანდა ოფიციალურად დადგენილ ნორმატიულ დონესთან. საწარმოს გადახდისუნარიანობა იზომება:

1) ლიკვიდურობის კოეფიციენტით - გათვლებისას გამოიყენება ყველაზე ლიკვიდური საბრუნავი აქტივები ფულადი სახსრები და მოკლევადიანი ფინანსური დაბანდებები;

2) დაფარვის შუალედური კოეფიციენტით - ლიკვიდურ აქტივებს ემატება დებიტორული დავალიანება;

3) დაფარვის საერთო კოეფიციენტით (ანუ მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტით) - ლიკვიდურ აქტივებს ემატება მარაგები, ანუ ესაა პრაქტიკულად გათვლილი საბრუნავი აქტივების მთელი სიდიდე ერთი ლარის მოკლევადიან დავალიანებაზე გაანგარიშებით. ეს მაჩვენებელი აღიარებულია საწარმოს გადახდისუნარიანობის ოფიციალურ კრიტერიუმად. მისი უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ ესაა განმაზოგადებელი მაჩვენებელი, რომელიც ითვალისწინებს საბრუნავი აქტივების მთლიან მოცულობას, თუმცა აქვე მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ საბრუნავი აქტივების შემადგენელი ელემენტები სხვადასხვაგვარია ლიკვიდობის ხარისხის მიხედვით. მოცემული კოეფიციენტის დონის შეფასება ამ გარემოებების გაუთვალისწინებლად განაპირობებს არაზუსტი დასკვნების გაკეთებას.[12]

მნიშვნელოვანი როლი ეკისრებათ საბრუნავი კაპიტალის ფორმებს,

რომელიც შეიძლება წარმოდგენილი იქნეს შემდეგი პირობების სახით:

- 1) საბრუნავი კაპიტალის შემადგენლობისა და სტრუქტურის დადგენა;
- 2) საბრუნავ კაპიტალზე მოთხოვნის განსაზღვრა;
- 3) საბრუნავი კაპიტალის ფორმირების წყაროების გამოვლენა;
- 4) საბრუნავი კაპიტალის ოპტიმიზაცია;
- 5) საბრუნავი კაპიტალის გამოყენების ეფექტიანობა.

საბრუნავი კაპიტალის შემადგენლობის ასეთი დახასიათება იმის დასტურია, რომ დიდი ხვედრითი წილითაა წარმოდგენილი საბრუნავი ფონდები. ზოგიერთი ავტორის აზრით საბრუნავ ფონდებს უნდა მივაკუთვნოთ მარაგებში და წარმოებაში ჩადებული საშუალებები, თუმცა შეიძლება საბრუნავი კაპიტალის კლასიფიკაცია წარმოდგენილი იქნას დაგეგმის ხარისხის მიხედვით, როგორც ნორმირებული და არანორმირებული საბრუნავი კაპიტალი. ეს დაკავშირებულია პრაქტიკის მოთხოვნებთან და განვითარების ინტენსიურ ფაქტორებზე ორიენტაციასთან.

წარმოდგენილი მახასიათებლების რეალიზაცია გულისხმობს საბრუნავი კაპიტალის ყველა სახეობის გავლენის რაოდენობრივ შეფასებას საბოლოო შედეგზე. ნორმირებულ საბრუნავ კაპიტალს შეიძლება მივაკუთვნოთ მარაგების სახით წარმოდგენილი სახსრები (შრომის საგნები, შრომის იარაღები). სახსრები წარმოებაში (დამთავრებული წარმოება, მომავალი პერიოდის ხარჯები) და მიმოქცევის ფონდების ნაწილი (მზა პროდუქცია).

არანორმირებული საბრუნავი კაპიტალი მიზანშეწონილია წარმოდგენილი იქნას, როგორც საქონელი, ფული და დებიტორული დავალიანება.

ბევრი ეკონომისტის შრომებში ფიქსირდება აზრთა სხვადასხვაობა საბრუნავი კაპიტალის შემადგენლობის დასაბუთებასთან დაკავშირებით. ამასთან დაკავშირებით საჭიროა უფრო სიღრმისეულად იქნას განხილული საბრუნავი კაპიტალის ელემენტები.

შრომის საგნებს შეიძლება მივაკუთვნოთ: ნედლეული და ძირითადი მასალები, დამხმარე მასალები, ნაყიდი ნახევარფაბრიკატები და მაკომპლექ-

ტებელი ნაკეთობები.

ნაყიდი ნახევარფაბრიკატები ასრულებენ იგივე როლს, რასაც ძირითადი მასალები. ისინი შეადგენენ პროდუქციის მატერიალურ საფუძველს.

წარმოების საშუალებებს მიეკუთვნება დაუმთავრებელი წარმოება და მომავალი პერიოდის ხარჯები. დაუმთავრებელი წარმოება - ესაა პროდუქცია, რომელსაც არ გაუვლია დამუშავების ყველა ის ოპერაცია, რაც ტექნოლოგიური პროცესითაა გათვალისწინებული. მასვე მიაკუთვნებენ ასევე მზა პროდუქციას, რომელიც სრულად არაა დაკომპლექტებული ანდა არაა მიღებული დამკვეთის მიერ.

მომავალი პერიოდის ხარჯები არის საბრუნავი კაპიტალის არამატერიალური ელემენტები. მასში შედის ხარჯები, რომლებიც გაიწევა ახალი პროდუქციის მომზადებაზე და ათვისებაზე, ახალი ტექნოლოგიების დანერგვაზე, რომელიც გაიწევა მიმდინარე წელს, მაგრამ განეკუთვნება მომავალი წლის პროდუქციას.[13]

ნორმირებულ საბრუნავ კაპიტალს განეკუთვნება ასევე მიმოქცევის ფონდების ნაწილი მზა პროდუქციის სახით. მზა პროდუქცია წარმოდგენილია ნაკეთობებისა და პროდუქტების სახით, იგი ბოლომდეა დამუშავებული, გავლილი აქვს შემოწმება სტანდარტებთან შესაბამისობაზე და გაფორმებულია მიღება-ჩაბარების დოკუმენტაციით.

მზა პროდუქცია იყოფა საწარმოს საწყობში არსებულ მზა პროდუქციად და გადმოტვირთულ საქონლად. გადმოტვირთული საქონელი განეკუთვნება არანორმირებულ საბრუნავ კაპიტალს, რამდენადაც იგი ასახავს რეალიზაციის პროცესს.

არანორმირებული საბრუნავი კაპიტალის შემდეგი ჯგუფია ფულადი სახსრები, რომელსაც განეკუთვნება: ფულადი სახსრები ფინანსურ ინსტრუმენტებში (ბანკების ანგარიშებზე, ფასიან ქაღალდებში, წარმოდგენით აკრედიტივებში, საწარმოს სალაროში) და ანგარიშებზე არსებული ფულადი სახსრები (საფოსტო გზავნილებსა და სხვა ანგარიშებზე

დანაკლისი).

დებიტორული დავალიანება მოიცავს საქვეანგარიშგებო პირების დავალიანებებს, დამკვეთთა დავალიანებას გადახდის ამოწურული ვადით, საგადასახადო ორგანოების დავალიანების ზედმეტი გადასახდელების ამოღებისას და სხვა სავალდებულო გადახდების გადახდისას ავანსის სახით. აქვე შედის დებიტორების პრეტენზიები და სადაო ვალები. დებიტორული დავალიანება სახსრებს იღებს ბრუნვიდან, რაც განაპირობებს საწარმოს დაძაბულ ფინანსურ მდგომარეობას.[14]

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს საბრუნავი კაპიტალის განხილვა სწრაფადრეალიზებადი და ძნელადრეალიზებადი საშუალებების ლიკვიდობის ხარისხის მიხედვით, სწრაფადრეალიზებად აქტივებს მიეკუთვნება მოკლევადიანი ფინანსური დაბანდებები, (დეპოზიტები, ფასიანი ქაღალდები, საქონელი, დებიტორული დავალიანება). ძნელადრეალიზებად საბრუნავ საშუალებებს განეკუთვნება ნახევარფაბრიკატები, დაუმთავრებელი წარმოება, საქონელი საწყობში, საექვო დავალიანება.

საზღვარგარეთის პრაქტიკაში "საბრუნავი საშუალებების" ანალოგიური ცნებაა ტერმინი "საბრუნავი კაპიტალი". საბრუნავ კაპიტალს განეკუთვნება საწარმოს მობილური აქტივები, რომლებიც არიან ფულადი სახსრები და შეიძლება ბრუნვაში ჩაერთოს ერთი წლის ანდა ერთი საწარმოო ციკლის განმავლობაში. წმინდა საბრუნავი კაპიტალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა მიმდინარე აქტივებსა (საბრუნავი საშუალებები) და მიმდინარე ვალდებულებებს (საბრუნავი საშუალებები) შორის. იგი გვიჩვენებს, რა ოდენობის მიმდინარე აქტივები იფარება სახსრების გრძელვადიანი წყაროებიდან. ამ მაჩვენებლის ანალოგი სამამულო პრაქტიკაში არის საკუთარი საბრუნავი საშუალებების სიდიდე. საბრუნავი კაპიტალის სიდიდე განისაზღვრება არა მხოლოდ საწარმოო პროცესის მოთხოვნებით, არამედ შემთხვევითი სიდიდეებითაც. ამიტომაც მიღებულია საბრუნავი კაპიტალის დაყოფა მუდმივ და ცვალებად საბრუნავ კაპიტალად.

მუდმივი საბრუნავი კაპიტალი შეიძლება განისაზღვროს როგორც საწარმოო პროცესის განსახორციელებლად საჭირო მიმდინარე აქტივების მინიმუმი. ეს იმას ნიშნავს, რომ საწარმოსათვის აუცილებელია საბრუნავი საშუალებების მინიმუმი, მაგალითად ფულადი სახსრების მუდმივი ნაშთი ანგარიშსწორების ანგარიშზე (სარეზერვო კაპიტალი).

ცვალებადი საბრუნავი კაპიტალი (მიმდინარე აქტივების ვარირებადი ნაწილი) ასახავს დამატებით მიმდინარე აქტივებს, რომლებიც აუცილებელია წარმოების პიკის პერიოდებში ანდა სადაზღვევო მარაგების სახით.

საბრუნავი კაპიტალის მართვა, ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც მიმდინარე აქტივების ოდენობისა და სტრუქტურის, მათი დაფარვის წყაროების და მათ შორის თანაფარდობის განსაზღვრა, რაც საჭიროა საწარმოს გრძელვადიანი საწარმოო და ეფექტიანი ფინანსური საქმიანობის უზრუნველსაყოფად. სინამდვილეში, ვალდებულებების შეუსრულებლობამ კრედიტორების წინაშე შეიძლება გამოიწვიოს ეკონომიკური კავშირების გაწყვეტა მათი თანმდევი მთელი რიგი ნეგატიური შედეგებით. [15]

ზემოთ ჩამოყალიბებულ მიზნობრივ დებულებას აქვს სტრატეგიული მნიშვნელობა, რამდენადაც საბრუნავი კაპიტალის ოპტიმალური თანაფარდობის შენარჩუნება ხელს უწყობს სამეურნეო საქმიანობის სტაბილურობას.

კონკრეტული საწარმოსათვის რეალურია საბრუნავი კაპიტალის მართვის სტრატეგიის ოთხი მოდელი: საბრუნავი კაპიტალის მართვის იდეალური მოდელი, კონსერვატორული მოდელი, აგრესიული მოდელი და კომპრომისული მოდელი. თუმცა საბრუნავი კაპიტალის ფინანსური მართვის მოდელები ხელოვნური ხასიათის მატარებლები არიან და მაინც, კომპრომისული მოდელი შედარებით რეალურია. ამ შემთხვევაში არასაბრუნავი აქტივები, მიმდინარე აქტივების სისტემური ნაწილი და მიმდინარე აქტივების ვარირებადი ნაწილის დაახლოებით ნახევარი იფარება გრძელვადიანი პასივებით. განსაზღვრულ მომენტებში საწარმოს შეიძლება ჰქონდეს ჭარბი მიმდინარე აქტივები, რაც უარყოფითად

იმოქმედებს მოგებაზე, თუმცა ეს განიხილება როგორც გადასახდელი ლიკვიდობის სათანადო დონეზე დანაკარგების რისკისათვის.

საბრუნავი კაპიტალის ფორმირების ყველა წყარო შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად:

- საკუთარი და მოზიდული.

- საბრუნავი კაპიტალის ფორმირების საკუთარ წყაროებს განეკუთვნება: საწესდებო კაპიტალი, მოგება, სარეზერვო ფონდის, მოხმარების ფონდის, სოციალური განვითარების ფონდის, კეთილდღეობის ფონდის, სარემონტო ფონდის, შვებულებების ფონდის, მიმდინარე გადახდების რეზერვების გამოუყენებელი ნაშთი.

საწესდებო კაპიტალი ყალიბდება მონაწილეთა საპაიო შენატანების საფუძველზე. შენატანები შეიძლება წარმოდგენილი იქნას როგორც ფულად, ასევე მატერიალური ფასეულობების სახით.

მოგების საფუძველზე იქმნება საწარმოს ფინანსური ბაზა, სრულდება ბიუჯეტის, ბანკებისა და სხვა საწარმოების წინაშე აღებული ვალდებულებები. მოგების ბაზაზე საწარმოები ქმნიან დაგროვების და მოხმარების ფონდებს, აქციონერებს ურიცხავენ დივიდენდებს და ახორციელებენ იმ დანახარჯებს, რომელთა ჩართვა პროდუქციის თვითღირებულებაში არ შეიძლება. საწარმოში დარჩენილი მოგება შეიძლება განაწილდეს შემდეგი მიზნებისათვის: გადარიცხვები სარეზერვო, მოხმარების, დაგროვების ფონდებში საწარმოს აქტივების ზრდისათვის.[16]

საბრუნავი კაპიტალის ფორმირების მოზიდული წყაროების რიცხვს შეიძლება მივაკუთვნოთ ბანკის კრედიტები, კომერციული კრედიტები, ასევე საკრედიტო დავალიანება. მოზიდული სახსრებიდან იფარება საწარმოს მოთხოვნა საბრუნავ სახსრებზე, რაც შესაძლებელს ხდის შეძენილი იქნას ნედლეული, სათბობი, შეიქმნას მარაგები გადაუვადდეს გადასახადები მყიდველებს.

თანამედროვე პირობებში წარმოჩინდა საბრუნავი კაპიტალის დაფინანსების რიგი დამატებითი წყაროები. ეს დაკავშირებულია მყარ

პასივებთან, რომლებიც შეიძლება შეადგენდნენ იმ მსხვილი საწარმოების დაფინანსების წყაროების მნიშვნელოვან ნაწილს, რომელთაც შრომის ანაზღაურების დიდი ფონდი და ბიუჯეტში ასევე დიდი გადახდები აქვთ. შედეგად სახელფასო დავალიანება და გადახდები ბიუჯეტში გამუდმებით არის საწარმოს ბრუნვაში და შეიძლება გაუტოლდეს საბრუნავ კაპიტალს.

საკუთარი საბრუნავი საშუალებების ნაკლებობა საწარმოში შეიძლება დამოკიდებული იყოს ანდა არ იყოს დამოკიდებული თვით საწარმოს მუშაობაზე. საწარმომ შეიძლება ვერ შეძლოს საკუთარი საბრუნავი საშუალებების შენარჩუნება ანუ შეიძლება დაკარგოს განსაზღვრული თანხა. შეიძლება ჰქონდეს ზეგეგმიური ზარალი, არაკანონიერად მოიზიდოს საბრუნავი კაპიტალი (კაპიტალური მშენებლობის საჭიროებისათვის, მოგების მიუღებლობის დროს).

უნდა აღინიშნოს, რომ საბრუნავი საშუალებების მდგომარეობაზე არსებით გავლენას ახდენს ის ეკონომიკური პირობები, რომელშიც ფუნქციონირება უხდება საწარმოს. გაზრდილი ფასები შეძენილ სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობებზე იწვევს საწარმოებში საკუთარი საბრუნავი საშუალებების დიდი მაშტაბებით დეფიციტს.

1.1.3. საბრუნავი კაპიტალის შემადგენლობისა და სტრუქტურის მაჩვენებლები


განვსაზღვროთ ცნება "სტრუქტურა", როგორც სოციალურ-ეკონომიკური მოვლენა. სტრუქტურა ეს არის ობიექტის შინაგანი კავშირების მყარი ერთიანობა, რომელიც უზრუნველყოფს მის მთლიანობას.

რამდენადაც მიმდინარე აქტივები (საბრუნავი კაპიტალი) დიდი ხვედრითი წილითაა წარმოდგენილი საწარმოს აქტივების მთლიანობაში, ყოველი სახეობის ხვედრითი წილის განხილვისას დასტურდება ურთიერთმიმართების ოპტიმალური თანაფარდობა საწარმოს საქმიანობისათვის. სტაბილური საწარმოო პროცესისათვის, როგორც წესი, დამახასიათებელია საბრუნავი კაპიტალის სტაბილური სტრუქტურა.

საბრუნავი კაპიტალის შემადგენლობის დასახასიათებლად ამოსავალი მონაცემები აიღება საანგარიშგებო წლის ბალანსიდან. როგორც წესი, გამოიყენება ბალანსის მეორე განყოფილების "საბრუნავი აქტივები" მონაცემები, სადაც წარმოდგენილია მონაცემები საწარმოს საბრუნავი საშუალებების შესახებ, რომლებიც მოიცავს ინფორმაციას მატერიალურ-საწარმოო მარაგების, ფულადი საშუალებების, ფასიანი ქაღალდების, დებიტორებთან ანგარიშგების შესახებ.

ქვეგანყოფილებაში "მარაგები" წარმოდგენილია საწარმოს საბრუნავი აქტივების ძირითადი ნაწილი, უფრო სწორად, მატერიალურ-ნივთობრივი ხასიათის მქონე აქტივები, რომლებიც უშუალოდაა ჩართული საწარმოო-ტექნოლოგიურ პროცესში.

მატერიალურ-საწარმოო მარაგების შემადგენლობაში ანგარიშგების მიხედვით შედის: მზა პროდუქცია, დაუმთავრებელი წარმოება, ნედლეული, მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნები და გადმოტვირთული საქონელი. მატერიალურ-საწარმოო მარაგები (გადმოტვირთული საქონლის გამოკლებით) არის შედარებით ლიკვიდური მუხლები საბრუნავი საშუალებების მუხლებს შორის. ამ მუხლის ფულად სახსრებად გარდასაქმნელად საჭიროა დრო არა მარტო იმისათვის, რომ მოიძებნოს მყიდველი, არამედ იმისთვისაც, რომ მიღებული იქნას ანაზღაურება პროდუქციაზე. ასე, რომ ხორციელდება საბრუნავი საშუალებების (აქტივების) ტრანსფორმაცია. (ნახ.1.) ამ მუხლმა შეიძლება შეადგინოს მნიშვნელოვანი ხვედრითი წილი არა მარტო საბრუნავი სახსრების შემადგენლობაში, არამედ საწარმოს აქტივებშიც, რაც შეიძლება იმის დასტური იყოს, რომ საწარმოს აქვს შეფერხებები პროდუქციის გასაღების საქმეში. ეს, თავის მხრივ, განპირობებულია პროდუქციის დაბალი ხარისხით, წარმოების ტექნოლოგიის დარღვევით და რეალიზაციის არაეფექტური მეთოდების შერჩევით, ბაზრის მოთხოვნისა და კონიუნქტურის არასათანადო დონეზე შესწავლით.



ნახ.1. საბრუნავი კაპიტალის ტრანსფორმაციის სქემა

მატერიალურ-საწარმოო მარაგების ოპტიმალური დონის დარღვევა იწვევს საწარმოო საქმიანობაში ზარალს, რამდენადაც ჯერ ერთი, ზრდის ფინანსურ დანახარჯებს მარაგების შენახვაზე; მეორეც, აღიძვრს ამ საქონლის და მისი სამომხმარებლო თვისებების გაუფასურების საფრთხეს; მესამეც, განაპირობებს კლიენტების დაკარგვას.

დებიტორული დავალიანება მოსალოდნელი გადახდების ვადებზე დამოკიდებულებით ბალანსში წარმოდგენილია მუხლების ორი ჯგუფით: "დებიტორული დავალიანება" (რომელთა მიხედვით გადახდები მოსალოდნელია საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვეზე მეტი ხნის შემდეგ); "დებიტორულ დავალიანება" (რომელთა მიხედვით გადახდები მოსალოდნელია საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვის განმავლობაში).

დებიტორული დავალიანება პირობითად ორ სახეობად შეიძლება დაიყოს: ნორმატიულად და არანორმატიულად. ნორმატიული დებიტორული დავალიანება ყალიბდება საქონელსა და მომსახურებაზე გამოყენებული ანგარიშსწორების ფორმების შედეგად, როცა სახსრები გაიცემა სხვადასხვა საჭიროებებზე ანგარიშგებით, როდესაც პრეტენზიები წაეყენება სხვა საწარმოებს. გაუმართლებელ დებიტორულ დავალიანებას ადგილი აქვს საწარმოს მუშაობაში ნაკლოვანებების შედეგად, როცა ვლინდება მატერიალურ-სასაქონლო ფასეულობებისა და ფულადი სახსრების უკმარისობა, გადახარჯვა ანდა დატაცება. მსხვილი დებიტორული დავალიანების არსებობა უარყოფითად მოქმედებს საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე, ხოლო მისი ზრდა დინამიკაში ადასტურებს საწარმოს ფინანსური მდგომარეობის გაუარესებას.

ჯგუფში "მოკლევადიანი ფინანსური დაბანდებები" მითითებულია მოკლევადიანი ინვესტიციები საწარმოში, რომლის სიდიდე დამოკიდებულია საზოგადოების სახეზე, სხვა ორგანიზაციებში ფასიან ქაღალდებზე. ფასიან სახელმწიფო ქაღალდებზე, ასევე საწარმოს მიერ სხვა ორგანიზაციებისადმი მიცემული სესხები. ამის გარდა ცალკე სტრიქონადაა გამოყოფილი საკუთარი, აქციონერების მიერ გამოსყიდული აქციები.[17]

მოკლევადიანი ფინანსური დაბანდებები წარმოადგენენ ადვილად რეალიზებად ფასიან ქაღალდებს, რომელსაც საწარმოსათვის შემოსავალი მოაქვს პროცენტის ანდა დივიდენდის სახით. ეს ქაღალდები საჭიროების შემთხვევაში შეიძლება ადვილად რეალიზებული იქნას ფასიანი ქაღალდების ბაზარზე და გარდაიქმნას ნაღდ ფასეულობებად.

სახელმწიფო ანდა კერძო ფასიანი ქაღალდების შესყიდვა ხორციელდება არა გასაღების ბაზრების მოსაპოვებლად ანდა სხვა საწარმოებზე გავლენის მოსახდენად, არამედ ხორციელდება დროებით თავისუფალი ფულადი სახსრების წარმატებულად განსათავსებლად.

ფასიანი ლიკვიდური ქაღალდები საწარმოების მიერ შეისყიდება დროის იმ პერიოდში, როცა მოთხოვნა ნაღდ ფულად სახსრებზე არ არის მოკლევადიანი ვალდებულებების დასაფარავად.

მუხლების ჯგუფში: "ფულადი სახსრები" მითითებულია ფულადი სახსრების ნაშთი სალაროში, საანგარიშგებო და სავალუტო ანგარიშებზე, ბანკებში, მას ასევე მიეწერება ფულადი დოკუმენტები: საპაიო მარკები, საბაჟო მარკები, განაღდებული ავიაბილეთები და სხვა. ფულად დოკუმენტებს მიეკუთვნება ასევე აქციონერებიდან გამოსყიდული საწარმოს საკუთარი აქტივები.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მიმდინარე აქტივების მუხლებს შეიძლება მივაკუთვნოთ როგორც საბრუნავი საწარმოო ფონდები და მიმოქცევის ფონდი, ამავდროულად ყურადღებას იმსახურებს დანახარჯების მარაგების მდგომარეობის შეფასება. კერძოდ: საწარმოო მარაგები; დაუმთავრებელი წარმოება; მომავალი პერიოდის ხარჯები; მზა

პროდუქცია; სხვა ხარჯები და მარაგები.

მობილურობის პოზიციიდან საბრუნავი აქტივები შეიძლება დაიყოს სამ ჯგუფად:

1) შედარებით მობილური საშუალებები:

- სალდო ანგარიშის მიხედვით: "სალარო";

- სალდო ანგარიშის მიხედვით: "ანგარიშსწორების ანგარიში".

2) სხვა მობილური აქტივები:

- მოკლევადიანი ფინანსური დაბანდებები;

- დებიტორული დავალიანება;

- ფულადი ექვივალენტები.

3) შედარებით ლიკვიდური აქტივები:

- მატერიალურ-საწარმოო მარაგები;

- დაუმთავრებელი წარმოება;

- მზა პროდუქცია და სხვ.

მიმდინარე აქტივების კლასიფიკაციის გათვალისწინებით შეიძლება გათვლილი იქნას შემდეგი მაჩვენებლები:

1) მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი.

$$K_{LT} = TA : KP \quad (1.1)$$

2) სწრაფი ლიკვიდობის კოეფიციენტი.

$$K_{LT} = (DC + DB) : KP \quad (1.2)$$

3) აბსოლუტური ლიკვიდობის კოეფიციენტი.

$$K_{LB} = DC : KP \quad (1.3)$$

მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი გვიჩვენებს, თუ რამდენადაა უზრუნველყოფილი მიმდინარე მოკლევადიანი ვალდებულებები საბრუნავი კაპიტალით. ეკონომიკური აზრი იმაში მდგომარეობს, რომ განისაზღვრება ფინანსური წყაროების რაოდენობა ჩადებული საბრუნავ საშუალებებში.

სწრაფი ლიკვიდობის კოეფიციენტის გამოყენება საშუალებას იძლევა შეფასდეს აქტივების ტრანსფორმაცია ფულად სახსრებში.

აბსოლუტური ლიკვიდობის კოეფიციენტი გვიჩვენებს, რა ოდენობას მოკლევადიანი ნასესხები ვალდებულებები შეიძლება დაიფაროს დაუყოვნებლივ.

ბევრი ზემოთწარმოდგენილი მაჩვენებელი ამა თუ იმ ხარისხით გამოიყენება საწარმოს სამეურნეო საქმიანობაში. თუმცა უმჯობესია გარდაიქმნას ბალანსი მუხლების აგრეგირების გზით და მათი გადაჯგუფებით. ამის შესაბამისად ბალანსის აქტივი ასე წარმოგვიდგება:

- ქონება, სულ.

მათ შორის:

ა) იმობილიზებული აქტივები;

ბ) საბრუნავი აქტივები.

- მარაგები;

- დებიტორული დავალიანება;

- ფულადი სახსრები.

ასეთი მიდგომა უფრო უკეთესია ანგარიშგების ალგორითმების ლოგიკის პოზიციებიდან, რამდენადაც ყოველწლიურად იცვლება საწარმოს ბალანსი, შემჭიდროვებული ბალანსის აგება საშუალებას იძლევა გათვლების ალგორითმები უცვლელი დარჩეს.

ამრიგად, საბრუნავი საშუალებების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლება შეუძლებელია მათი სწორი ორგანიზაციის გარეშე. აუცილებელია, რომ თითოეულ საწარმოსა და ორგანიზაციაში დადგინდეს საბრუნავი საშუალებების რაციონალური სტრუქტურა, მიღწეული იქნეს წარმოებისა და მიმოქცევის სფეროში, მატერიალურ და დანარჩენ აქტივებში დაბანდებულ საბრუნავ საშუალებებს შორის არსებული თანაფარდობის მკვეთრი გაუმჯობესება ზედმეტი სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა შემცირებით, გაგზავნილი საქონლისა და ჩაბარებული სამუშაოების ღირებულების და დანარჩენი დებიტორული დავალიანების ამოღებით და შემდგომისათვის ანგარიშსწორების მოწესრიგებით.

1.1.4. საბრუნავი კაპიტალის მენეჯმენტის ანალიზი საქართველოს მრეწველობაში

საბრუნავი კაპიტალის ეფექტიანობით მნიშვნელოვნად განისაზღვრება ფირმის საერთო ეფექტიანობა, ამიტომ მისი მართვა მენეჯმენტის ერთ-ერთი ძირითადი საკითხია.

საბრუნავი ფონდების სტრუქტურა მრეწველობის სხვადასხვა დარგებში სხვადასხვაა და იგი დამოკიდებულია წარმოების ტექნიკურ დონეზე, საწარმოთა სპეციალიზაციის ხარისხსა და გადასამუშავებელი მასალების თავისებურებებზე. პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის შეუფერხებელი პროცესის უზრუნველსაყოფად თითოეული საწარმო უნდა ფლობდეს ერთდროულად საბრუნავ საწარმოო ფონდს (კაპიტალს) და მიმოქცევის ფონდს (კაპიტალს).

საწარმოთა ეფექტიანი მუშაობა დიდად არის დამოკიდებული საბრუნავი საშუალებებით უზრუნველყოფის ხარისხზე. არასაკმარისი მოცულობის საბრუნავი საშუალებების პირობებში შეუძლებელია სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა მარაგების საკმარის რაოდენობით შექმნა, ეს კი თავის მხრივ ამცირებს წარმოების მოცულობას და პირიქით, ზედმეტი მარაგების პირობებში ხდება წარმოების პროცესში მათი არაეფექტიანი, უყარათო ხარჯვა. ამიტომ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საბრუნავი საშუალებების სწორად განსაზღვრავს, ნორმირებას. საბრუნავი კაპიტალის სიდიდე და შემადგენლობა დარგთან დამოკიდებულებით განისაზღვრება. ზოგიერთი სახეობის ბიზნესში საბრუნავი კაპიტალის ინვესტიციები შეიძლება იყოს საგრძნობლად მნიშვნელოვანი. მაგალითად, მრეწველობაში დიდი თანხები ჩაიდება ნედლეულში, დაუმთავრებელ წარმოებასა და მზა პროდუქციის მარაგებში. ხშირად ხორციელდება პროდუქციის გაყიდვა კრედიტით, რაც განაპირობებს დიდი რაოდენობით დებიტორული დავალიანების წარმოქმნას. საწარმოს საბრუნავი აქტივების მიზანმიმართული მართვა განსაზღვრავს მისი წინასწარი კლასიფიკაციის აუცილებლობას, რომელიც აიგება შემდეგი ძირითადი ნიშნების მიხედვით:

1) ფინანსური წყაროების ფორმირების მიხედვით გამოყოფენ საერთო, წმინდა და საკუთარ საბრუნავ აქტივებს:

ა) საერთო საბრუნავი აქტივები ახასიათებენ მათ საერთო ოდენობას, რომელიც ფორმირებულია როგორც საკუთარი, ასევე ნასესხები კაპიტალის ხარჯზე;

ბ) წმინდა საბრუნავი აქტივები (ანუ წმინდა სამუშაო კაპიტალი) ახასიათებს მათი სიდიდის იმ ნაწილს, რომელიც ფორმირებულია საკუთარი და გრძელვადიანი ნასესხები კაპიტალის ხარჯზე;

გ) საკუთარი საბრუნავი აქტივები ახასიათებენ მათ იმ ნაწილს, რომელიც ჩამოყალიბებულია საწარმოს საკუთარი კაპიტალის ხარჯზე.

2. საბრუნავი აქტივების სახეები. ამ ნიშნის მიხედვით ისინი კლასიფიცირდებიან შემდეგნაირად:

ა) ნედლეულის, მასალების და ნახევარფაბრიკატების მარაგები;

ბ) მზა პროდუქციის მარაგები. ამ სახის საბრუნავ აქტივებს ემატება ჩვეულებრივ დაუმთავრებელი წარმოების სიდიდე;

გ) მიმდინარე დებიტორული დავალიანება. იგი ახასიათებს დავალიანების სიდიდეს საწარმოს სასარგებლოდ, რაც წარმოდგენილია იურიდიული და ფიზიკური პირების ფინანსური ვალდებულებების გათვლილ საქონელზე, მომსახურებაზე გაცემული ავანსების მიხედვით;

დ) ფულადი აქტივები. თანამედროვე პრაქტიკაში მათ მიეკუთვნება არა მარტო ფულადი ნაშთები ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში, არამედ მოკლევადიანი მაღალლიკვიდური ფინანსური ინვესტიციები, რომლებიც თავისუფლად კონვერსირებადი არიან ფულად ფორმაში და ხასიათდებიან ცვლილების უმნიშვნელო რისკით;

ე) სხვა საბრუნავი აქტივები, რომლებიც არ განეკუთვნებიან ზემოთ ჩამოთვლილ აქტივებს, მაგრამ ასახულია მათ საერთო ოდენობაში.

3. საოპერაციო პროცესში მონაწილეობის ხასიათი.

ა) საბრუნავი აქტივები, რომლებიც ემსახურებიან საწარმოს საწარმოო ციკლს;

ბ) საბრუნავი აქტივები, რომლებიც ემსახურებიან საწარმოს ფინანსურ (ფულად ციკლს).

4. საბრუნავი აქტივების ფუნქციონირების პერიოდი. ამ ნიშნის მიხედვით გამოყოფენ მის შემდეგ სახეებს:

ა) საბრუნავი აქტივების მუდმივი ნაწილი. ესაა მათი უცვლელი ნაწილი, რომელიც არაა დამოკიდებული საწარმოს საოპერაციო საქმიანობის

სეზონურ და სხვა სახის რყევებზე. სხვა სიტყვებით, იგი განიხილება როგორც საბრუნავი აქტივების უცვლელი მინიმუმი, რაც აუცილებელია საწარმოს საოპერაციო საქმიანობის განსახორციელებლად;

ბ) საბრუნავი აქტივების ცვალებადი ნაწილი. იგი წარმოადგენს ვარირებად ნაწილს, რომელიც დაკავშირებულია პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის სიდიდის სეზონურ ზრდასთან.

საბრუნავი კაპიტალი (working capital) განისაზღვრება, როგორც საბრუნავი აქტივების სიდიდეს მინუს მოკლევადიანი ვალდებულებები ანუ კრედიტორული დავალიანება ერთ წელზე ნაკლები ვადით დაფარვისას.

საბრუნავი აქტივების მნიშვნელოვანი ელემენტებია:

1. მარაგი;
2. დებიტორული დავალიანება;
3. ფულადი საშუალებები (როგორც სალაროში, ისე საბანკო ანგარიშებზე).


მოკლევადიანი ვალდებულებების ძირითად ელემენტებად გვევლინება:

1. კრედიტორული დავალიანება;
2. საბანკო კრედიტი.

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ საბრუნავი კაპიტალის სიდიდე და შემადგენლობა დარგთან დამოკიდებულებით განისაზღვრება. ზოგიერთი სახეობის ბიზნესში საბრუნავი კაპიტალის ინვესტიციები შეიძლება იყოს საგრძნობლად მნიშვნელოვანი.

საბრუნავი კაპიტალი წარმოადგენს წმინდა ინვესტიციებს მოკლევადიან აქტივებში, ამ აქტივების მოძრაობა წარმოქმნის მუდმივ ბრუნვას, რაც აუცილებელია ყოველდღიური წარმოების უზრუნველსაყოფად.[18]

საბრუნავი კაპიტალის მართვა წარმოადგენს მოკლევადიანი დაგეგმვის მნიშვნელოვან შემდგენელ ნაწილს. ის აუცილებელია იმისათვის, რომ მენეჯერებმა იცოდნენ თუ როგორი სიდიდის უნდა იყოს თითოეული ელემენტი და ასევე კაპიტალის სტრუქტურა, რადგან შეიძლება წარმოიქმნას დანახარჯი, დაკავშირებული საბრუნავი აქტივის როგორც ჭარბ, ისე არასაკმარის მოცულობასთან.




ნახ.2 საწარმოს საბრუნავი კაპიტალის კლასიფიკაცია

ეკონომიკის სხვადასხვა დარგებში საბრუნავი საშუალებების სხვადასხვა სტრუქტურაა, რაც განპირობებულია იმით, რომ სახსრების მოძრაობა ცალკეულ ეტაპებზე სხვადასხვა დარგებში ერთნაირი არ არის. საწარმოთა საბრუნავი საშუალებები შეიძლება დავყოთ ორ ჯგუფად. პირველ ჯგუფს მიეკუთვნება სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობებში დაბანდებული საშუალებები, ე.ი. მატერიალური საბრუნავი საშუალებები: საწარმოთა მარაგი, დაუმთავრებელი წარმოება, მომავალი პერიოდის ხარჯები, მზა პროდუქცია, საქონელი, დანარჩენი მარაგი და დანახარჯები, ანუ საშუალებები, რომელთაც გავლილი აქვთ შესაბამისობა სტანდარტებთან და მიღება ჩაბარების დოკუმენტით არის გაფორმებული. მათ ეწოდება ნორმირებული საბრუნავი საშუალებები. მეორე ჯგუფს მიეკუთვნება ფულადი საშუალებები, აგრეთვე სახსრები, რომლებიც დაბანდებულია გაგზავნილ საქონელში, გაწეულ მომსახურებაში, ფასიან ქაღალდებში და მათ ეწოდება არანორმირებული საბრუნავი საშუალებები. კვლავწარმოების სტადიების მომსახურების მიხედვით უნდა განვასხვაოთ საბრუნავი საშუალებები წარმოების სფეროში და საბრუნავი საშუალებები მიმოქცევის სფეროში. წარმოების სფეროში საბრუნავი საშუალებები დაბანდებულია საწარმოო მარაგებში, დაუმთავრებელ წარმოებასა და მომავალი პერიოდის ხარჯებში. მიმოქცევის სფეროში საბრუნავი საშუალებები დაბანდებულია მზა პროდუქციაში, საქონელში, გადაგზავნილ საქონელში, ჩაბარებულ სამუშაოებსა და გაწეულ მომსახურებაში, ფულად საშუალებებში. წარმოების სფეროში დაბანდებული საბრუნავი საშუალებები ქმნის პირობებს საწარმოთა ნორმალური საწარმოო საქმიანობისათვის, მიმოქცევის სფეროში დაბანდებულმა საბრუნავმა საშუალებებმა კი უნდა უზრუნველყოს პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) რეალიზაციის შეუფერხებელი პროცესი და ანგარიშსწორების დროული დამთავრება. თანაფარდობა წარმოების სფეროსა და მიმოქცევის სფეროში სხვადასხვაგვარია მრეწველობის სხვადასხვა დარგებში, რაც ძირითადად განპირობებულია წარმოების, მომარაგების, გასაღების და აგრეთვე ანგარიშსწორების სისტემის თავისებურებებით.

საწარმოს წარმატებული ფუნქციონირებისათვის უმჯობესია ფულადი საშუალებების ხვედრითი წონის გადიდება, რაც იქნება საბრუნავი საშუალებების ბრუნვადობის დაჩქარებისა და ეფექტიანად გამოყენების შედეგი.


მრეწველობა

2010 წელს, საქართველოში, მრეწველობის დარგში შექმნილმა დამატებულმა ღირებულებამ 3 056,3 მლნ ლარი შეადგინა, რაც გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 27.5%-ით აღემატება. ამავე პერიოდში სექტორის წილი მშპ-ში 16.9% შეადგინა. 2009 წელს მთლიან შიდა პროდუქტში მრეწველობის დარგში შექმნილმა დამატებულმა ღირებულებამ 2 399,8 მლნ ლარი შეადგინა, რაც მთლიანი შიდა პროდუქტის 15.4%-ია.



ნახაზი 3. მრეწველობის წილი მშპ-ში

მრეწველობა მოიცავს შემდეგ დარგებს: ა) სამთომოპოვებითი მრეწველობა; ბ) დამამუშავებელი მრეწველობა; გ) ელექტროენერჯის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება დ) პროდუქციის გადამამუშავება შინამეურნეობების მიერ. 2010 წელს მრეწველობაში ყველაზე დიდი წილი დამამუშავებელ მრეწველობას უკავია, რაც მთლიანი შიდა პროდუქტის 9.9%-ს შეადგენს.



ნახაზი 4. მრეწველობის წილი მშპ-ში 2010 წელს

I. მრეწველობა ეკონომიკური საქმიანობის მიხედვით

➤ ბრუნვა


2010 წელს მრეწველობის ბრუნვის მოცულობამ, ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით, 5 272 მლნ. ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 20%-ით აღემატება.




ნახაზი 5. ბრუნვის მოცულობა (2002-2010)

2010 წლის მონაცემებით, მრეწველობის დარგების ბრუნვის მოცულობა შემდეგნაირად ნაწილდება: დამამუშავებელი მრეწველობა - 3 686,0 მლნ. ლარი (45%); ელექტროენერჯის, აირისა და წყლის წარმოება - განაწილება - 1 331,6 მლნ. ლარი (46%); სამთომოპოვებითი მრეწველობა - 254,4 მლნ. ლარი (9%).


ბრუნვის მოცულობა ეკონომიკური საქმიანობის მიხედვით (2010)



სამთომშობვებითი მრეწველობა (2010წ)




ელექტრო-ენერჯის, აირისა და წყლის წარმოება-განაწილება (2010)



ნახაზი 6. ბრუნვის მოცულობა ეკ. საქმიანობის მიხედვით

დამამუშავებელი მრეწველობა (2010 წ)



ნახაზი 7. დამამუშავებელი მრეწველობა

გამოშვება


2010 წელს მრეწველობის პროდუქციის გამოშვებამ, ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით, 4 566,0 მლნ. ლარი შეადგინა, რაც 2009 წლის მაჩვენებელს 20%-ით აღემატება.




ნახაზი 8. პროდუქციის გამოშვება ეკ.საქმიანობის მიხედვით(2002-2010)

2010 წლის მონაცემებით, მრეწველობის დარგების წილები შემდეგნაირად ნაწილდება: დამამუშავებელი მრეწველობა - 2 453 მლნ. ლარი (75%); ელექტრო-ენერჯის, აირისა და წყლის წარმოება-განაწილება - 613,7 მლნ. ლარი (19%); სამთომომპოვებითი მრეწველობა - 189,7 მლნ. ლარი (6%)


მრეწველობის პროდუქციის გამოშვება ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით (2010)



სამთომოპოვებითი მრეწველობა (2010 წ)




ელექტროენერჯის, აირისა და წყლის წარმოება-განაწილება (2010წ)




ნახაზი 9. პროდუქციის გამოშვება ეკ.საქმიანობის მიხედვით(2002-2010)

დამამუშავებელი მრეწველობა (2010 წ)



➤ მრეწველობის სექტორს ბრუნვა და გამოშვება წლების მიხედვით

ბრუნვა და გამოშვება
(%-ლი ცვლილება, 2003-2010)




ნახაზი 11. ბრუნვა და გამოშვება


□ დასაქმება

2010 წლის მონაცემებით, მრეწველობაში დასაქმებულთა რაოდენობამ, ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით, 88 812 კაცი შეადგინა, რაც 5%-ით ნაკლებია 2009 წლის მონაცემებზე.

ბრუნვა და გამოშვება
(მოცულობა, 2002-2010)




ნახაზი 12. ბრუნვა და გამოშვება (2002-2010)



ნახაზი 13. დასაქმებულთა რაოდენობა

2010 წელს მრეწველობაში დასაქმებულთა რაოდენობა ასე გამოიყურება: დამამუშავებელი მრეწველობა - 63 391 კაცი; ელექტრო-ენერჯის, აირისა და წყლის წარმოება-განაწილება - 20 175 კაცი; სამთომპოვებითი მრეწველობა - 5 246 კაცი.


მრეწველობაში დასაქმებულთა რაოდენობა ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით (2010)



ნახაზი 14. დასაქმებულთა რაოდენობა ეკ.საქმიანობის მიხედვით


მრეწველობა საწარმოთა ზომის მიხედვით
 □ br unva

2010 წელს, მრეწველობის ბრუნვის მოცულობამ, საწარმოთა ზომის მიხედვით, 5 272.0 მლნ. ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 30%-ით აღემატება.



ნახაზი 15. ბრუნვის მოცულობა საწარმოთა ზომის მიხედვით

მრეწველობაში ბრუნვის მოცულობა საწარმოთა ზომის მიხედვით (2010წ)




ნახაზი 16. ბრუნვის მოცულობა 2010 წ.

2010 წლის მონაცემებით, მრეწველობის ბრუნვის მოცულობა, საწარმოთა ზომის მიხედვით ასე ნაწილდება: მსხვილი საწარმოები - 4683,7 მლნ. ლარი; საშუალო საწარმოები - 292,8 მლნ. ლარი; □ *ძირე საწარმოები* – 295,5 მლნ. ლარი.

□
გამოშვება


2010 წელს მრეწველობის პროდუქციის გამოშვებამ საწარმოთა ზომის მიხედვით 4 566,0 მლნ. ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 20%-ით აღემატება.



ნახაზი 17. პროდუქციის გამოშვება საწარმოთა ზომის მიხედვით

2010 წლის მონაცემებით, მრეწველობაში გამოშვებული პროდუქციის მოცულობა საწარმოთა ზომის მიხედვით ასე გამოიყურება: მსხვილი საწარმო - 4 002.5 მლნ. ლარი; საშუალო საწარმო - 276.6 მლნ. ლარი; მცირე საწარმო - 286.9 მლნ. ლარი.

მრეწველობის პროდუქციის გამოშვება საწარმოთა ზომის მიხედვით (2010)




ნახაზი 18. მრეწველობის პროდუქციის გამოშვება საწარმოთა ზომის მიხედვით

□ დასაქმება

2010 წელს მრეწველობაში დასაქმებულთა რაოდენობამ, საწარმოთა ზომის მიხედვით, 88 812 კაცი შეადგინა, რაც 4.5%-ით ნაკლებია 2009 წლის მაჩვენებელზე.


მრეწველობაში დასაქმებულთა რაოდენობა საწარმოთა ზომის მიხედვით



ნახაზი 19. დასაქმებულთა რაოდენობა

2010 წლის მონაცემებით, მრეწველობაში დასაქმებულთა რაოდენობა, საწარმოთა ზომის მიხედვით, შემდეგნაირად ნაწილდება: მსხვილი საწარმო - 61 809 კაცი; საშუალო საწარმო - 9 968 კაცი; მცირე საწარმო - 15 929 კაცი.

მრეწველობაში დასაქმებულთა რაოდენობა საწარმოთა ზომის მიხედვით 2010




ნახაზი 20. დასაქმებულთა რაოდენობა 2010წ

რეგიონების მიხედვით ბრუნვა

2009 წელს მრეწველობის ბრუნვის მოცულობამ 4 407.4 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო რეგიონების მიხედვით მრეწველობის ბრუნვის მოცულობა შემდეგნაირად ნაწილდება:

□

მრეწველობაში დასაქმებულთა რაოდენობა (2009წ)



ნახაზი 21. დასაქმებულთა რაოდენობა 2009 წ.

სამრეწველო პროდუქციის წარმოების მოცულობა ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით და საწარმოთა რიცხვი ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით

	2000		2001		2002		2003		2004		2005		2006		2007		2008		2009		2010		2011	
	საწარ.რიგ. (ერთ)	სამრეწ. პრ.მოც. (მილ.)	საწარ.რიგ. (ერთ)	სამრეწ. პრ.მოც. (მილ.)	საწარ.რიგ. (ერთ)	სამრეწ. პრ.მოც. (მილ.)	საწარ.რიგ. (ერთ)	სამრეწ. პრ.მოც. (მილ.)	საწარ.რიგ. (ერთ)	სამრეწ. პრ.მოც. (მილ.)	საწარ.რიგ. (ერთ)	სამრეწ. პრ.მოც. (მილ.)	საწარ.რიგ. (ერთ)	სამრეწ. პრ.მოც. (მილ.)	საწარ.რიგ. (ერთ)	სამრეწ. პრ.მოც. (მილ.)	საწარ.რიგ. (ერთ)	სამრეწ. პრ.მოც. (მილ.)	საწარ.რიგ. (ერთ)	სამრეწ. პრ.მოც. (მილ.)	საწარ.რიგ. (ერთ)	სამრეწ. პრ.მოც. (მილ.)	საწარ.რიგ. (ერთ)	სამრეწ. პრ.მოც. (მილ.)
მრეწველობა-სულ (C+D+E) მ.შ.	3328	1,132	3233	1,154	3198	1,308	3049	1,549	3433	1,754	4632	2,202	4139	2,779	3206	3,583	2798	3,821	2770	3,965	2820	3,968	1899	4,012
სექცია C სამთო- მოპოვებითი მრეწველობა	2997	68,5	2935	68,8	2775	76,4	3139	128,2	148	133,6	131	154,3	117	235,1	104	277,3	112	262,1	140	277,7	150	280,3	180	250,3
სექცია D დამამუშავებელი მრეწველობა	2997	644,3	657,2	657,2	2935	782,4	2775	949,2	3137	1552,7	4306	1319,1	3835	2532,9	2920	2804,5	2532	1756,1	2650	2210,3	2590	2352,1	2840	2390,4
სექცია E ელექტროენერ- გიის აირის და წყლის წარმოება და განაწილება	244	419,6	175	428,6	172	449,6	175	472,5	179	462,5	180	495,2	173	624,8	169	773,1	162	755,3	180	778,2	190	768,3	160	690,5

მრეწველობის ძირითადი მაჩვენებლები რეგიონების მიხედვით

	2000			2001			2002			2003			2004			2005		
	საწ. რაოდ. ერთ.	დასაქ. საშ. წლ. რაოდ. ათ. კაც.	წარ. სამრ. პროდ. მოც. მიუქმ. ფას. მლნ.ლარი	საწ. რაოდ. ერთ.	დასაქ. საშ. წლ. რაოდ. ათ. კაც.	წარ. სამრ. პროდ. მოც. მიუქმ. ფას. მლნ.ლარი	საწ. რაოდ. ერთ.	დასაქ. საშ. წლ. რაოდ. ათ. კაც.	წარ. სამრ. პროდ. მოც. მიუქმ. ფას. მლნ.ლარი	საწ. რაოდ. ერთ.	დასაქ. საშ. წლ. რაოდ. ათ. კაც.	წარ. სამრ. პროდ. მოც. მიუქმ. ფას. მლნ.ლარი	საწ. რაოდ. ერთ.	დასაქ. საშ. წლ. რაოდ. ათ. კაც.	წარ. სამრ. პროდ. მოც. მიუქმ. ფას. მლნ.ლარი	საწ. რაოდ. ერთ.	დასაქ. საშ. წლ. რაოდ. ათ. კაც.	წარ. სამრ. პროდ. მოც. მიუქმ. ფას. მლნ.ლარი
საქართველო - სულ	3328	102,4	1132,4	3233	90,4	1154,8	3198	84,5	1308,4	3049	82,0	1549,9	3433	85,4	1754,2	4632	94,3	2202,2
მ.შ.																		
ქ. თბილისი	1110	33,9	436,5	1164	30,0	416,1	1181	28,3	521,9	1048	26,4	624,9	1431	29,3	655,8	1741	32,2	803,5
აფხაზეთის არ	2	0,5	44,5	2	0,5	55,0	2	0,5	69,8	2	0,6	58,5	2	0,6	65,8	2
აჭარის არ	137	5,3	30,5	135	5,8	30,0	143	5,0	36,6	151	5,2	40,2	154	5,2	34,0	324	5,6	39,4
გურია	116	1,8	11,6	89	1,7	14,5	100	1,3	11,5	91	0,9	9,3	90	1,1	16,0	120	1,4	25,3
იმერეთი	656	21,7	108,1	666	17,2	114,8	637	14,4	112,0	596	14,0	141,9	621	13,8	183,1	727	15,2	254,5
კახეთი	193	4,0	20,6	197	3,7	54,8	185	3,5	48,9	195	3,3	55,0	208	3,7	60,8	365	4,7	101,6
მცხეთა მთიანეთი	108	2,2	27,5	100	1,9	24,8	110	1,6	25,3	108	1,7	42,9	119	1,8	57,3	139	2,0	63,6
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	100	1,0	10,8	108	1,1	9,1	104	0,8	7,8	99	0,9	8,7	71	0,7	5,7	83	0,6	7,1
სამეგრელო-ზემო სვანეთი	288	5,6	36,4	243	4,1	20,7	217	3,5	20,6	239	3,1	27,7	223	3,1	30,4	306	4,1	69,4
სამცხე-ჯავახეთი	123	2,5	10,0	133	2,3	45,6	140	1,9	56,8	149	2,1	64,4	133	2,0	67,7	226	2,3	97,9
ქვემო ქართლი	231	15,5	259,0	210	13,8	272,0	208	12,8	256,2	208	12,6	295,4	220	12,2	359,0	339	13,4	395,7
შიდა ქართლი	220	4,9	60,1	184	4,4	26,1	168	3,5	71,1	160	3,7	126,1	158	3,7	129,6	257	5,0	190,0

	2006			2007			2008			2009			2010			2011		
	საწ. რაოდ. ერთ.	დასაკ. საშ. წლ. რაოდ. ათ. კაც.	წარ. სამრ. პროდ. მოც. მოქმ. ფას. მლნ.ლარი	საწ. რაოდ. ერთ.	დასაკ. საშ. წლ. რაოდ. ათ. კაც.	წარ. სამრ. პროდ. მოც. მოქმ. ფას. მლნ.ლარი	საწ. რაოდ. ერთ.	დასაკ. საშ. წლ. რაოდ. ათ. კაც.	წარ. სამრ. პროდ. მოც. მოქმ. ფას. მლნ.ლარი	საწ. რაოდ. ერთ.	დასაკ. საშ. წლ. რაოდ. ათ. კაც.	წარ. სამრ. პროდ. მოც. მოქმ. ფას. მლნ.ლარი	საწ. რაოდ. ერთ.	დასაკ. საშ. წლ. რაოდ. ათ. კაც.	წარ. სამრ. პროდ. მოც. მოქმ. ფას. მლნ.ლარი	საწ. რაოდ. ერთ.	დასაკ. საშ. წლ. რაოდ. ათ. კაც.	წარ. სამრ. პროდ. მოც. მოქმ. ფას. მლნ.ლარი
საქართველო - სულ	4139	90,3	2779,0	3206	88,4	3583,3	2798	85,7	3821,8	2770	90,2	3499,3	2820	91,3	3589,3	1899	91,6	3470,4
მ.შ.																		
ქ. თბილისი	1393	36,4	1063,4	1108	37,0	1542,6	1012	36,5	1604,3	1103	35,7	1560,2	1401	38,1	1101,2	1320	37,1	1201,1
აფხაზეთის არ	2
აჭარის არ	341	6,2	75,7	301	5,3	119,8	216	4,6	96,1	210	4,8	95,4	225	4,3	97,3	227	4,2	98,8
გურია	98	1,3	40,1	125	1,8	59,1	127	1,6	75,6	110	1,7	72,3	115	1,8	71,1	116	1,6	69,4
იმერეთი	647	14,4	292,3	569	13,6	334,8	454	13,1	525,5	460	12,2	512,5	470	11,3	510,2	472	10,3	514,1
კახეთი	319	5,6	95,5	263	5,2	93,5	244	4,6	93,6	240	4,4	107,6	241	4,8	105,3	238	4,6	101,2
მცხეთა მთიანეთი	108	2,0	84,5	55	1,8	80,4	62	1,6	98,9	59	1,6	99,1	50	1,7	95,1	46	1,4	93,4
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	97	1,0	11,8	38	0,6	8,3	32	2,4	9,6	41	0,3	3,8	39	1,2	3,9	38	3,7	2,6
სამეგრელო-ზემო სვანეთი	264	3,6	62,8	216	2,8	75,3	151	2,0	38,9	152	3,1	47,5	160	3,5	48,6	158	3,7	45,9
სამცხე-ჯავახეთი	218	2,1	72,1	109	1,5	71,9	128	2,0	84,7	120	1,7	86,8	122	1,8	82,4	118	1,6	81,1
ქვემო ქართლი	418	10,5	713,5	268	13,4	851,5	189	13,3	837,2	170	14,1	856,6	173	13,9	870,1	175	13,9	875,9
შიდა ქართლი	234	6,3	238,1	149	4,4	305,2	179	4,6	313,4	180	5,8	180,3	168	4,6	181,2	165	178,6	180,6

საქართველოს მრეწველობის საბრუნავი კაპიტალის ბრუნვის სიჩქარეზე მოქმედი ფაქტორები

წლები	საქართველოს მრეწველობის საბრუნავი კაპიტალის ბრუნვის სიჩქარე	სამრეწველო პროდუქცია	დასაქმებულთა რიცხოვნობა (მრეწველობაში)	საბრუნავი კაპიტალი (მლრდ. ლარი. მრეწველობაში)	წარმოებული პროდუქცია (მლრდ. ლარი)	საწარმოთა რიცხვი (მრეწველობაში)	სამთომომოვებელი საწარმოთა რიცხვი	დამამუშავებელი საწარმოთა რიცხვი	ელექტროენერჯის აირის წყლის წარმოება განაწილება	სამრეწველო პროდუქციის მოცულობა (მლ. ლარი) სამთომომოვებითი	სამრეწველო პროდუქციის მოცულობა (მლ. ლარი) დამამუშავებელი	ელექტროენერჯის აირის წყლის წარმოება განაწილება	მთლიანი შიდა პროდუქტი	დღგ	შუალედური მოხმარება	ინვესტიციები ძირითად კაპიტალში	დაქირავებულ შრომით დასაქმებულთა რიცხოვნობა
2001	3.41	1.154	90.4	8.365	15.032	3233	2401	657	175	68.8	657.2	428.6	7.116	2.158	4.256	2.059	654.6
2002	3.45	1.308	84.5	8.658	15.369	3198	1170	1856	172	76.4	782.4	449.6	7.456	2.458	4.648	2.158	650.9
2003	3.89	1.549	82.4	8.105	16.202	3049	1175	1699	175	128.2	949.2	472.5	8.564	2.539	5.442	2.283	618.5
2004	3.14	1.754	85.4	9.569	16.365	3433	148	3111	179	133.6	1552.7	462.5	9.824	2.635	6.044	2.697	600.9
2005	3.17	2.202	94.3	9.896	16.896	4632	131	4321	180	154.3	1319.1	495.2	11.621	2.796	7.159	3.27	600.5
2006	3.25	2.779	90.3	9.658	17.045	4139	117	3849	173	235.1	2532.9	624.8	13.79	3.479	8.479	3.525	603.9
2007	3.54	3.583	84.4	10.125	17.544	3206	104	2933	169	277.3	2804.5	773.1	16.999	4.541	10.555	4.805	625.4
2008	2.98	3.821	85.7	10.236	19.65	2798	112	2525	162	262.1	1756.1	755.3	17.105	4.931	11.031	5.321	610.3
2009	3.04	3.965	90.2	10.659	20.302	2770	140	2450	180	277.3	2210.3	778.2	17.534	5.345	11.537	5.125	605.7
2010	2.95	3.968	91.3	10.958	21.025	2820	150	2480	190	280.3	2352.1	768.3	17.698	5.831	11.95	5.535	595.3
2011	3.01	4.012	91.6	11.635	22.056	1899	180	1559	160	250.3	2390.4	690.5	18.025	5.951	12.125	5.659	620.2

საქართველოს მრეწველობის საბრუნავი კაპიტალის მასალატევადობაზე მოქმედი ფაქტორები

წლები	საქართველოს მრეწველობის საბრუნავი კაპიტალის ბ მასალატევადობა	სამრეწველო პროდუქცია	დასაქმებულთა რიცხოვნობა (მრეწველობაში)	საბრუნავი კაპიტალი (მლრდ. ლარი.მრეწველობაში)	წარმოებული პროდუქცია (მრეწველობაში)	საწარმოთა რიცხვი (მრეწველობაში)	სამთომომზობველი საწარმოთა რიცხვი	დამამუშავებელი საწარმოთა რიცხვი	ელექტროენერჯის აირის წყლის წარმოება განაწილება	სამრეწველო პროდუქციის მოცულობა(მილ.ლარი) სამთომომზობველთი	სამრეწველო პროდუქციის მოცულობა(მილ.ლარი) დამამუშავებელი	ელექტროენერჯის აირის წყლის წარმოება განაწილება	მთლიანი შიდა პროდუქტი	დღგ	შუალედური მონბარება	ინვესტიციები ძირითად კაპიტალში	დაქირავებული შრომითი დასაქმებულთა რიცხოვნობა
2001	0.85	1.154	90.4	8.365	15.032	3233	2401	657	175	68.8	657.2	428.6	7.116	2.158	4.256	2.059	654.6
2002	0.84	1.308	84.5	8.658	15.369	3198	1170	1856	172	76.4	782.4	449.6	7.456	2.458	4.648	2.158	650.9
2003	0.78	1.549	82.4	8.105	16.202	3049	1175	1699	175	128.2	949.2	472.5	8.564	2.539	5.442	2.283	618.5
2004	0.71	1.754	85.4	9.569	16.365	3433	148	3111	179	133.6	1552.7	462.5	9.824	2.635	6.044	2.697	600.9
2005	0.65	2.202	94.3	9.896	16.896	4632	131	4321	180	154.3	1319.1	495.2	11.621	2.796	7.159	3.27	600.5
2006	0.62	2.779	90.3	9.658	17.045	4139	117	3849	173	235.1	2532.9	624.8	13.79	3.479	8.479	3.525	603.9
2007	0.69	3.583	84.4	10.125	17.544	3206	104	2933	169	277.3	2804.5	773.1	16.999	4.541	10.555	4.805	625.4
2008	0.61	3.821	85.7	10.236	19.65	2798	112	2525	162	262.1	1756.1	755.3	17.105	4.931	11.031	5.321	610.3
2009	0.59	3.965	90.2	10.659	20.302	2770	140	2450	180	277.3	2210.3	778.2	17.534	5.345	11.537	5.125	605.7
2010	0.58	3.968	91.3	10.958	21.025	2820	150	2480	190	280.3	2352.1	768.3	17.698	5.831	11.95	5.535	595.3
2011	0.59	4.012	91.6	11.635	22.056	1899	180	1559	160	250.3	2390.4	690.5	18.025	5.951	12.125	5.659	620.2

სს „ელექტროვაგონშემკეთებელი“ ქარხანა

წლები	ერთობ.შემოსავალი	საანგ. პერიოდისთვის სასაქ- მატერ.ფასეულობებ	შემენ.ფასეულობები	კრედიტისთვის გადახდილი ან გადასახდელი %	საამორტ.ანარიცხები	გამომუშ.პრ.დირ	ბრ.ნაღ.ანგ	დასაქმ.რაოდ.	ხელფასის ოდენობა	სალდირებული ნაშთი
2005	96514,36	875,369	36514,36	5696,36	256,698	2369,36	569,36	526	1363536	-25635
2006	10384,88	943,672	45582,61	45582,61	491,475	2587,25	25,365	421	2873022	3652
2007	13379,55	347,088	20896,07	20896,07	401352	3652,36	45,635	256	3847452	-63528,6
2008	11935,69	3858,267	3874,608	3874,608	357,939	5383,784	533,39	162	1359948	-909141
2009	20300,46	2838,221	2811,309	2811,309	341,066	8399,425	9959,599	408	2858149	2708739
2010	12522,42	1107,453	45,408	45,408	296,364	14298,37	9,696	284	2046488	260585
2011	15,369,256	1525,589	169,256	169,256	304,569	1904,302	250,62	305	2828148	12489

ცნობა ს.ს. "ელმავალმშენებელი"-ს რიგი ეკონომიკური მშენებლების შესახებ 2006-2010 წ.წ.

	2006 წ.	2007 წ.	2008 წ.	2009 წ.	2010 წ.
1	2	3	4	5	6
შემოსავალი რეალიზაციიდან	22 549 855	32 547 873	52 504 803	37 083 565	49 647 640
მათ შორის ექსპორტი	5 869 468	17 695 264	45 402 356	23 481 808	33 752 580
ბიუჯეტში გადარიცხული თანხა	1 840 345	2 551 448	3 639 440	3 717 010	5 764 715
მათ შორის: საშემოსავლო	574 021	821 360	3 061 030	1 848 679	2 088 672
სოციალური დაზღვევა	1 039 862	1 145 105	319 886		
მოგების გადასახადი	16 635	-	-	1 257 000	1 569 534
ქონების გადასახადი	104 000	117 000	135 000	223 000	971 178
მიწის გადასახადი	77 900	76 915	80 000	75 191	87 249
დღგ	36 927	391 068	43 523	313 140	336 346
სხვადასხვა საგადასახადო ვალდებულებები	-	-	-	-	710 736
სახელფასო ფონდი	4 627 582	6 855 908	11 080 620	9 528 129	9 709 897
ხელფასის საშუალო ოდენობა	310	408	753	575	609
მომუშავეთა საერთო რაოდენობა	1245	1394	1471	1381	1328
საწარმოს მთლიანი აქტივები					

ცხრილი 6–ის გაგრძელება

1	2	3	4	5	6
ძირითადი კაპიტალის საშუალო წლიური ღირებულება	46283833	48 509 337	51163635	64181589	61517601
საბრუნავი საშუალებების საშუალო წლიური აქტივი. ღირებულება					
წარმოების მთლიანი ხარჯები					
მატერიალური მარაგების საშუალო წლიური ღირებულება, მ.შ. დაუმთავრებელი წარმოება, საქონლის მარაგები	7965708	12105253	26984864	23013491	15660915
კრედიტით გაყიდული საქონლის წლიური ღირებულება	22549855	32547873	52504803	370833100	49744010
ერთ აქციაზე გაცემული დივიდენდი	-	-	-	-	-
ერთი აქციის საბაზრო ღირებულება	-	-	-	-	-
აქციის ბუღალტრული ღირებულება	1ლ	1ლ	1ლ	1ლ	1ლ
წლის განმავლობაში გაცემული დივიდენდების ოდენობა	-	-	-	3168.474	-
წლიური წმინდა მოგება	547607	144132	3318944	4458625	3058615
მატერიალური რესურსების დანახარჯები	625063	750286	594490	1578719	2694266

ცალკეულ საწარმოებში ზედმეტი სწარმოო მარაგისა და დაუმთავრებელი წარმოების შემცირების ხარჯზე შესაძლებელი იქნება პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის მოცულობის გადიდება.[19]

დიდი მნიშვნელობა აქვს თითოეული საწარმოს მიერ ამა თუ იმ საშუალებების მართვას. საერთოდ საბრუნავი საშუალებების მართვა გაგებულ უნდა იქნეს, როგორც პროცესი, რომელიც ორიენტირებული იქნება იმისკენ, რომ მიღწეული იქნეს ამ საშუალებათა ოპტიმალური, ეფექტიანი გამოყენება, მათი ბრუნვადობის დაჩქარებით.

საკითხის შესწავლამ გვიჩვენა, რომ საბრუნავი საშუალებების მართვის საქმეში ზოგიერთ საწარმოებში სრული გაუგებრობაა. ამასთან დაკავშირებით აუცილებელია თითოეულმა საწარმომ, გაერთიანებამ გაითვალისწინოს, რომ საბაზრო ურთიერთობათა პირობებში საბრუნავი საშუალებების მართვის ერთ-ერთი მთავარი საკითხი სწორედ დაგეგმვაა. მოწინავე საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში ფინანსების დაგეგმვას და მათ შორის საბრუნავი საშუალებების დაგეგმვას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა.

თითოეულმა საწარმომ საფინანსო დაგეგმვის დროს თავიდან უნდა განსაზღვროს საბრუნავი საშუალებების საჭირო ოდენობა, თუ რა ოდენობის სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის მარაგი იქნება საჭირო იმისათვის, რომ მან უზრუნველყოს პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) წარმოება და რეალიზაცია. ასევე აუცილებელია დამატებითი სეზონური საჭიროების განსაზღვრა.

უცილებელია განხორციელდეს კონტროლი საბრუნავი საშუალებების ეფექტიანად გამოყენებაზე. პირველ რიგში აუცილებელია ოპერატიული კონტროლის განხორციელება შემუშავებული გეგმიური მაჩვენებლების თითოეულ საწარმოო ერთეულამდე, საწარმოს ქვედანაყოფებამდე დაყვანაზე და საწარმოო ვალდებულებათა შესრულებაზე, აგრეთვე სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა მარაგის და დანახარჯის მდგომარეობაზე.

საბრუნავი საშუალებების გამოყენებაზე კონტროლის ერთ-ერთი იარაღია საბრუნავი საშუალებების ანალიზი, რომელიც ძირითადად

საბუღალტრო ბალანსის საშუალებით ხორციელდება. ანალიზმა უნდა მოიცვას ისეთი საკითხები, როგორცაა საბრუნავი საშუალებების სტრუქტურა, მათი რაციონალური განლაგება წარმოებისა და მიმოქცევის სფეროების მიხედვით, საკუთარი საბრუნავი საშუალებების, ბანკის კრედიტების გამოყენება, მარაგის და დანახარჯების მდგომარეობა, დებიტორები, კრედიტორები, საწარმოს გადახდისუნარიანობა, საბრუნავი საშუალებების ბრუნვადობა და სხვა.[20]

ამასთან აუცილებელია შემუშავდეს ზოგადი პრინციპები საბაზრო ურთიერთობათა პირობებში საწარმოთა საბრუნავი საშუალებების მართვის შესახებ, რაც ერთგვარი ორიენტირი იქნება საწარმოებში საბრუნავი საშუალებების მართვის ახალი სისტემის დანერგვისათვის.

ბიზნესის ეფექტური მსვლელობის უზრუნველსაყოფად მენეჯერები უნდა ცდილობდნენ ამ ხარჯების თავიდან აცილებას. მაშასადამე საბრუნავ კაპიტალზე მიღებულ გადაწყვეტილებას არა ერთჯერადი, არამედ პერმანენტული ხასიათი გააჩნია.

თანამედროვე პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ხელმძღვანელობის უნარს, ვინაიდან ხელმძღვანელს პრაქტიკაში საქმე აქვს არა მარტო საბრუნავ კაპიტალთან, არამედ ადამიანთა ჯგუფებთან. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ყველა ორგანიზაცია არსებობს განსაზღვრულ გარემოში არსებული სისტემის სახით, რომელიც გარედან ღებულობს რესურსებს და მათი გადამუშავების შედეგად მზა პროდუქციას გადასცემს გარემოს. ამ პროცესების დაბალანსებაში ისევე როგორც მათ განსახორციელებლად ორგანიზაციის საბრუნავი კაპიტალით უზრუნველყოფაში გადამწყვეტი როლი ეკუთვნის მენეჯმენტს. მართვის პროცესი ამ შემთხვევაში გვევლინება სამი ურთიერთდაკავშირებული პროცესის ერთიანობის სახით: ორგანიზაციის შიგნით მიმდინარე პროცესების მართვა, გარემოში ორგანიზაციის ჩართვის პროცესების მართვა და საკუთრივ მენეჯმენტის, როგორც ორგანიზაციის მართვის პროცესის განხორციელება. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ორგანიზაციის მენეჯმენტს არ

ძალუმს გარემოს ფაქტორთა ზემოქმედების თავიდან აცილება. ამის გათვალისწინებით მისი საქმიანობა შეძლებისადაგვარად უნდა მიესადაგოს გარემოს პირობებს. მაღალი ინფლაცია, გადასახადები და სხვა კრიზისული მოვლენები აიძულებს საწარმოებს შეცვალონ თავიანთი პოლიტიკა საბრუნავ კაპიტალთან მიმართებაში, განსაზღვრონ მასზე მოთხოვნა, ეძებონ შევსების ახალი წყაროები, შეისწავლონ შენარჩუნებისა და ეფექტიანად გამოყენების პრობლემები.

პროდუქცია არის საბრუნავი კაპიტალის ერთ-ერთი შემადგენელი კომპონენტი, ხოლო მისი ხარისხი - მნიშვნელოვანი მაჩვენებელი, რომლის გადიდება (ამაღლება) ხელს უწყობს ქვეყანაში კრიზისული მოვლენების დაძლევას. ამასთან დაკავშირებით, ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა პროდუქტის ხარისხის თავისებურებებს საბაზრო ურთიერთობის განვითარების თანამედროვე ეტაპზე.

2. შედეგები და მათი განსჯა

2.1. საბრუნავი კაპიტალის მენეჯმენტის სრულყოფის მიმართულებები

2.1.1. სასაქონლო ბირჟები და მათი როლი სამრეწველო საწარმოთა საბრუნავი კაპიტალით უზრუნველყოფაში

ბირჟამ თავისი განვითარების გზაზე მრავალი ეტაპი გაიარა. ყველაფერი დაიწყო მევაჭრობით, როდესაც საქონელი გასაყიდათ გადაჰქონდათ სხვა ქვეყნებში, იმ დროს გადაადგილებისათვის გამოიყენებოდა მხოლოდ აქლემები და ქირავნები, ხოლო გარე ვაჭრობა იყო თითქმის ერთადერთი საშუალება, რომლითაც შეიძლებოდა საქონლის რეალიზაცია. იმ შორეულ წარსულში ხალხი იკრიბებოდა მხოლოდ ყოველწლიურ ბაზრებზე, სადაც ხდებოდა ბითუმი ვაჭრობა, დროთა განმავლობაში დაიხვეწა და განვითარდა ვაჭრობის სფერო, რის საფუძველზეც რიგ ქვეყნებში გაჩნდა ყოველდღიური ვაჭრობის აუცილებლობა, თანდათან ვაჭრობამ ქუჩის ბაზრის ტერიტორიებიდან გადაინაცვლა შეძლებულ ვაჭართა მიერ იჯარით აღებულ შენობებში, სწორედ ამ შენობებს დაერქვა შემდგომში სახელი-ბირჟა. სწორედ ამ სავაჭრო ბირჟის მემკვიდრედ ითვლება დღევანდელი სავაჭრო ბირჟა, სადაც საბოლოოდ ჩამოყალიბდა და დაიხვეწა ურთიერთობის ყველა ეტაპი.[21]

კომპიუტერიზაციის ეპოქამდე, გარიგებებზე მხარეთა შეთანხმება ზეპირ ხასიათს ატარებდა. დღეს კი ვაჭრობა ელექტრონულია და გამოიყენება სპეციალიზებული პროგრამები.

საბირჟო ვაჭრობა ორგანიზებული ბაზრების ერთ-ერთი ფორმაა ანუ ისეთი ბაზარია, რომელიც ამა თუ იმ იურიდიულ-ნორმატიულ აქტში დადგენილი წესებით ფუნქციონირებს.

საბირჟო ვაჭრობას შემდეგ ძირითადი თავისებურებები ახასიათებს:

- განსაზღვრულ დროსა და ადგილთან დაკავშირება ანუ მხოლოდ ამ პროცესისათვის სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე და მუშაობის დადგენილ საათებში ჩატარება;

- დადგენილ წესებთან დაქვემდებარება-ყოველი ბირჟა თვითონ

შეიმუშავებს ვაჭრობის საკუთარ წესებს და საბირჟო ვაჭრობის მონაწილეები ვალდებულნი არიან დაიცვან იგი. წესების დამრღვევი შეიძლება დაჯარიმდეს ან გაირიცხოს ბირჟის წევრობიდან;

- საჯაროობა - ანუ საბირჟო ვაჭრობის ბირჟის წევრების ან მათი რწმუნებულების თანდასწრებით ვაჭრობის ჩატარება;

- სახელმწიფოსა და საზოგადოების მხრიდან რეგულირება - სახელმწიფო საკანონმდებლო და ნორმატიული აქტებით ვაჭრობის წესებს ადგენს, რომლის შესაბამისად ბირჟები თავიანთ საქმიანობას ახორციელებენ;

- ბირჟაზე რეალიზებადი საქონლის მოთხოვნა-მიწოდების კონცენტრაცია: ბირჟა სწორედ ის ადგილია, სადაც შედარებით ადვილია სასურველი საქონლის გამყიდველისა და მყიდველის პოვნა.[22]

პირველი სასაქონლო ბირჟები საქართველოში XX ს-ის დასაწყისში დაარსდა: თბილისში - 1907 წელს, ხოლო ბათუმში - 1910 წელს. ეს ბირჟები XX ს-ის 30-იან წლებამდე არსებობდა.

მოგვიანებით ყველა სახის საქონლის ვაჭრობაზე კონტროლი სახელმწიფომ საკუთარ თავზე აიღო. ბირჟების ნაცვლად შეიქმნა სახელმწიფო საშუამავლო ორგანიზაციები მხოლოდ ისინი განსაზღვრავდნენ პროდუქციის მიწოდების ლიმიტსა და ფასებს. საბირჟო ვაჭრობა კაპიტალისტური მეურნეობის გადმონაშთად ითვლებოდა, ამიტომ მათი საქმიანობა შეწყდა და გასული საუკუნის ბოლოს კვლავ განახლდა.

1991 წლიდან საქართველოში მრავალი ბირჟა დაარსდა, რომელთაგან აღსანიშნავია: "კავკასიის სასაქონლო-სანედლეულო ბირჟა", "საქართველოს უნივერსალური ბირჟა", "თბილისის უნივერსალური ბირჟა", "თბილისის უძრავი ქონების ბირჟა-უტა", "თბილისის ღვინის ბირჟა", "თბილისის უნივერსალური საავტომობილო ბირჟა-მერკური", "თბილისის მარცვლეულისა და ნავთობპროდუქტების საერთაშორისო ბირჟა" და სხვ.

ამ ბირჟების საქმიანობა სათანადო ინფრასტრუქტურისა და სამართლებრივი ბაზის უქონლობის გამო დიდად ეფექტური არ ყოფილა. ამ დროისათვის საქართველოში ჯერ კიდევ არ არსებობდა ბირჟების

ფორმირებისა და საბირჟო საქმიანობის განვითარების რეალური ეკონომიკური წინამძღვრები. კერძოდ: მცირედ განვითარებული სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების გამო, მათ ვერ უზრუნველყვეს მნიშვნელოვანი მოცულობით გარიგებების დადება სპეციალიზებული საქონლის მიხედვით და თანდათან შეწყვიტეს საქმიანობა.

ბირჟის არსისა და ცნების შესახებ საყურადღებო მოსაზრება მრავალ უცხოელ მეცნიერ-ეკონომისტს აქვს გამოთქმული, სახელდობრ; ვ. შმიდტს, ვ. იდელსონს, ო. შტირლიხს, დ. შვანგერს, მ. ვაისს, ვ. ივანოვს და სხვ.

ქართველ მეცნიერ-ეკონომისტებიდან ბირჟის ცნება ერთ-ერთმა პირველმა პროფ. დ. ძნელაძემ განმარტა და მიიჩნია, რომ "ბირჟა კომერციულ შუამავლების გაერთიანებაა, სადაც ეწყობა ვაჭრობა, ფართო გაგებით, იგი საბითუმო ბაზარია, სადაც მსხვილი საბითუმო ვაჭრობა ხორციელდება საქონლის ნიმუშების, სტანდარტების ან ხარისხობრივი მახასიათებლების მიხედვით".

მ.შ. ბირჟა ორგანიზებული ბაზარია, იურიდიული პირის უფლებებით აღჭურვილი ორგანიზაცია, რომელიც წინასწარ განსაზღვრულ დროსა და ადგილას, დადგენილი წესების შესაბამისად ღიად ატარებს საჯარო ვაჭრობას.[23]


სასაქონლო ბირჟა რეალური საქონლის საფუძველზე აღმოცენდა, მაგრამ ეკონომიკის შემდგომმა განვითარებამ სასაქონლო ბირჟის მეშვეობით შეუძლებელი გახადა დიდი მასშტაბის საქონელ ნაკადების ორგანიზაცია, რის შედეგადაც რეალური საქონლით ვაჭრობა XX ს-ში არასაბირჟო ბრუნვაში გადავიდა. თუმცა, სასაქონლო ბირჟები არ გამქრალა. მათი განვითარება ორი მიმართულებით წავიდა. ევროპის მრავალი ბირჟა სასაქონლო ბაზრების კონიუნქტურის შესწავლისა და საკონსულტაციო ცენტრებად გარდაიქმნა. სხვა ბირჟებმა ფიუჭერსული სასაქონლო ბაზრები აითვისეს ანუ ფიუჭერსული კონტრაქტების გაფორმების საფუძველზე მრავალ საქონელზე ყიდვა-გაყიდვის პროცესი განავითარეს.

ფიუჭერსი - (ინგლ. future - მომავალი) აქციების, ვალუტის ან საქონლის ყიდვა-გაყიდვა მომავალში მისაწოდებლად. 1. სასწრაფო გარიგება ფასების

რყევისაგან თავდასაღწევად; შეთანხმებულ დროში ყიდვის ან გაყიდვის კონტრაქტი; 2. გარკვეული ვადით შესყიდული საქონელი. 3. ვადიანი ხელშეკრულებები.

სასაქონლო ბირჟა თანამედროვე ბირჟების წინაპარი გახდა და იმის მიხედვით, თუ რითი ვარჯობდნენ-საქონლით, ფასიანი ქაღალდებით თუ ვალუტით, მათგან საფონდო და სავალუტო ბირჟები ჩამოყალიბდა.

- რაც შეეხება ბირჟების მომავალს, მსოფლიო ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ტექნიკური პროგრესი ბირჟების სრულ კომპიუტერიზაციას გამოიწვევს და ელექტრონული ბირჟების ფართო ქსელს შექმნის აღნიშნულის გამო, საბირჟო და არასაბირჟო ბაზრებს შორის განსხვავება კიდევ უფრო შემცირდება და ბირჟების არსი და ფუნქციები არსებითად შეიცვლება.



ნახ. 22. სასაქონლო ბირჟების კლასიფიკაცია

ბირჟების ევოლუცია სქემატურად შეიძლება ასეთი სახით წარმოვიდგინოთ(იხ.ნახ.22). ბირჟების კლასიფიკაცია (დაჯგუფება) მრავალი ნიშნით შეიძლება, კერძოდ:

მსოფლიო პრაქტიკაში საბირჟო საქონლის სახეობის მიხედვით მიღებულია ასეთი დაყოფა: სასაქონლო, საფონდო და სავალუტო ბირჟები.

ორგანიზაციის პრინციპების მიხედვით ბირჟები სამ სახეობად იყოფა: საჯარო-სამართლებრივი (სახელმწიფო ბირჟები); კერძო სამართლებრივი (კერძო ბირჟები) და შერეული ბირჟები.

ბირჟის საქმიანობა რეგულირდება როგორც შიგნიდან, ისევე გარედან.

შიგა რეგულირება - ბირჟის საკუთარი ნორმატიული დოკუმენტებით (წესდება და სხვ.), ხოლო გარე რეგულირება - სახელმწიფოს ნორმატიული აქტებით, სხვა ორგანიზაციებისა და საერთაშორისო შეთანხმებების საფუძველზე ხორციელდება.[24]

საბირჟო საქმიანობის რეგულირების მიზანია:

- ბირჟაზე წესრიგის დამყარება, ბაზრის მონაწილეთა ნორმალური მუშაობისათვის სათანადო პირობების შექმნა;
- არაკეთილსინდისიერი და თაღლითი პირებისა და ორგანიზაციებისაგან ბაზრის მონაწილეთა დაცვა;
- მოთხოვნა-მიწოდების საფუძველზე, საბირჟო ფასწარმოქმნის თავისუფალი და ღია პროცესის უზრუნველყოფა;
- ბაზრის ეფექტურობის ისეთი მექანიზმების შექმნა, როცა სამეწარმეო საქმიანობა ყოველთვის სტიმულირდება და ყოველი რისკი ადექვატურად ჯილდოვდება.

ძირითადი საკანონმდებლო აქტები, რომლებითაც საქართველოს საბირჟო ბაზრები რეგულირდება, შემდეგია:

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსი;
- საქართველოს 1998 წლის 24 დეკემბრის კანონი "ფასიანი ქაღალდების

ბაზრის შესახებ";

- საქართველოს 1999 წლის 23 ივნისის კანონი, "სასაქონლო ბირჟებისა და საბირჟო ვაჭრობის შესახებ";

- საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებები;

- საქართველოს მთავრობის შესაბამისი დადგენილებები და სხვ.

სასაქონლო ბირჟა საბირჟო ვაჭრობის მოწყობისა და რეგულირების მიზნით შექმნილი ორგანიზებული საბითუმო ბაზარია, სადაც ვაჭრობა ხორციელდება საჯაროდ, წინასწარ დადგენილი წესით, განსაზღვრულ ადგილსა და დროში.

სასაქონლო ბირჟების საქონლისათვის დამახასიათებელია რიგი თავისებურებები. კერძოდ:

- წარმოებისა და მოხმარების მასიურობა - ე.ი. მისი გამოშვება უნდა ხდებოდეს დიდი მოცულობით, მწარმოებელთა დიდი რაოდენობის მიერ და მოხმარებელთა ფართო წრისათვის, რაც შესაძლებლობას იძლევა შედარებით სწორად განისაზღვროს ნამდვილი ფასი. ერთადერთი წარმოების საქონელი, თუნდაც საკმაოდ დიდი რაოდენობით იწარმოებოდეს, არ შეიძლება იყოს საბირჟო ვაჭრობის ობიექტი, რადგან ასეთი საქონლის უნიკალური თვისებები არ იძლევა მისი შეფასების საშუალებას და შესაბამისად არ ხერხდება ყველაზე მეტად მისაღები ფასის დადგენა;

- სტანდარტულობა ანუ მისი შესაბამისობა ბირჟის მიერ დადგენილ ხარისხობრივ პარამეტრებთან, საქონლის რაოდენობასთან;

- კარგი დაცულობა (დაზღვეულობა);

- ტრანსპორტაბელურობა (გადაზიდვის უნარიანობა);

- ბუნებრივი, სეზონური, პოლიტიკური და სხვა ფაქტორების ზემოქმედებისაგან ფასების მერყეობა.

მსოფლიო სასაქონლო ბირჟებზე, დაახლოებით, 70-მდე სახეობის საქონელი იყიდება.

საბირჟო საქონელი ორ მსხვილ ჯგუფად იყოფა:

<p>1. სასოფლო-სამეურნეო და სატყეო საქონელი და მათი გადამუშავების პროდუქტები.</p>	<p>მარცვლეული (ხორბალი, სიმინდი, შვრია, ქერი, ჭვავი); ზეთოვნების (სელის, ბამბის, სოიას თესლები); ცოცხალი ცხოველი და ხორცი; საფეიქრო საქონელი (ბამბა, მატყლი, ბუნებრივი და ხელოვნური აბრეშუმი); სასურსათო საქონელი(შაქარი, ყავა, კაკაო...); სატყეო საქონელი (ფანერა, პოლი მასალები); ნატურალური კაუჩუკი.</p>
<p>2. მინერალური ნედლეული და ნახევარფაბრიკატები დაახლოებით 20 სახეობა).</p>	<p>ფერადი ლითონები (სპილენძი, კალა, თუთია, ნიკელი, ალუმინი, ტყვია და სხვ.); ძვირფასი ლითონები (ოქრო, ვერცხლი და სხვ.); ნავთობი და ნავთობპროდუქტები.</p>

როგორც აღინიშნა, სასაქონლო ბირჟაზე საქონელს მრავალი მოთხოვნა წაეყენება, კერძოდ, წარმოებისა და მოხმარების მასიური ხასიათი, ფასების თავისუფლად დადგენა და ხარისხი.[25]

არსებითი მნიშვნელობა აქვს მისი სტრუქტურის ტიპის განსაზღვრას:

მონოპოლისტური ბაზარი, რომელიც ხასიათდება ერთი მიწოდებლის დომინირებით;

ოლიგოპოლისტური ბაზარი, რომელიც ხასიათდება გამყიდველების მსხვილი ჯგუფების ბატონობით;

ატომისტური ბაზარი, ხასიათდება საქონლის მიწოდების დაბალი კონცენტრაციით, შესაბამისად, გამწვავებული კონკურენციით.

საქართველოს კანონი "სასაქონლო ბირჟებისა და საბირჟო ვაჭრობის შესახებ".

ეს კანონი აწესრიგებს საქართველოს ტერიტორიაზე სასაქონლო ბირჟების შექმნის, საქმიანობისა და სასაქონლო საბირჟო ვაჭრობასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს და უზრუნველყოფს მათ გარანტიებს.

სასაქონლო ბირჟა (შემდგომში-ბირჟა) არის საბირჟო ვაჭრობის მოწყობისა და რეგულირების მიზნით შექმნილი ორგანიზებული საბითუმო ბაზარი, სადაც ვაჭრობა ხორციელდება საჯაროდ. წინასწარ დადგენილი წესით, განსაზღვრულ ადგილზე და ვადაში (მუხლი 3).

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება.

ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) აკრედიტაცია - ბირჟის მიერ იურიდიული ან/და ფიზიკური პირისათვის ბირჟის შუამავლის რწმუნების მიცემა;

ბ) ბირჟის წევრი (ბირჟის პარტნიორი აქციონერი) ბირჟის დამფუძნებელი ან ბირჟის შუამავალი ან იურიდიული ან ფიზიკური პირი;

გ) ბირჟის შუამავალი "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე შექმნილი საბროკერო კომპანია ან დამოუკიდებელი ბროკერი;

დ) გარანტია - თავდებობა. სამართლებრივი პრინციპებისა და საშუალებების ერთობლიობა, რაც უზრუნველყოფს ვალდებულებათა შესრულებას.

ე) დამოუკიდებელი ბროკერი - საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული ინდივიდუალური მეწარმე, რომელიც სავაჭრო შუამავლობას ეწევა სასაქონლო ბირჟაზე გამყიდველსა და მყიდველს შორის გარიგებათა დადებით. მოქმედებს კლიენტის დავალებით და კლიენტის ხარჯით. აგრეთვე თავისი სახელით და კლიენტის ხარჯით. კლიენტის სახელით და თავისი ხარჯით;

ვ) დილერი - შუამავალი (იურიდიული ან ფიზიკური პირი), რომელიც სასაქონლო ბირჟაზე მოქმედებს თავისი სახელით და თავისი ხარჯით.

ზ) კლირინგი - მოთხოვნისა და ვალდებულებების ურთიერთჩათვლაზე დაფუძნებული საშინაო და საერთაშორისო უნაღდო

ანგარიშსწორების სისტემა სავაჭრო და სხვა ოპერაციებისათვის;

თ) კონტრაქტი რეგისტრირებული საბირჟო გარიგება მოლაპარაკებულ მხარეებს - კონტრაგენტებს შორის, რომელშიც განსაზღვრულია მხარეთა უფლებები და ვალდებულებები, მათი შესრულების პირობები, ვადები და პასუხისმგებლობა კონტრაქტის შეუსრულებლობისათვის.

ი) კონოსამენტი გემის მფლობელის მიერ გაცემული ხელწერილი (დოკუმენტი), რომელიც ტვირთის მფლობელს (გამგზავნს) ეძლევა იმის დასადასტურებლად, რომ ტვირთი მიღებულია საზღვაო გზით გადასაზიდად. სხვა საბირჟო საქონელთან და კონტრაქტებთან ერთად კონოსამენტი შესაძლებელი გახდეს ბირჟაზე ვაჭრობის საგანი და იქცეს საქონელგანმანაწილებელ დოკუმენტად;

კ) ოფციური გარიგება - მომავალში კონტრაქტების დადების უფლების ყიდვასთან დაკავშირებული გარიგება, რომლის თანახმადაც ერთ-ერთ მხარეს კონტრაქტით დადგენილი ფასით და დროის განსაზღვრულ მონაკვეთში საქონლის ყიდვა-გაყიდვის უფლება ენიჭება;

ლ) რეალური საქონელი - სახეზე (საწყობში) არსებული საქონელი, რომლის მიწოდება ბითუმად ყიდვა-გაყიდვით შესაძლებელია დაუყოვნებლივი მოთხოვნით და აქვს შესაბამისი სასაქონლო თვისებები;

მ) საბირჟო საქონელი - ბირჟის მიერ დადგენილი წესით საბირჟო ვაჭრობაზე დაშვებული, ბრუნვაში მყოფი, გარკვეული სახეობისა და ხარისხის სტანდარტული საქონელი, მათ შორის, ამ საქონლის სტანდარტული კონტრაქტი და კონოსამენტი;

ნ) საბროკერო კომპანია - "სავაჭრო შუამავალი (იურიდიული პირი), სასაქონლო ბირჟაზე გამყიდველსა და მყიდველს შორის გარიგებათა დადებისას, რომელიც მოქმედებს კლიენტის დავალებითა და კლიენტის ხარჯით აგრეთვე თავისი სახელით და კლიენტის ხარჯით, ან კლიენტის სახელით და თავისი ხარჯით.

ო) სტანდარტული საქონელი ბირჟაზე - მხოლოდ ერთი სტანდარტის ანუ კონკრეტული ხარისხის, გარკვეული საზომი ერთეულის თუ სხვა

განუსაზღვრელი მახასიათებლის მქონე, სტანდარტიზაციას დაქვემდებარებული საქონელი, რაც შესაძლებლობას იძლევა გაიყიდოს ერთი კონტრაქტით სხვადასხვა ქვეყანაში ან რეგიონში წარმოებული საქონელი, თუ ის აკმაყოფილებს სტანდარტულ კონტრაქტში ასახულ პირობებს;

პ) სტანდარტული კონტრაქტი - საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 342-348-ე მუხლებით განსაზღვრული კონტრაქტის სტანდარტული პირობები;

ჟ) ფასების კოტირება - საბირჟო ფასების (კურსის) დადგენა მოთხოვნა-მიწოდების საფუძველზე საბირჟო ვაჭრობის დროს, დღის განმავლობაში დადებული გარიგებების შედეგად;

რ) ფორვარდული გარიგება - საბირჟო გარიგება, რომელიც იდება როგორც რეალურ საქონელზე, ისე განსაზღვრულ ვადაში (მომავალში) დასამზადებელ საქონელზე ხელშეკრულების დადებისას შეთანხმებული და ხელშეკრულებით მითითებული ფასის მიხედვით;

ს) ფიუჩერსული გარიგება - გარიგება საბირჟო საქონლის მიწოდების სტანდარტულ კონტრაქტებზე. საქონლის მიწოდების შესახებ კონტრაქტების ყიდვაზე, რომლის აუცილებელი პირობა ითვალისწინებს საქონლის რეალიზაციას კონტრაქტში მითითებული ფასით, გარიგების დადებიდან განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ. [26]

საბირჟო საქმიანობაში გამოყენებულია სპეციალური ჟარგონები:

"დათვი" - საბირჟო სპეკულანტი, საქონლის ფასის, ფასიანი ქალაქისა და ვალუტის კურსის შემცირებაზე თამაშობს. კერძოდ, წინასწარ ყიდის (გარკვეული ვადის შემდეგ გადაცემის პირობით) ბირჟის ისეთ საქონელს, რომელზეც გარიგების მომენტში არ არის დაფიქსირებული კურსი, იმ გარანტიით, რომ გარიგების შესრულების მომენტამდე უფრო დაბალ ფასში შეისყიდის ამ საქონელს და ფასთა სხვაობით მიიღებს მოგებას.

"მგელი" - რომელიც მსხვილი აქციონერია, ხელოვნურად ქმნის ისეთ სიტუაციას, რომელიც აქციების კურსს სასურველი მიმართულებით ცვლის. მისი მიზანია წვრილი აქციონერების "ცხვრების" გატყავება.

"ცხვარი" - მცირე აქციონერი. იგი ხშირად ხდება მგლების მიერ მოწყობილი საბირჟო თამაშების ობიექტი, გაკოტრების თავიდან ასაცილებლად, სასურველია მან მჭიდრო კონტაქტი იქონიოს ბირჟის კონსულტანტებთან. ბირჟა იცავს ცხვრის ინტერესებს.

"ხარი" - ბირჟის სპეკულიანტია, იგი ვარაუდობს, რომ საბირჟო საქონლის ფასი გაიზრდება, ამიტომ წინასწარ შეისყიდის ან ინახავს ადრე ნაყიდ კონტრაქტებს და ბირჟაზე ფასების მომატებით მოგების მისაღებად თამაშობს.

პირველი სასაქონლო ბირჟა ჩვენში 1994 წელს შეიქმნა. იმ ხანად ქვეყანაში სულ სამი სასაქონლო ბირჟა გაიხსნა: "კავკასიის ბირჟა", საავტომობილო ბირჟა "მერკური" და ღვინისა და ჩაის ბირჟა. ამ უკანასკნელმა სულ რამდენიმე ვაჭრობა გამართა და მალევე დაიხურა. მალე მისი ბედი დანარჩენებსაც გაიზიარეს, არა და ამ ბირჟებს უდიდესი სარგებლის მოტანა შეეძლოთ და ჩვენი ეროვნული პროდუქციისთვის ესოდენ მნიშვნელოვან ბაზრებს აღარ დაგვარგავდით. თუმცა, ნება და სურვილი იყოს და არც ახლაა მაინცდამაინც გვიან... თუ პრობლემას სახელმწიფო თვალთშევიდავთ და არა საკუთარი ამბიციებით, მოკლედ ბაზარზე პრობლემები სუბიექტური მიზეზების გამო არ უნდა შეიქმნას და სწორედ ამას ემსახურება ბირჟის გამართული მუშაობაც.

2010 წელს თბილისში სასაქონლო ბირჟა გაიხსნა, რომელიც სავაჭრო ცენტრს "გლდანი 1"-ში განთავსდა. ავტორებს იმედი ჰქონდათ, რომ ბირჟის ამოქმედება ხელს შეუწყობდა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას. თანამედროვე საბითუმო ბაზრის შექმნას, საქონელბრუნვის ეფექტურობის გაზრდას, ფასწარმოქმნის მექანიზმის სრულყოფას და კონკრეტული გარემოს ჩამოყალიბებას.

ჩვენ მისაბამ დასავლეთში და საერთოდ, საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში ლიბერალური ეკონომიკა ბირჟების გარეშე წარმოუდგენელია.

საქართველოში კი 17 წლიანი პაუზის შემდეგ გახსნილმა სასაქონლო ბირჟამ ფუნქციონირება შეწყვიტა. საოცრად დაბალი აქტივობის გამო

საქმიანი კონტრაქტი არ გაფორმებულა, ბროკერებმა ვაჭრობა ვერ გამართეს. მოთხოვნები დაფიქსირდა, მაგრამ არაფერი გაყიდულა. მოთხოვნები იყო უკრაინიდან, ბელორუსიდან და რუსეთიდან თხილზე, დაფნის ფოთოლსა და ციტრუსზე. რუსეთის მხარე საბაჟოზე სპეციალურ სერტიფიკატს ითხოვს, რომელიც საქართველოში არ გაიცემა, ამიტომ რუსეთში ექსპორტი აზერბაიჯანის ან სომხეთის გავლით უნდა განხორციელებულიყო, ეს კი პროდუქციას ამვირებს.

ბირჟის მუშაობის შეწყვეტა აგრეთვე უკავშირდება ბაზარზე არსებულ მონოპოლიებს, რომლებიც ფასებს აწესებენ და ამ ვითარებაში ვერცერთი სტრუქტურა ვერ იფუნქციონირებს.

2011 წელს კომპანია "საერთაშორისო ელექტრონული ბირჟის" წევრი გახდა. სადაც სადღეისოდ ყაზახეთი, უკრაინა, სომხეთი და საქართველო არიან გაწევრიანებულნი.

და ბოლოს, ისტორიულად სასაქონლო ბირჟა არის იქ, სადაც მაღალია მოთხოვნა-მიწოდება და ქვეყანა, რომელიც აშენებს საბაზრო ეკონომიკას, აუცილებლად უნდა ჰქონდეს ორი ბირჟა-სასაქონლო ბირჟა და საფონდო ბირჟა.

საერთაშორისო სასაქონლო ბირჟის წარმატებული ფუნქციონირება ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას, თანამედროვე საბითუმო ბაზრის შექმნას და კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბებას.

ქართულ ბირჟას უნდა ჰქონდეს რეგიონული ხასიათი, სადაც გაერთიანებულნი იქნებიან - აზერბაიჯანი, სომხეთი, თურქეთი, ირანი და სხვა ქვეყნები.

სასაქონლო ბირჟის ფუნქციონირებისა და განვითარების ხელშემშლელი ფაქტორი აგრეთვე არის ის, რომ საქართველო პროფესიონალი ბროკერების დეფიციტს განიცდის და უნივერსიტეტებში ამ მიმართულებით განათლების მიღება არ ხდება.

საბირჟო ვაჭრობის უმნიშვნელოვანესი მსოფლიო ცენტრები

მასალების სახეობა	ბირჟის ადგილმდებარეობა
ბამბა	ნიუ-იორკი, ახალი ორლეანი, ჩიკაგო, ლივერპული, ალექსანდრია, სან-პაულუ, ბომბეი, სიდნეი.
ბამბის ზეთი	ნიუ იორკი, ლონდონი, ამსტერდამი.
ბრინჯი	მილანი, ამსტერდამი, როტერდამი.
ფერადი ლითონები	ლონდონი, ნიუ-იორკი, პინანგი (მალაიზია).
კაკაო	ნიუ იორკი, ლონდონი, პარიზი, ამსტერდამი.
მარცვლეული	ჩიკაგო, მინეაპოლისი, კანზას - სიტი, (ყველა აშშ), ჟინეპეგი (კანადა), ლონდონი, ლივერპული, მილანი, ანტვერპენი, როტერდამი, კობე (იაპონია)
მზესუმზირის ზეთი	ლონდონი
ნატურალური კაუჩუკი	სინგაპური, პინანგი (მალაიზია), ლონდონი, ნიუ-იორკი.
შალი	ნიუ-იორკი, ლონდონი, ანტვერპენი, რუბე (საფრანგეთი), მელბურნი, სიდნეი.
შაქარი	ლონდონი, პარიზი, ნიუ-იორკი.
ხამი აბრეშუმი	კობე (იაპონია).
ყავა	ნიუ-იორკი, ლონდონი, ლივერპული, პარიზი, ამსტერდამი, როტერდამი, ყავრი (საფრანგეთი) ჰამბურგი.

2.1.2. საბრუნავი კაპიტალის ფორმირების წყაროების მაჩვენებლები

საბრუნავი კაპიტალის დაფარვის წყაროები საწარმოებში შეიძლება იყოს: საკუთარი: ა) მოგება; ბ) მყარი პასივები; გ) სხვა საკუთარი საშუალებები და ნასესხები: ა) კრედიტები და სესხები; ბ) კრედიტორული დავალიანება.

საკუთარი კაპიტალის ფორმირება, როგორც წესი, ხორციელდება საწარმოს შექმნის მომენტში. ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების

შესაბამისად ხდება საწესდებო კაპიტალის შექმნა.

საბრუნავი საშუალებების შევსება ხორციელდება ძირითადად მოგების მიღების ხარჯზე. მოგების თანხა აკუმულირდება საწარმოს დაგროვების ფონდში, რომელიც იქმნება წმინდა მოგების ხარჯზე. მოგების სიდიდე, რომელიც წარიმართება საბრუნავი კაპიტალის შესავსებად და საბრუნავი სახსრების ნორმატივის ზრდის დასაფარავად, დამოკიდებულია მოგების შესაძლო გადიდებაზე მიმდინარე წელს, მისი გამოყენების მიმართულებაზე და საბრუნავი საშუალებების ნორმატივის ცვლილებაზე.

მყარ პასივებს შეიძლება მივაკუთვნოთ ის წყაროები, რომლებიც არ ეკუთვნის საწარმოს, მაგრამ მუდმივად არის ბრუნვაში. მას მიეკუთვნება:

1. მინიმალური გარდამავალი დავალიანება შრომის ანაზღაურებ ის მიხედვით, არასაბიუჯეტო ფონდებში გადარიცხვების მიხედვით;

2. დავალიანება მომწოდებლებთან, რომელთა გადახდის ვადა ჯერ არ დამდგარა.

3. მინიმალური დავალიანება რეზერვების მიხედვით მიმდინარე ხარჯების და გადახდების დასაფარავად.

4. შემკვეთების დავალიანება ავანსები ს და პროდუქციის ნაწილობრივი გადახდის მიხედვით.

5. საბიუჯეტო დავალიანება ზოგიერთი სახის გადასახდების მიხედვით, რომელთა დარიცხვა ხდება გადახდის ვადამდე ადრე.

მყარი პასივები არის საკუთარი საბრუნავი სახსრების დაფარვის წყარო მხოლოდ ნაზარდი ჯამით. მყარი პასივების სიდიდე შეიძლება გაიზარდოს ან შემცირდეს. ეს წყარო, არსებითად, არის კრედიტორული დავალიანება.

საკუთარი საშუალებების სხვა წყაროებს განეკუთვნება სარეზერვო ფონდის, მოხმარების ფონდის, სოციალური განვითარების, პრემიალური, საქველმოქმედო, სარემონტო ფონდების შვებულებების ფონდის, რეკლამაციების, მომავალი გადახდების რეზერვების დროებით გამოუყენებელი ნაშთი. ჩამოთვლილი ფონდების სახსრები წარიმართება

ბრუნვაში (ერთვება ბრუნვაში) საბრუნავი სახსრების შესაძენად და იმ ხარჯების დასაფარად, რაც დაკავშირებულია წარმოების თავისებურებებთან, მზა პროდუქციის გადმოტვირთვისთან, ანგარიშსწორების თავისებურებებთან. ამას გარდა, საწარმოებს შეუძლიათ გამოიყენონ საამორტიზაციო ფონდის სახსრები. თანამედროვე პირობებში არასტაბილური ეკონომიკური სიტუაცია განაპირობებს იმას, რომ ამ გზით შეიძლება გაფართოვდეს ფინანსური დაბანდებები საბრუნავ კაპიტალში. საწარმოს საკუთარი საბრუნავი სახსრების წყაროა დროებით თავისუფალი ფინანსური რესურსების წარმატებული დაბანდება. სააქციო საზოგადოებაში აქციების დამატებითი გამოშვება განაპირობებს საწესდებო კაპიტალის გადიდებას.

გარდა საკუთარი ფინანსური რესურსებისა, საწარმოს ბრუნვაში ერთვება ნასესხები სახსრები. საბრუნავი კაპიტალის შევსებისათვის საჭირო ნასესხები წყაროები მოიცავს მოკლევადიან საბანკო კრედიტს. თანამედროვე პირობებში მას იყენებენ იმ შემთხვევაში, როცა დასაკრედიტებელ ოპერაციას მოაქვს შემოსავალი, რომელიც აღემატება ბანკის კრედიტებთან დაკავშირებული ხარჯების სიდიდეს.

ინფლაციის პირობებში ნასესხები სახსრები ხშირად გამოიყენება უფრო ეფექტიანად, ვიდრე საკუთარი საბრუნავი სახსრები, რამდენადაც ახორციელებენ უფრო სწრაფ წრებრუნვას.

კრედიტორული დავალიანება არის კრედიტი, რომელიც გაცემულია სხვა საწარმოების მიერ. უმეტეს შემთხვევაში იგი ყალიბდება საანგარიშსწორებო-საგადასახდელი დისციპლინის დარღვევის შემთხვევაში და არის საბრუნავი საშუალებების ფორმირების არაგეგმიური წყარო, თუმცა, ამავე დროს დაკავშირებულია გადავადებული დებიტორული დავალიანების წარმოქმნასთან. დიდი დებიტორული დავალიანების გამო ავანსირებული საბრუნავი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილი საწარმოს უკან უბრუნდება დიდი დაგვიანებით. დებიტორული დავალიანების მეშვეობით ხორციელდება ფულადი საბრუნავი საშუალებების ამოღება მატერიალური სფეროდან და მისი გაშვება ფინანსურ სფეროში, რაც განაპირობებს

კაპიტალის მიმოქცევის ღირებულებითი მექანიზმის მოშლას.

დებიტორული დავალიანების დაფარვის წყაროა სხვადასხვა სახის კრედიტორული დავალიანებები. ეს განაპირობებს საბრუნავი სახსრების წარმოქმნის წყაროების სტრუქტურის ცვლილებებს, კერძოდ კი საკუთარი საბრუნავი საშუალებებით უზრუნველყოფის დაბალ დონეს. იმისგან დამოკიდებულებით, თუ რომელი სახის წყაროები გამოიყენება მარაგების შესაქმნელად, შეიძლება ვიმსჯელოთ საწარმოს გადახდისუნარიანობის ხარისხზე და დონეზე. ზემოთ მოტანილ კლასიფიკაციაზე დაყრდნობით განვიხილოთ საბრუნავი კაპიტალის ფორმირების წყაროების მაჩვენებლები. საკუთარი საბრუნავი საშუალებები ავლნიშნოთ COC, ხოლო მარაგების შექმნის წყაროები - IFZ-თი. მაჩვენებელთა მნიშვნელობები შეიძლება წარმოვიდგინოთ ალგორითმების სახით:

$$\text{სადაც } \text{COC} = \text{CK} + \text{DP} + \text{BA} \quad (2.1)$$

CK - ბალანსის პასივში განყოფილების "საკუთარი კაპიტალი"-ს ჯამი.

DP - გრძელვადიანი პასივები.

BA - ბალანსის განყოფილების: "არასაბრუნავი აქტივები"-ს ჯამი.

$$\text{IFZ} = \text{COC} + \text{CBZ} + \text{PKT} \quad (2.2)$$

სადაც CBZ - ბანკის სესხები და სესხები, რომლებიც გამოიყენება მარაგების შესაქმნელად.

PKT - ანგარიშსწორება კრედიტორებთან სასაქონლო ოპერაციების მიხედვით.

აღნიშნული მაჩვენებლების ურთიერთთანაფარდობის გათვალისწინებით შეიძლება გამოიყოს საწარმოს მიმდინარე ფინანსური მდგრალობისა და ლიკვიდობის შემდეგი ტიპები:

- აბსოლუტური ფინანსური მდგრალობა. მისთვის დამახასიათებელია უტოლობა $PZ < COC$. იგი გვიჩვენებს, რომ ყველა მარაგი იფარება საკუთარი საბრუნავი საშუალებების ხარჯზე. თუმცაღა სიტუაცია ძალზე იშვიათად გვხვდება.

- ნორმალური ფინანსური მდგრალობა:

$$\text{COC} < \text{PZ} < \text{IFZ} \quad (2.3)$$

ამ თანაფარდობაში საწარმო მარაგების დასაფარავად იყენებს სახსრების სხვადასხვა წყაროებს - საკუთარ და ნასესხებ საშუალებებს;

- არამდგრადი ფინანსური მდგომარეობა

$$\text{PZ} > \text{IFZ} \quad (2.4)$$

მოცემული დამოკიდებულება იმაზე მიუთითებს, რომ საწარმო თავისი მარაგების ნაწილის დასაფინანსებლად მოიზიდავს დაფარვის დამატებით წყაროებს.

- კრიტიკული ფინანსური მდგომარეობა; მისთვის დამახასიათებელია სიტუაცია, როცა საწარმოს აქვს კრედიტები და სესხები, რომელთა დაფარვა ვადებში ვერ ხერხდება, ასევე აქვს გადავადებული საკრედიტო დავალიანება. ორგანიზაცია ამ შემთხვევაში უნდა გამოცხადდეს გაკოტრებულად.

ზემოთაღნიშნულის გარდა, ასევე შეიძლება გამოყენებული იქნას ისეთი მაჩვენებელი, როგორცაა ფუნქციონირებადი კაპიტალი (FK):

$$\text{FK} = \text{TA} - \text{KP} \quad (2.5)$$

ამ მაჩვენებლის მიხედვით შეიძლება საბრუნავი კაპიტალის შეფასება, რომელიც რჩება მოკლევადიანი ვალდებულებების დაფარვის შემდეგ. ამის გარდა, შეიძლება გაითვალისწინოს ფუნქციონირებადი კაპიტალის მანევრირებადობა (MK):

$$\text{MK} = \text{DC} : \text{FK} \quad (2.6)$$

სადაც DC - ფულადი სახსრები.

MK მაჩვენებლის მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ, ფუნქციონირებადი კაპიტალის რა ნაწილი შეიძლება წარმოვადგინოთ, როგორც აბსოლუტურად ლიკვიდური აქტივები. ე.ი. შეიძლება გამოყენებული იქნას ნებისმიერი მიზნებისათვის.

საკუთარი საბრუნავი კაპიტალის საკმარისობა შეიძლება შეფასდეს მარაგების საკუთარი წყაროების უზრუნველყოფის კოეფიციენტით (K_{OB}); საკუთარი სახსრებით უზრუნველყოფის კოეფიციენტით (K_{OC}) და მარაგების

ფორმირების წყაროების ავტონომიის კოეფიციენტით (K_A).

$$K_{OB} + COK : Z \quad (2.7)$$

$$K_{OC} = COK : OA \quad (2.8)$$

$$K_A = COK : I \quad (2.9)$$

სადაც COK - საკუთარი საბრუნავი კაპიტალი; Z - მარაგები; OA - საბრუნავი აქტივები; I - მარაგების ფორმირების წყაროები.

გასათვალისწინებელია მარაგების შემდეგი ჯგუფები:

1) მიმდინა რე შენახვის მარაგები (ეს არის მარაგების მუდმივად განახლებადი ნაწილი, რომელიც იქმნება რეგულარულ საფუძველზე, თანაბარზომიერად მოხმარება წარმოების პროცესში ან და მომხმარებლებზე რეალიზაციისას).

2) სეზონური შენახვის მარაგები (ასეთი მარაგების შექმნა განპირობებულია წარმოების სეზონური თავისებურებებით და ნედლეულის შესყიდვის სეზონურობით, ასევე პროდუქციის მოხმარების სეზონური თავისებურებებით).

3) მიზნობრივი დანიშნულების მარაგები (საწარმოებში ასეთი მარაგების შექმნა განპირობებულია მისი ფუნქციონირების სპეციფიკური მიზნებით).

ამ დაჯგუფების თანახმად ფინანსური სახსრების სიდიდე, რომელიც ავანსირდება მატერიალურ-სასაქონლო ფასეულობების მარაგების შესაქმნელად, ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ:

$$FC_Z = (CP * H_Z) - K_Z \quad (2.10)$$

სადაც FC_Z - მარაგებში ავანსირებული ფინანსური სახსრების სიდიდე.

CP - მარაგების საშუალო დღიური ხარჯვის ოდენობა ღირებულებით ფორმაში;

H_Z - მარაგების შენახვის ნორმატივი დღეებში;

K_Z - კრედიტორული დავალიანების საშუალო სიდიდე.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საწარმოებში ადგილი აქვს დებიტორულ დავალიანებასაც, რომელიც აუცილებელია გათვალისწინებული

იქნას კრედიტორული დავალიანების ფორმირებისას. პარტიის ოპტიმალური სიდიდის გათვლისას შეიძლება გამოყენებული იქნას უილსონის მოდელი. რომელშიც შესაძლებელია მთლიანი მიმდი ნარე ხარჯების მინიმიზაცია მარაგების მომსახურების მიმართულებით. კერძოდ,

$$TZ_1 + TZ_2 = \min \quad (2.11)$$

სადაც TZ_1 - მარაგების განთავსების საქონლის მიწოდების და მათი მიღების მიმდინარე დანახარჯების სიდიდე ერთ მოწოდებულ პარტიაზე გაანგარიშებით.

TZ_2 - მიმდინარე დანახარჯების სიდიდე ერთეული მარაგების შენახვაზე.

ამ თვალსაზრისის თანახმად, პროდუქციის სრული თვითღირებულება იყოფა ორ ნაწილად, წარმოებული პროდუქციის თვითღირებულება და მზა პროდუქციის შენახვის თვითღირებულება.

რაც უფრო ჩქარია ბრუნვა, მით უფრო ნაკლებია ხარჯები და დაბალია პროდუქციის თვითღირებულება. ბრუნვადობის დაჩქარება, როგორც წესი, მიმდინარეობს ბრუნვაში დამატებითი სახსრების მოზიდვით, ხოლო შენელება-ბრუნვიდან სახსრების ამოღებით. საბრუნავი კაპიტალის ფორმირება განისაზღვრება მისი ზემოქმედებით წარმოების საბოლოო შედეგებზე. მისი ზემოქმედების განსაზღვრის მიზნით შეიძლება აიგოს წარმოების მართვის მოდელი. ამისათვის აუცილებელია შესრულდეს ბაზრის თეორიის გარდაქმნა, მართვის თეორიის, დაგეგმვის თეორიის გარდაქმნა მათში ცალკე არსებული საბრუნავი კაპიტალის ჩართვის გზით. მატერიალური საბრუნავი მარაგების ღირებულების ცვლილება წარმოადგენს საწარმოო მარაგების ღირებულების ცვლილებას, დაუმთავრებელი წარმოების, მზა პროდუქციის და საქონლის გაყიდვისათვის ცვლილებას. მარაგების ზრდის, როგორც წარმოებაში ჩაშვებული და იქედან ამოღებული მარაგებს შორის სხვაობის გათვლა შესაძლებელს ხდის რეალიზაციის სიდიდიდან გამოირიცხოს მარაგების ღირებულების ზრდა, რომელსაც ჰოლდინგურ მოგებასაც უწოდებენ.

2.1.3. საბრუნავ კაპიტალზე მოთხოვნის განსაზღვრის მაჩვენებლები

საბრუნავი კაპიტალის შემადგენელი ნაწილების ჭრილში ხდება შედარება ნორმატიულ და საგეგმო მაჩვენებლებს შორის. ნორმატივების სიდიდეს ადგენენ განსაზღვრული პერიოდის ბოლოს ნორმატიული საბრუნავი საშუალებების ყოველი სახეობის მიხედვით. საბრუნავი საშუალებების ცალკეული სახეობების მიხედვით ნორმატივები ჯამდება და ირკვევა მათი საერთო ნორმატივი, რომლის სიდიდე უნდა უზრუნველყოფდეს საწარმოს შეუფერხებელ მუშაობას. საბრუნავი საშუალებების ფაქტიური სიდიდის ყოველი გადახრა უარყოფითი შედეგით მთავრდება: სიჭარბე განაპირობებს საბრუნავი სახსრების გამოყენების შეფასებას, ხოლო უკმარისობა შეიძლება გახდეს საწარმოო პროცესის ჩაშლის მიზეზი.

ნორმირებული საბრუნავი საშუალებების ანალიზის პროცესში (მარაგი, დაუმთავრებელი წარმოება, მზა პროდუქცია, სასაქონლო პროდუქცია, სხვები) აუცილებელია შემოწმდეს, თუ რამდენად შეიცვალა მათი აბსოლუტური სიდიდე საკვლევი პერიოდის განმავლობაში და თუ რამდენად შეესაბამება ფაქტიური მარაგები ნორმატივების მიხედვით დადგენილ დონეს.[27]

მარაგების ზენორმატიული სიდიდე განაპირობებს დამატებითი წყაროების მოზიდვას: ნიშნავს საბრუნავი კაპიტალის გაყინვას, მისი ბრუნვალობის შენელებას.

საკუთარი საბრუნავი საშუალებების ნორმატივების და მათი წყაროების გაანგარიშება შესაძლებელია საანგარიშგებო ანალიტიკური და საცდელი მეთოდების გამოყენებით. საანგარიშგებო ანალიტიკური მეთოდი ითვალისწინებს საბრუნავი საშუალებების ინდივიდუალური ხარჯვის ნორმების განსაზღვრას წარმოებაში მატერიალური რესურსების გამოყენების პროგრესული მაჩვენებლების საფუძველზე. დანახარჯების ნორმების გათვლისას გათვალისწინებული უნდა იქნას მასალებისა და ნედლეულის მოხმარების საწარმოო პირობების ანალიზის შედეგები: წარმოების

ტექნოლოგიური და ორგანიზაციული პირობები, მუშაობის მოწინავე ჩვევები და მეთოდები ნედლეულისა და მასალების გამოყენებისა და ეკონომიის სფეროში.

ხარჯვის ნორმების შემუშავების საცდელი მეთოდი გულისხმობს პროდუქციის წარმოებისათვის საჭირო ნედლეულისა და მასალების ხვედრი დანახარჯების განსაზღვრას მათი სასარგებლო ხარჯვის, დანაკარგებისა და ნარჩენების გათვლების მონაცემების საფუძველზე განსაზღვრულ საწარმოო პირობებში. საცდელ მეთოდს წინ უნდა უსწრებდეს ეკონომიის რეზერვების ყოველმხრივი ანალიზი მასალებისა და ნედლეულის რაციონალური და ეფექტიანი გამოყენების სფეროში მოწინავე გამოცდილებისა და მეთოდების შესწავლის საფუძველზე.

პრაქტიკაში ნედლეულისა და მასალების ხარჯებს განსაზღვრავენ წარსულ წლებში მათი ფაქტიური ხარჯვის შესახებ არსებული მასალების საფუძველზე და მათი ხვედრითი წილის შემცირების საფუძველზე საკვლევი წლისათვის შემდეგი ფორმულის საფუძველზე:

$$P_{MP} = P_{MF} \cdot K \cdot Y_n \quad (2.12)$$

სადაც P_{MP} - მოთხოვნა მოცემულ მასალაზე;

P_{MF} - ამ მასალის ფაქტიური ხარჯვა წინა პერიოდში;

K - საწარმოო პროგრამის ცვლილების ინდექსი.

Y_n - მასალების ხარჯვის ნორმების საშუალო შემცირების ინდექსი საკვლევ პერიოდში.

ხარჯვის იმ ნორმების გამოყენება, რომელიც გათვლილია წარსული წლების საცდელი სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე, უნდა შეიზღუდოს, რადგანაც ისინი სრულად ვერ ასახავენ წარმოების ტექნოლოგიების სრულყოფას.

საკუთარი საბრუნავი საშუალებების ნორმატივები დაუმთავრებელი წარმოების მიხედვით შეიძლება გაითვალისწინოს დაუმთავრებელი წარმოების ყოველი სახეობის ოდენობის (მთლიანი მოცულობის) მის ერთეულზე დანახარჯების გეგმიური ნორმის გამრავლების გზით შემდეგი ფორმულით:

$$H_{YB} = (P1 + H1) + (P2 \cdot H2) + \dots \quad (2.13)$$

სადაც H_{YB} - საკუთარი საბრუნავი საშუალებების ნორმატივი დანახარჯებზე;

$P1, P2$ - სამუშაოების მოცულობა დაუმთავრებელი წარმოების ყოველი სახეობის მიხედვით.

$H1, H2$ საბრუნავი საშუალებების ნორმა დაუმთავრებელი წარმოების ყოველი სახეობის ერთეულზე.

საკუთარი საბრუნავი სახსრების ნორმატივი მომავალი პერიოდის ხარჯების მიხედვით დგინდება იმ ხარჯების ოდენობის მიხედვით, რომლებიც არ ჩაირთვება საკვლევი პერიოდის პროდუქციის თვითღირებულებაში და გაიანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$H_{PBN} = PBP_F + PpB_{II} - PPB_C - PpB_I; \quad (2.14)$$

სადაც PBP_F - მომავალი პერიოდის ხარჯები საკვლევი პერიოდის დასაწყისში;

PpB_p - მომავალი პერიოდის ხარჯები საკვლევი წლისათვის;

PPB_C - ხარჯები, რომელიც ჩართულია საკვლევი წლის პროდუქციის თვითღირებულებაში;

PpB_I - ხარჯები, რომელთა დაფარვა ხდება სპეციალური წყაროების მიხედვით.

საკუთარი საბრუნავი საშუალებების ნორმატივების ცვლილებების გაანგარიშება მათი ცალკეული სახეობების მიხედვით და მთლიანად საწარმოს მიხედვით შეიძლება განხორციელდეს მათი სიდიდეების შედარების გზით საკვლევი პერიოდის დასაწყისში და ბოლოს. საკუთარი საბრუნავი საშუალებების ნორმატივების ზრდა, როგორც წესი, არის პროდუქციის - წარმოების მოცულობის გადიდების შედეგი, ხოლო მისი შემცირება - წარმოების მოცულობის შემცირების შედეგი, მისი სტრუქტურის შეცვლის შედეგი და დამოკიდებულია მოგების შესაძლო გადიდებაზე მიმდინარე წელს მისი გამოყენების მიმართულებებზე და საბრუნავი კაპიტალის ნორმატივის ცვლილებებზე.

2.1.4. საბრუნავ კაპიტალის ეფექტიანობაზე მოქმედი ფაქტორების გავლენის ზომის განსაზღვრა

წინა თავებში შევთანხმდით, რომ საბრუნავი კაპიტალის ეფექტიანობა თვითონ დარგის, საწარმოს ან ფირმის საბოლოო ტექნიკურ-ეკონომიკური პარამეტრებით გამოისახება, მაგრამ თვითონ საკუთრივ საბრუნავი კაპიტალის ეფექტიანობაზეც მნიშვნელოვანწილად შეიძლება ვიმსჯელოთ ისეთი განზოგადოებული მაჩვენებლებით, როგორებიცაა საბრუნავი კაპიტალის სიჩქარე, საბრუნავი კაპიტალის ერთი შემობრუნების დროის პერიოდი და მასალატევადობა. ამ მაჩვენებლებიდან საბრუნავი კაპიტალის ერთი შემობრუნების დროის პერიოდი დამოკიდებულია ბრუნვის სიჩქარეზე, ანუ ისინი ერთმანეთს განსაზღვრავს, ამიტომ ჩვენს შემთხვევაში მიზანშეწონილი იქნება საბრუნავი კაპიტალის ეფექტიანობის განზოგადოებულ მაჩვენებლებად, კრიტერიუმებად ავიღოთ მხოლოდ მისი ბრუნვის სიჩქარე და მასალატევადობა.

საქართველოში საბრუნავი კაპიტალის ეფექტურად გამოყენების სრულყოფილად დახასიათებისათვის შემდგომი კვლევა ჩავატაროთ საქართველოს ეკონომიკისათვის მთლიანად და მისი შემადგენელი ისეთი უმნიშვნელოვანესი დარგისათვის, როგორიცაა მრეწველობა, ხოლო საბრუნავი კაპიტალის მენეჯმენტის სრულყოფის მიზნისგან გამომდინარე კონკრეტული ფირმისათვის, გამოკვლევა და შესაბამისი გამოთვლები ჩავატაროთ ფირმის მაგალითზე. კერძოდ სს „ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის“ მაგალითზე. აღნიშნული საწარმო უძველესია მთელ კავკასიაში, მისი როგორც ისტორია, ისე დღევანდებლობაც მჭიდროდ უკავშირდება საქართველოს რკინიგზას და შესაბამისად საქართველოს ტრანსპორტს. აღნიშნული ციფრობრიბვი მონაცემები მოცემულია ცხრილ 5-ში.

ს.ს. „ელექტროვაგონშემკეთებელი“ ქარხნიდან მოპოვებული ციფრობრივი მონაცემების აღებული ცხრა მაჩვენებლიდან მხოლოდ მომუშავეთა რიცხოვნობასა და საერთო შემოსავლებს შორის აღმოჩნდა მჭიდრო კორელაციური დამოკიდებულება, რაც ისედაც ნათელია.

y-ერთობლივი შემოსავალი

x1-საანგარიშო პერიოდში არსებული სასაქონლო-მატერიალური

ფასეულობები

x2-შემენილი ფასეულობები

x3-კრედიტისთვის გადახდილი ან გადასახდელი თანხა

x4-საამორტიზაციო ანარიცხები

x5-გამომშვებული პროდუქციის ღირებულება

x6-ბრუნვა ნაღდი ანგარიშწორებით

x7-მომუშავეთა რიცხოვნობა

x8-ხელფასის ოდენობა

x9-საღირებულები ნაშთი(ბიუჯეტთან ანგარიშწორება)

y-ის და x_1 კორელაციის კოეფიციენტი აღვნიშნოთ R_1 . y-ის და x_2 კოეფიციენტი R_2 და ა.შ.

ჩატარებულმა გამოთვლებმა მოგვცა ასეთი შედეგები:

$R_1 = -0,24828$	$R_2 = 0,415436$	$R_3 = 0,298699$	$R_4 = -0,20395$
$R_5 = -0,37326$	$R_6 = -0,06215$	$R_7 = 0,700558$	$R_8 = -0,49138$
			$R_9 = 0,04874$

აღნიშნული წარმოების მაგალითზე მათემატიკური მოდელის აგება აზრს კარგავს. აღნიშნული უნდა აიხსნას იმ გარემოებით, რომ წლების განმავლობაში სიტუაცია ელექტროვაგონშემკეთებელ წარმოებაში არასტაბილურია. შემოსავლების ფულადი ოდენობა უმეტესად არ არის დამოკიდებული წარმოების სხვა მნიშვნელოვან ტექნიკურ-ეკონომიკურ პარამეტრებზე. რაც მოცემული წარმოების არასტაბილური ეფექტიანობით აიხსნება. განსხვავებით მრეწველობის საშუალო მაჩვენებლებისა, სადაც დამოკიდებულების კანონზომიერების განსაზღვრა უფრო შესაძლებელიცაა და მოდელი დიდი ალბათობით ფაქტიური მდგომარეობის ამსახველია.

საერთოდ რაიმე ეკონომიკურ მაჩვენებლებზე ფაქტორების მოქმედების გამოსავლენად სარგებლობენ მისი მათემატიკური მოდელირებით, რაც მჭიდროდ უკავშირდება ალბათობის თეორიასა და მათემატიკურ

სტატისტიკას იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ტექნიკურ–ეკონომიკური პარამეტრები ერთმანეთზე რა თქმა უნდა გავლენას ახდენს, მაგრამ ეს გავლენა უმეტესად ალბათობის ხასიათისაა, უფრო სწორად პარამეტრებს შორის დამოკიდებულება, იშვიათი გამონაკლისი გარდა, არ არის დეტერმინირებული. აქედან გამომდინარე მაჩვენებლებს შორის დამოკიდებულების სიმჭიდროვე განისაზღვრება ე.წ. კორელაციის კოეფიციენტით.

აღნიშნული კოეფიციენტის განსაზღვრის რამდენიმე მეთოდი არსებობს, რომელთაგან ყველაზე გავრცელებულია უმცირეს კვადრატთა მეთოდი. მის შესაბამისად კორელაციის კოეფიციენტს აქვს სახე:

$$R_{xy} = \frac{\Sigma(x - \bar{x})(y - \bar{y})}{\sqrt{\Sigma(x - \bar{x})^2 \Sigma(y - \bar{y})^2}}$$

მათემატიკური მოდელირებისათვის ეკონომიკაში ფაქტორთა სიმრავლისგან გამომდინარე იყენებენ წრფივ დამოკიდებულებას

$$Y = F(X) = a_1X_1 + a_2X_2 + \dots + a_nX_n$$

სადაც Y – შედეგობრივი მახასიათებელი – მიზნის ფუნქციაა, ხოლო x მასზე მოქმედი ფაქტორი. აღნიშნული კორელაციის კოეფიციენტის გამოთვლა შესაძლებელია EXCEL-ის პროგრამით.

ამ წესით კორელაციის კოეფიციენტის გამოსათვლელად შემოვიღოთ აღნიშვნები:

y₁ - ბრუნვის სიჩქარე

x₁ - სამრეწველო პროდუქცია

x₂ - დასაქმებულთა რიცხოვნობა მრეწველობაში

x₃ - საბრუნავი კაპიტალი მლრდ.ლარი

x₄ - წარმოებული პროდუქცია მრეწველობაში

x₅ - საწარმოთა რიცხვი მრეწველობაში

x₆ - სამთომოპოვებითი

x₇ - დამამუშავებელი მრეწველობა

x₈ - ელ.ენერჯის, აირის, წყლის წარმოება განაწილება

x₉ - სამრეწველო პროდუქციის მოცულობა (მლნ. ლარი) სამთომოპო-

ვებითი

x_{10} -სამრეწველო პროდუქციის მოცულობა(მლნ.ლარი) დამამუშავებელი მრეწველობა

x_{11} - ელ.ენერჯის,აირის,წყლის წარმოება განაწილება

x_{12} - მთლიანი შიდა პროდუქტი

x_{13} - დღგ (მლრდ.ლარი)

x_{14} - შუალედური მოხმარება

x_{15} -ინვესტიციები ძირითად კაპიტალში

x_{16} - დაქირავებულ შრომით დასაქმებულთა რიცხოვნობა

y_1 -ის და x_1 კორელაციის კოეფიციენტი აღვნიშნოთ $R_{1.1}$; y_1 -ის და x_2 კოეფიციენტი $R_{1.2}$ და ა.შ.

ჩატარებულმა გამოთვლებმა მოგვცა ასეთი შედეგები:

$R_{1.1} = -0,62567$	$R_{1.2} = -0,61703$	$R_{1.3} = -0,31722$	$R_{1.4} = -0,69263$
$R_{1.5} = 0,18892$	$R_{1.6} = 0,737013$	$R_{1.7} = -0,11418$	$R_{1.8} = -0,06263$
$R_{1.9} = -0,52381$	$R_{1.10} = -0,43437$	$R_{1.11} = -0,50555$	$R_{1.12} = -0,61747$
$R_{1.13} = -0,62979$	$R_{1.14} = 0,322504$	$R_{1.15} = -0,66015$	$R_{1.16} = 0,503897$

თუ კავშირების სიმჭიდროვეს განვსაზღვრავთ კორელაციის კოეფიციენტით, მაშინ ბრუნვის სიჩქარეზე (y_1) მოქმედი ფაქტორებიდან დაგვრჩება:

x_1 -სამრეწველო პროდუქცია ($R_{1.1} = -0,62567$)

x_2 -დასაქმებულთა რიცხოვნობა (მრეწველობაში) $R_{1.2} = -0,61703$

$x_3(x_4)$ -წარმოებული პროდუქცია (მრეწველობაში) $R_{1.4} = -0,69263$

$x_4(x_6)$ -სამთომოპოვებითი $R_{1.6} = 0,737013$

$x_5(x_9)$ -სამრეწველო პროდუქციის მოცულობა (მილ.ლარი) სამთომოპოვებითი

$R_{1.9} = -0,52381$

$x_6(x_{10})$ -სამრეწველო პროდუქციის მოცულობა (მილ.ლარი) დამამუშავებელი

$R_{1.10} = -0,43437$

$X_7(x_{13})$ - დღე $R_{1.13} = -0,62979$

$X_8(x_{15})$ - ინვესტიციები ძირითად კაპიტალში $R_{1.15} = -0,66015$

სტატისტიკურ გამოთვლებში მიღებულია რომ, თუ კორელაციის კოეფიციენტის აბსოლუტური მნიშვნელობა აღემატება 0,5-ს, მაშინ არსებობს კორელაციური კავშირი, ანუ არგუმენტის გავლენა ფუნქციაზე მნიშვნელოვანია. თუ კოეფიციენტის აბსოლუტური მნიშვნელობა 0,5-ზე ნაკლებია, არგუმენტსა და ფუნქციას შორის კავშირი უმნიშვნელოა და შემდგომ გამოთვლებში ასეთი ფაქტორები არ გაითვალისწინება. ჩვენს შემთხვევაში ანუ ბრუნვის სიჩქარეზე მჭიდრო კორელაციური კავშირი არსებობს მრეწველობაში არსებულ საბრუნავ კაპიტალსა და ინვესტიციების მოცულობასთან (x_8), რაც შეესაბამება კიდევ საერთო ეკონომიკურ წარმოდგენას.

როგორც ზემოთ ავლინებთ მათემატიკური მოდელირებისათვის ეკონომიკაში ფაქტორთა სიმრავლისგან გამომდინარე იყენებენ წრფივ დამოკიდებულებას

$$Y = F(X) = a_1x_1 + a_2x_2 + \dots + a_nx_n$$

სადაც - შედეგობრივი მახასიათებელი - მიზნის ფუნქციაა, ხოლო x მასზე მოქმედი ფაქტორი.

$$\left\{ \begin{array}{l} 1.154x_1 + 90.4x_2 + 15.032x_3 + 2935x_4 + 68.8x_5 + 428.6x_6 + 2.158x_7 + 2.059x_8 = 3.41 \\ 1.308x_1 + 84.5x_2 + 15.369x_3 + 2775x_4 + 76.4x_5 + 449.6x_6 + 2.458x_7 + 2.158x_8 = 3.45 \\ 1.549x_1 + 82.4x_2 + 16.202x_3 + 3139x_4 + 128.2x_5 + 472.5x_6 + 2.539x_7 + 2.283x_8 = 3.89 \\ 6.754x_1 + 85.4x_2 + 16.365x_3 + 148x_4 + 133.6x_5 + 462.5x_6 + 2.635x_7 + 2.697x_8 = 3.14 \\ 2.202x_1 + 94.3x_2 + 16.896x_3 + 131x_4 + 154.3x_5 + 495.2x_6 + 2.796x_7 + 3.27x_8 = 3.17 \\ 2.779x_1 + 90.3x_2 + 17.045x_3 + 117x_4 + 235.1x_5 + 624.8x_6 + 3.479x_7 + 3.525x_8 = 3.25 \\ 3.583x_1 + 84.4x_2 + 17.544x_3 + 104x_4 + 277.3x_5 + 773.1x_6 + 4.541x_7 + 4.805x_8 = 3.54 \\ 4.012x_1 + 91.6x_2 + 22.056x_3 + 180x_4 + 250.3x_5 + 690.5x_6 + 5.951x_7 + 5.659x_8 = 3.01 \end{array} \right.$$

ბრუნვის სიჩქარის განზოგადოებულ მაჩვენებლებსა და მათზე მოქმედ ფაქტორებს შორის კორელაციური კავშირების განსაზღვრის შედეგად შევადგინეთ შესაბამისი ცხრილი(იხ.ცხრილი3), რომელიც საჭიროა შემდგომი გამოთვლებისთვის, კერძოდ მათემატიკური მოდელირებისათვის. ამისათვის საჭიროდ მივიჩნიეთ განტოლებათა სისტემის ამოხსნა "კრამერის" მეთოდით.

ჩვენს შემთხვევაში მოითხოვება x_i კოეფიციენტების პოვნა, შესაბამისად საჭიროა ჩამოყალიბდეს სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე განტოლებათა სისტემა; სისტემის განტოლებათა რიცხვი ტოლია i -ს, რაც იძლევა ერთადერთი ამონახსნის მიღების საშუალებას. ბრუნვის სიჩქარის მოცულობის მიხედვით განტოლებათა სისტემას ექნება შემდეგი სახე:

სისტემის ბაზაზე ჩამოყალიბდება გაფართოებული მატრიცა

1,154	90,4	15,032	2935	68,8	428,6	2,158	2,059	3,41
1.308	84.5	15.369	2775	76.4	449.6	2.458	2.158	3.45
1.549	82.4	16.202	3139	128.2	472.5	2.539	2.283	3.89
6.754	85.4	16.365	148	133.6	462.5	2.635	2.697	3.14
2.202	94.3	16.896	131	154.3	495.2	2.796	3.27	3.17
2.779	90.3	17.045	117	235.1	624.8	3.479	3.525	3.25
3.583	84.4	17.544	104	277.3	773.1	4.541	4.805	3.54
4.012	91.6	22.056	180	250.3	690.5	5.951	5.659	3.01

სისტემის ამოხსნა კომპიუტერული პროგრამით გვადლევს შემდეგ პასუხებს:

$$x_1 = 0.0061473353608035$$

$$x_2 = -0.030320466875025$$

$$x_3(x_4) = 0.33292859854927$$

$$x_4(x_6) = 0.00023481750928498$$

$$x_5(x_9) = -0.0011974640461876$$

$$x_6(x_{10}) = 0.0056675392218721$$

$$x_7(x_{13}) = -1.1882840907926$$

$$x_8(x_{15}) = 0.32428333228056$$

წრფივი განტოლებათა სისტემის ამოხსნის ორი მეთოდია გავრცელებული - გაუსის და კრამერის, ორივე ეფუძნება უცნობების კოეფიციენტთა მატრიცების სხვაობის გზით მათ დაყვანას ერთეულოვან მატრიცაზე. ასეთი ამოცანები კომპიუტერის დახმარებით ავტომატურ რეჟიმში ხორციელდება. ამრიგად ზემოთ მოყვანილი პირველი განტოლებათა სისტემის ამონახსნი შემდეგია:

$$a_1=0,006; a_2=0,03; a_3=0,33; a_4=0,00023; a_5=0,0012; a_6=0,0057; \\ a_7=1,188; a_8=0,3243$$

მათემატიკური მოდელი ბრუნვის სიჩქარის მოცულობის მიხედვით იქნება:

$$Y_1=0,006x_1+0,03x_2+0,33x_3+0,00023x_4-0,0012x_5+0,0057x_6-1,188x_7+0,3243x_8$$

ამრიგად, გამოიკვეთა ბრუნვის სიჩქარეზე მოქმედი ფაქტორები დარჩენილი სიდიდეების მიხედვით:

1. სამრეწველო პროდუქციის ღირებულების ერთი მლ.ლარით ზრდა იწვევს საბრუნავი საშუალებების ბრუნვის სიჩქარის ზრდას 0,6-ჯერ წელიწადში.

2. მრეწველობაში დასაქმებულთა რიცხოვნობის ერთი ერთეულით ზრდა იწვევს საბრუნავი საშუალებების ბრუნვის სიჩქარის ზრდას 3-ჯერ.

3. მრეწველობაში წარმოებული პროდუქციის ერთი მლ.ლარით ზრდა იწვევს საბრუნავი საშუალებების ბრუნვის სიჩქარის ზრდას 33-ჯერ.

4. მრეწველობაში სამთომოპოვებითი პროდუქციის ღირებულების ერთი მლნ. ლარით ზრდა იწვევს საბრუნავი საშუალებების ბრუნვის სიჩქარის ზრდას 0,023-ჯერ.

5. სამთომოპოვებით მრეწველობაში სამრეწველო პროდუქციის ერთი მილ. ლარით ზრდა იწვევს საბრუნავი საშუალებების ბრუნვის სიჩქარის კლებას 0,12-ჯერ.

6. დამამუშავებელი მრეწველობის მიერ წარმოებული პროდუქციის მოცულობის ერთი მლ.ლარით ზრდა იწვევს საბრუნავი საშუალებების ბრუნვადობის ზრდას 0,57-ჯერ.

7. დამატებითი ღირებულების ზრდა ერთი მილრდ.ლარით იწვევს

საბრუნავი საშუალებების ბრუნვადობის კლებას 119-ჯერ.

8. მრეწველობაში ინვესტიციების ზრდა იწვევს საბრუნავი საშუალებების ბრუნვადობის ზრდას 32-ჯერ.

ახლა, იგივე მეთოდით გამოვთვალოთ მასალატევადობაზე მოქმედი ფაქტორები. როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, კორელაციის კოეფიციენტის გამოსათვლელად შემოვიღოთ აღნიშვნები:

y_2 -მასალატევადობა

x_1 - სამრეწველო პროდუქცია

x_2 - დასაქმებულთა რიცხოვნობა მრეწველობაში

x_3 - საბრუნავი კაპიტალი მლრდ.ლარი

x_4 - წარმოებული პროდუქცია მრეწველობაში

x_5 - საწარმოთა რიცხვი მრეწველობაში

x_6 - სამთომოპოვებითი

x_7 - დამამუშავებელი მრეწველობა

x_8 - ელ.ენერჯის,აირის,წყლის წარმოება განაწილება

x_9 - სამრეწველო პროდუქციის მოცულობა (მლნ. ლარი) სამთომოპოვებითი

x_{10} -სამრეწველო პროდუქციის მოცულობა (მლნ.ლარი) დამამუშავებელი მრეწველობა

x_{11} - ელ. ენერჯის, აირის, წყლის წარმოება განაწილება

x_{12} - მთლიანი შიდა პროდუქტი

x_{13} - დღგ (მლრდ.ლარი)

x_{14} - შუალედური მოხმარება

x_{15} -ინვესტიციები ძირითად კაპიტალში

x_{16} - დაქირავებულ შრომით დასაქმებულთა რიცხოვნობა

y_2 -ის და x_2 -ის კორელაციის კოეფიციენტი აღვნიშნოთ; $R_{2,1}$; y_2 -ის და x_2 კოეფიციენტი $R_{2,2}$ და ა.შ.

ჩატარებულმა გამოთვლებმა მოგვცა ასეთი შედეგი:

$R_{2,1} = -0,88934$	$R_{2,2} = -0,47951$	$R_{2,3} = -0,2403$	$R_{2,4} = -0,85307$
$R_{2,5} = 0,165572$	$R_{2,6} = 0,885696$	$R_{2,7} = -0,11418$	$R_{2,8} = -0,01317$
$R_{2,9} = -0,89177$	$R_{2,10} = -0,80343$	$R_{2,11} = -0,79678$	$R_{2,12} = -0,89893$
$R_{2,13} = -0,89893$	$R_{2,14} = -0,82558$	$R_{2,15} = 0,023125$	$R_{2,16} = 0.807569$

ბრუნვის სიჩქარეზე (y1) მოქმედი ფაქტორები

წლები	y ₁ ბრუნვის სიჩქარე	X ₁ სამრეწველო პროდუქცია	X ₂ დასაქმებულთა როცხოვნობა	X ₄ წარმოებული პროდუქცია	X ₆ სამთომომზოვებელ ი საწარმოთა რიცხვი	X ₉ სამრწ.პრ. მოც.მლ.ლ სამთომომზ.	X ₁₀ სამრწ. პრ.მოც. მლ.ლარი დამამუშ აგებითი	X ₁₃ დღზ მლრდ	X ₁₅ ინვესტ. ძირითად კაპიტალში
2001	3.41	1.154	90.4	15.032	2401	68.8	428,6	2.158	2.059
2002	3.45	1.308	84.5	15.369	1170	76.4	449,6	2.458	2.158
2003	3.89	1.549	82.4	16.202	1175	128.2	472,5	2.539	2.283
2004	3.14	1.754	85.4	16.365	148	133.6	462,5	2.635	2.697
2005	3.17	2.202	94.3	16.896	131	154.3	495,2	2.796	3.27
2006	3.25	2.779	90.3	17.045	117	235.1	624,8	3.479	3.525
2007	3.54	3.583	84.4	17.544	104	277.3	773,1	4.541	4.805
2008	2.98	3.821	85.7	19.65	112	262.1	755,3	4.931	5.321
2009	3.04	3.965	90.2	20.302	140	277.3	778,2	5.345	5.125
2010	2.95	3.968	91.3	21.025	150	280.3	768,3	5.831	5.535
2011	3.01	4.012	91.6	22.056	180	250.3	690,5	5.951	5,659

თუ კავშირების სიმჭიდროვეს განვსაზღვრავთ კორელაციის კოეფიციენტით, მაშინ მასალატევადობაზე (y_2) მოქმედი ფაქტორებიდან დაგვრჩება შემდეგი:

X1(X4)-წარმოებული პროდუქცია (მრეწველობაში)

X2(X6)-სამთომოპოვებითი

X3(X9)-სამრეწველო პროდუქციის მოცულობა(მილ.ლარი)სამთომოპოვებითი

X4(X10)-სამრეწველო პროდუქციის მოცულობა(მილ.ლარი)დამამუშავებელი

X5(X12)-მთლიანი შიდა პროდუქტი

X6(X13)-დღგ

X7(X14)-შუალედური მოხმარება

X8(X16)-დაქირავებულ შრომით დასაქმებულთა რიცხოვნობა

სტატისტიკურ გამოთვლებში მიღებულია რომ, თუ კორელაციის კოეფიციენტის აბსოლუტური მნიშვნელობა აღემატება 0,5-ს, მაშინ არსებობს კორელაციური კავშირი, ანუ არგუმენტის გავლენა ფუნქციაზე მნიშვნელოვანია. თუ კოეფიციენტის აბსოლუტური მნიშვნელობა 0,5-ზე ნაკლებია, არგუმენტსა და ფუნქციას შორის კავშირი უმნიშვნელოა და შემდგომ გამოთვლებში ასეთი ფაქტორები არ გაითვალისწინება.ჩვენს შემთხვევაში ანუ მასალატევადობაზე მჭიდრო კორელაციური კავშირი არსებობს სამრეწველო პროდუქციის მოცულობასთან(დამამუშავებელ მრეწველობაში).

მათემატიკური მოდელირებისათვის ეკონომიკაში ფაქტორთა სიმრავლისგან გამომდინარე იყენებენ წრფივ დამოკიდებულებას

$$Y=F(X)=a_1X_1+ a_2X_2+.....+ a_nX_n$$

სადაც, Y-შედეგობრივი მახასიათებელი-მიზნის ფუნქციაა, ხოლო x მასზე მოქმედი ფაქტორი.

მასალატევადობის განზოგადოებულ მაჩვენებლებსა და მათზე

მოქმედ ფაქტორებს შორის კორელაციური კავშირების განსაზღვრის შედეგად და დარჩენილი სიდიდეების მიხედვით, შევადგინეთ შესაბამისი ცხრილი(იხ.ცხრილი4), რომელიც საჭიროა შემდგომი გამოთვლებისათვის, კერძოდ მათემატიკური მოდელირებისათვის. ამისათვის საჭიროდ მივიჩნიეთ განტოლებათა სისტემის ამოხსნა ”კრამერის” მეთოდით.

ჩვენს შემთხვევაში მოითხოვება x_i კოეფიციენტების პოვნა, შესაბამისად საჭიროა ჩამოყალიბდეს სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე განტოლებათა სისტემა; სისტემის განტოლებათა რიცხვი ტოლია i -ს, რაც იძლევა ერთადერთი ამონახსნის მიღების საშუალებას. ბრუნვის სიჩქარის მოცულობის მიხედვით განტოლებათა სისტემას ექნება შემდეგი სახე:

$$\left\{ \begin{array}{l} 16.202x_1+148x_2+133.6x_3+1552.7x_4+9.824x_5+2.635x_6+6.044x_7+600.9x_8= 0.71 \\ 16.365x_1+131x_2+154.3x_3+1319.1x_4+11.621x_5+2.796x_6+7.159x_7+600.5x_8= 0.65 \\ 16.896x_1+117x_2+235.1x_3+2532.9x_4+13.79x_5+3.478x_6+8.479x_7+603.9x_8= 0.62 \\ 17.045x_1+104x_2+277.3x_3+2804.5x_4+16.99x_5+4.541x_6+10.555x_7+625.4x_8= 0.69 \\ 17.544x_1+112x_2+262.1x_3+1756.1x_4+17.105x_5+4.931x_6+11.031x_7+610.3x_8= 0.61 \\ 19.65x_1+140x_2+277.3x_3+2210.3x_4+17.534x_5+5.347x_6+11.537x_7+605.7x_8= 0.59 \\ 20.302x_1+150x_2+280.3x_3+2352.1x_4+17.698x_5+5.831x_6+11.95x_7+594.3x_8= 0.58 \\ 21.025x_1+180x_2+250.3x_3+2390.4x_4+18.025x_5+5.951x_6+12.125x_7+620.2x_8= 0.59 \end{array} \right.$$

სისტემის ბაზაზე ჩამოყალიბდება გაფართოებული მატრიცა

16.202	148	133.6	1552.7	9.824	2.635	6.044	600.9	0.71
16.365	131	154.3	1319.1	11.621	2.796	7.159	600.5	0.65
16.896	117	235.1	2532.9	13.79	3.478	8.479	603.9	0.62
17.045	104	277.3	2804.5	16.999	4.541	10.555	625.4	0.69
17.544	112	262.1	1756.1	17.105	4.931	11.031	610.3	0.61
19.65	140	277.3	2210.3	17.534	5.347	11.537	605.7	0.59
20.302	150	280.3	2352.1	17.698	5.831	11.95	594.3	0.58
21.025	180	250.3	2390.4	18.025	5.951	12.125	620.2	0.59

სისტემის ამოხსნა კომპიუტერული პროგრამით გვაძლევს შემდეგ პასუხებს

$$X_{1(x_4)}=0.19591098412764$$

$$X_{2(x_6)}= -0.011678917093749$$

$$X_{3(x_9)}= -0.0057494735284596$$

$$X_{4(X_{10})} = 1.2717018358522$$

$$X_{5(X_{12})} = 0.47201840347812$$

$$X_{6(X_{13})} = 0.67846983138559$$

$$X_{7(X_{14})} = -1.0099962813212$$

$$X_{8(X_{16})} = -0.00051214072745735$$

სისტემის ამონახსნს ექნება შემდეგი სახე:

$$a_1=0,196; a_2=-0,012; a_3=-0,006; a_4=1,27; a_5=0,047; a_6=0,68; a_7=-1,01; a_8=-0,0005$$

მათემატიკური მოდელი მასალატევადობის მიხედვით იქნება:

$$Y_2=0,196x_1-0,012x_2-0,006x_3+1,27x_4+0,047x_5+0,68x_6-1,01x_7-0,0005x_8$$

ამრიგად:

1. წარმოებული პროდუქციის ზრდა ერთი მილ.ლარით იწვევს მასალატევადობის ზრდას 19,6-ჯერ.
2. სამთომოპოვებითი საწარმოს ერთი მილ.ლარით კლება იწვევს მასალატევადობის კლებას 1,2-ჯერ.
3. სამრეწველო პროდუქციის მოცულობის ერთი მლნ-ით ზრდა იწვევს მასალატევადობის შემცირებას 0,6-ჯერ.
4. დამამუშავებელ მრეწველობაში წარმოებული პროდუქციის მოცულობის ერთი მლნ-ით ზრდა იწვევს მასალატევადობის ზრდას 127-ჯერ.
5. მშპ-ს ზრდა ერთი მლნ.ლარით იწვევს მასალატევადობის ზრდას 47-ჯერ.
6. დღგ-ს ზრდა ერთი მილიონი ლარით იწვევს მასალატევადობის ზრდას 68-ჯერ.
7. შუალედური მოხმარების ზრდა ერთი მლნ-ით იწვევს მასალატევადობის ღირებულების კლებას 101-ჯერ.
8. დასაქმებულთა რიცხოვნობის ზრდა ერთი ერთეულით იწვევს მასალატევადობის ღირებულების კლებას 0,05-ჯერ.

მასალატევადობაზე (y2) მოქმედი ფაქტორები

წლები	y2 ბრუნვის სიჩქარე	X4 წარმოებული პროდუქცია	X6 სამთომომპოვებელი საწარმოთა რიცხვი	X9 სამრწ.პრ. მოც.მლ.ლ სამთომომპ.	X10 სამრწ. პრ. მოც. მლ.ლარი. დამამუშავე- ბითი	X12 მშპ	X13 დღგ მლრდ	X14 შუალედური მოხმარება	X16 დაქირავებულ შრომით რიცხოვნობა
2001	0.85	15.032	2401	68.8	657.2	7.116	2.158	4.256	654.6
2002	0.84	15.369	1170	76.4	782.4	7.456	2.458	4.648	650.9
2003	0.78	16.202	1175	128.2	949.2	8.564	2.539	5.442	618.5
2004	0.71	16.365	148	133.6	1552.7	9.824	2.635	6.044	600.9
2005	0.65	16.896	131	154.3	1319.1	11.621	2.796	7.159	600.5
2006	0.62	17.045	117	235.1	2532.9	13.79	3.479	8.479	603.9
2007	0.69	17.544	104	277.3	2804.5	16.999	4.541	10.555	625.4
2008	0.61	19.65	112	262.1	1756.1	17.105	4.931	11.031	610.3
2009	0.59	20.302	140	277.3	2210.3	17.534	5.345	11.537	605.7
2010	0.58	21.025	150	280.3	2352.1	17.698	5.831	11.95	595.3
2011	0.59	22.056	180	250.3	2390.4	18.025	5.951	12.125	620.2

3. საბრუნავი საშუალებების და მატერიალური რესურსების გამოყენების ეფექტიანობის ანალიზი

3.1. საბრუნავი საშუალებების შემადგენლობის, სტრუქტურის, დინამიკისა და დაფინანსების ანალიზი

საწარმოს საბრუნავი საშუალებები არის უმნიშვნელოვანესი რესურსი საწარმოს მიმდინარე ფუნქციონირების, ანუ წარმოებისა და რეალიზაციის უზრუნველყოფის საქმეში. საწარმოო სამეურნეო საქმიანობის პროცესში საწარმოს სჭირდება ფულადი რესურსები, რაც აუცილებელია პროდუქციის დასამზადებლად. ნედლეულისა და მასალების შესასყიდად, ხელფასის გასაცემად და ა.შ. ასევე სახსრებს, რაც საჭიროა პროდუქციის სარეალიზაციოდ.

საწარმო-სამეურნეო საქმიანობის უწყვეტობის უზრუნველსაყოფად საწარმო უნდა ფლობდეს საბრუნავი საშუალებების განსაზღვრულ ოდენობას.

საბრუნავი კაპიტალის ანალიზისათვის ინფორმაციის ძირითადი წყაროა საბუღალტრო ბალანსი, მოგება-ზარალის ანგარიში, ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიში, საბუღალტრო ბალანსის დანართი, აგრეთვე პირველადი და ანალიზური აღრიცხვის მონაცემები, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია ბალანსის ცალკეული მუხლების გამიფვრა და დეტალიზება.

მუშაობის საწყის ეტაპზე ხდება საბრუნავი საშუალებების შემადგენლობის, სტრუქტურისა და დინამიკის გაანალიზება. საბრუნავი კაპიტალის სტრუქტურა ეს არის დამოკიდებულება მის ცალკეულ ნაწილებს შორის, კერძოდ დამოკიდებულება მარაგებსა და დანახარჯებს, მზა პროდუქციას, გადმოტვირთულ საქონელს, დებიტორულ დავალიანებას, ფინანსურ დაბანდებებს, ფულად სახსრებსა და სხვა აქტივებს შორის. ამასთანავე მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ საბრუნავი კაპიტალის სტაბილური სტრუქტურა არის მდგრადი, კარგად ორგანიზებული პროდუქციის წარმოების და გასაღების პროცესის დასტური. მისი არსებითი

ცვლილებები მიგვანიშნებს საწარმოს არასტაბილურ მუშაობაზე. ამასთან, საჭიროა განისაზღვროს საბრუნავი კაპიტალის ხვედრითი წილი საწარმოს სახსრების საერთო ოდენობაში. ცვლილებები მის დინამიკაში ასევე მიგვანიშნებს საწარმოს არასტაბილურ მუშაობაზე.

შემდეგ უნდა განისაზღვროს საბრუნავი კაპიტალის დაფინანსების წყაროები, ასევე უნდა გაითვალისწინოს საკუთარი საბრუნავი კაპიტალის სიდიდე საანგარიშო პერიოდის დასაწყისში და ბოლოს.

საკუთარი საბრუნავი კაპიტალის (COC) გაანგარიშება ხდება შემდეგნაირად:

$$COC = CK + D_{IP} - BHA \quad (3.1)$$

სადაც CK - საკუთარი კაპიტალი;

D_{IP} - შემოსავლები და ხარჯები;

BHA - არასაბრუნავი აქტივები.

საბრუნავი კაპიტალი უნდა დაფინანსდეს როგორც საკუთარი, ასევე ნასესხები წყაროებიდან, განსაკუთრებით ნეგატიური მომენტი საკუთარი საბრუნავი კაპიტალის უარყოფითი მნიშვნელობა, რაც საკუთარი საბრუნავი საშუალებების უკმარისობაზე მეტყველებს და არის საწარმოს გაკოტრების ერთ-ერთი კრიტერიუმი. ამიტომ მაჩვენებლის შემცირება, როგორც წესი, განიხილება როგორც ნეგატიური ფაქტორი.

3.1.1. საბრუნავი კაპიტალის გამოყენების ეფექტიანობის მაჩვენებლები

საბრუნავი კაპიტალის გამოყენების მაჩვენებლებს მიეკუთვნება:

- ბრუნვადობის კოეფიციენტი;

- ბრუნვადობის ხანგრძლივობა;

- საბრუნავი კაპიტალის რეალიზებულ ყოველ ლარზე მიღებული მოგება.

ბრუნვადობის კოეფიციენტი (K_{OB}) და ბრუნვის ხანგრძლივობა (D) ახასიათებენ კაპიტალის ბრუნვადობის სიჩქარეს:

$$K_{OB} = \frac{B}{OBC} \quad (3.2)$$

სადაც B - რეალიზაციიდან მიღებული ამონაგები;

OBC - საბრუნავი კაპიტალის საშუალოწლიური სიდიდე;

$$D = \frac{D_N}{K_{OB}} \quad (3.3)$$

სადაც D_N - დღეების რაოდენობა პერიოდში.

ანალიზისას შეისწავლება ამ მაჩვენებლების დინამიკა, ამასთან დადებითი ტენდენციებია - ბრუნვის ხანგრძლივობის შემცირება და ბრუნვადობის კოეფიციენტის გადიდება. მაჩვენებელთა გათვლა შეიძლება მოხდეს არა მარტო საბრუნავი კაპიტალის მთელი სიდიდის მიხედვით, არამედ მისი ცალკეული შემადგენელი ელემენტების მიხედვით.

საბრუნავი კაპიტალის ბრუნვის ხანგრძლივობა არის მთელი კაპიტალის ბრუნვის ხანგრძლივობის ზრდის ერთ-ერთი ფაქტორი, რომელიც შეიძლება წარმოდგენილი იქნას შემდეგი ფაქტორული მოდელის სახით:

$$D_K = \frac{D}{Y_{OB}} \quad (3.4)$$

სადაც D_K - მთელი კაპიტალის ბრუნვის ხანგრძლივობა;

Y_{OB} - საბრუნავი კაპიტალის ხვედრითი წილი მთელი კაპიტალის საერთო ოდენობაში.

ფაქტორების გავლენის გათვლა ხორციელდება ჯაჭვური ჩასმის მეთოდით.

საბრუნავი კაპიტალის ბრუნვადობის დაჩქარებიდან (შენელებიდან) მიღებული ეკონომიკური ეფექტი გამოხატულებას პოულობს ბრუნვიდან სახსრების გამოთავისუფლების (ბრუნვაში სახსრების ჩართვის) შეფარდებითი სიდიდით. კერძოდ,

$$\pm \exists = \frac{B \cdot \Delta D}{360} \quad (3.5)$$

სადაც B - რეალიზაციიდან მიღებული ამონაგები;

ΔD - საბრუნავი სახსრების ბრუნვის ხანგრძლივობის ცვლილება.

საბრუნავი კაპიტალის ბრუნვადობის დაჩქარებიდან მიღებული ეფექტი ასახვას პოულობს ასევე საწარმოს მიერ დამატებით მოგების მიღებაში, რომელიც გაითვლება ფორმულით:

$$\Delta P = \Delta K_{OB} \cdot \Delta R_{NP}, OBC \quad (3.6)$$

სადაც ΔK_{OB} , ბრუნვადობის კოეფიციენტის ცვლილება;

R_{NP} - გაყიდვების რენტაბელობა საანგარიშო წელს;

OBC - საბრუნავი კაპიტალის საშუალო წლიური ღირებულება საანგარიშო წელს.

P-მოგება ერთი ლარის საბრუნავი კაპიტალის რეალიზაციიდან (საბრუნავი კაპიტალის რენტაბელობა), გამოიყენება საწარმოს საქმიანობის ეფექტიანობის შეფასებისათვის.

საბრუნავი კაპიტალის რენტაბელობის მაჩვენებელსა და მის ბრუნვადობას შორის არსებობს კავშირი, რომელიც შეიძლება წარმოდგენილი იქნას შემდეგი ფორმულის სახით:

$$R_{OB} = \frac{P_p}{OBC} = \frac{P_p}{B} \cdot \frac{B}{OBC} = R_{OB} \quad (3.7)$$

სადაც: R_{OB} - საბრუნავი კაპიტალის რენტაბელობა;

P_p - რეალიზაციიდან მიღებული მოგება;

B - რეალიზაციიდან მიღებული ამონაგები;

R_{NP} - გაყიდვების რენტაბელობა;

OBC - საბრუნავი კაპიტალის საშუალოწლიური ღირებულება.

ფაქტორების გავლენის გაანგარიშება საბრუნავი კაპიტალის რენტაბელობის ცვლილებაზე შეიძლება მოხდეს აბსოლუტური სხვაობების მეთოდით.[28]

ანალიზის შედეგები უნდა იყოს ის ღონისძიებები, რომლებიც ხელს უწყობენ საბრუნავი კაპიტალის გამოყენების ეფექტიანობის ამაღლებას.

კაპიტალის ბრუნვადობის დაჩქარების ძირითადი გზებიდან შეიძლება გამოიყოს შემდეგი:

- საწარმოო ციკლის ხანგრძლივობის შემცირება წარმოების ინტენსი-

ფიკაციის ხარჯზე;

- მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ორგანიზაციის გაუმჯობესება წარმოების საჭირო მატერიალური რესურსებით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მიზნით და კაპიტალის მარაგის სახით არსებობის დროის შემცირებისათვის;

- პროდუქციის გადმოტვირთვის პროცესის დაჩქარება და საანგარიშგებო დოკუმენტების გაფორმება;

- სახსრების დებიტორულ დავალიანებაში ყოფნის დროის შემცირება.

3.1.2. მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფის ანალიზი

მატერიალური დანახარჯები შეადგენს მთელი დანახარჯების მნიშვნელოვან ნაწილს, რომელიც გაიღება პროდუქციის, სამუშაოების, მომსახურების წარმოებაზე. მატერიალური რესურსების გამოყენების ანალიზი შესაძლებელს ხდის მოხდეს მისი გამოყენების გონივრულად ორგანიზება და ეკონომიის მიღება.

ინფორმაციის წყაროებია: მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის გეგმა, განაცხადები, სპეციფიკაციები, შეტყობინებები, განაწესები, ნედლეულისა და მასალების მოწოდების ხელშეკრულებები. სტატისტიკური ანგარიშგების ფორმები: მატერიალური რესურსების არსებობისა და გამოყენების შესახებ და ანგარიშგება პროდუქციის, სამუშაოების, მომსახურების, წარმოებასა და რეალიზაციაზე გაწეული დანახარჯების შესახებ. მატერიალური ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების ოპერატიული მონაცემები, ნედლეულისა და მასალების შემოსულობის, ხარჯვისა და ნაშთების შესახებ ანალიტიკური აღრიცხვის მონაცემები. გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულების საგეგმო და საანგარიშგებო კალკულაციები. საწარმოთა სამსახურების მონაცემები მატერიალური რესურსების ხარჯვის ნორმატივებისა და ნორმების შესახებ, მათი ცვლილებები და სხვა წყაროები.

მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფის ანალიზი იწყება მატერიალურ რესურსებზე მოთხოვნის შეფასებით. მოთხოვნა მატერიალურ რესურსებზე განისაზღვრება მათი სახეების ჭრილში საწარმოს ძირითადი და არაძირითადი საქმიანობის საჭიროებისათვის, ასევე განისაზღვრება მოთხოვნა მარაგებზე, რაც საჭიროა საწარმოს საქმიანობის ნორმალური ფუნქციონირებისათვის.

მატერიალურ რესურსებზე მოთხოვნილების განსაზღვრის შემდეგ ხორციელდება მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის გეგმის ხარისხის ანალიზი, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეკონომიკური არასტაბილურობისა და ინფლაციის პერიოდებში. ამიტომ პირველ ეტაპზე განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მატერიალურ რესურსებზე მოთხოვნის სრულად აღრიცხვას და მისი სიდიდის თავისებურებებს, საწარმოს ნორმალური, შეუფერხებელი მუშაობისათვის მთავარი პირობაა მატერიალური რესურსებზე მოთხოვნის სრული უზრუნველყოფა დაფარვის წყაროებით:

$$MP_i^P = I_i \quad (3.8)$$

სადაც MP_i^P - საწარმოს საერთო მოთხოვნა i -ური სახის მატერიალურ რესურსებზე.

I_i -ური სახის მატერიალურ რესურსებზე მოთხოვნის დაფარვის წყაროების სიდიდე.

სწავლობენ ასევე ნედლეულისა და მასალების მარაგების მდგომარეობას ზედმეტი და უსარგებლო მარაგების გამოვლენის მიზნით, მათი დადგენა შეიძლება სასაწყობო აღრიცხვის მონაცემების მიხედვით შემოსულობებისა და გასაღების შედარების გზით. თუ კი რომელიმე მასალის მიხედვით არ არის დანახარჯი ერთ წლის და მეტი დროის განმავლობაში, მაშინ მას განიხილავენ როგორც არაგასავლიანს და ითვლიან საერთო ღირებულებას, და ბოლოს განისაზღვრება პროდუქციის წარმოების მოცულობის ზრდა (შემცირება) (BP) ყველა სახეობის მიხედვით შემდეგი მაჩვენებლების ცვლილების ხარჯზე:

- ა) დამზადებული ნედლეულისა და მასალების რაოდენობა (Z);
 - ბ) ნედლეულისა და მასალების გარდამავალი ნაშთები (O_{CM});
 - გ) გეგმური ნარჩენები ნედლეულის დაბალი ხარისხის გამო. მასალების შეცვლის ანდა სხვა ფაქტორების გამო (O_{TX});
 - დ) პროდუქციის ერთეულზე ნედლეულის ხვედრი დანახარჯები (YP).
- ამასთან ერთად გამოიყენება პროდუქციის გამოშვების შემდეგი მოდელი.

$$BP = \frac{Z \pm \Delta O_{CM} - O_{MX}}{YP} \quad (3.9)$$

ამ ფაქტორების გავლენა პროდუქციის გამოშვებაზე შეიძლება განისაზღვროს ჯაჭვური ჩასმის ხერხით.

3.1.3. მატერიალური რესურსების გამოყენების ეფექტიანობის ანალიზი

მატერიალური რესურსების გამოყენების ეფექტიანობის ანალიზი იწყება მატერიალური რესურსების გამოყენების ეფექტიანობის მაჩვენებელთა სისტემის ფორმირებით. მატერიალური რესურსების გამოყენების ეფექტიანობის დასახასიათებლად რეკომენდებულია გამოყენებული იქნას განმაზოგადოებელ და კერძო მაჩვენებელთა სისტემა. განმაზოგადოებელ მაჩვენებლებს მიეკუთვნება მასალატევადობა, მასალაუკუგება, პროდუქციის თვითღირებულებაში მატერიალური დანახარჯების ხვედრითი წილი, მასალების გამოყენების კოეფიციენტი. მასალატევადობა - ეს არის მაჩვენებელი, რომელიც ასახავს ერთი სახის სასაქონლო პროდუქციაზე რამდენი ლარის მატერიალური დანახარჯები მოდის. განისაზღვრება როგორც მატერიალური დანახარჯების თანხის დამოკიდებულება წარმოებული პროდუქციის ღირებულებასთან. მასალაუკუგება ახასიათებს პროდუქციის გამოსავლიანობას ყოველი ლარის მოხმარებული მატერიალური რესურსებიდან. განისაზღვრება როგორც დამოკიდებულება პროდუქციის ღირებულებასა და მატერიალური დანახარჯების სიდიდეს

შორის. პროდუქციის თვითღირებულებაში მატერიალური დანახარჯების ხვედრითი წილი ასახავს მატერიალური რესურსების გამოყენების დონეს და პროდუქციის წარმოების სტრუქტურას და განისაზღვრება როგორც მატერიალური დანახარჯების ოდენობა გამოშვებული პროდუქციის სრულ თვითღირებულებაში. მასალების გამოყენების კოეფიციენტი ასახავს მასალების გამოყენების ეფექტიანობას, ხარჯვის ნორმების დაცვას. განისაზღვრება ფაქტიური მატერიალური დანახარჯების სიდიდის გაყოფით მატერიალური დანახარჯების სიდიდეზე, რომელიც გათვლილია საგემო კალკულაციის, პროდუქციის ფაქტიური გამოშვებისა და პროდუქციის ასორტიმენტის საფუძველზე.

განზოგადოებული მაჩვენებლების გამოყენებით საერთო წარმოდგენა იქმნება მატერიალური რესურსების და მისი ზრდის რეზერვების ეფექტიანად გამოყენების დონეზე. უფრო სრულ ინფორმაციას იძლევა კერძო მაჩვენებლების ანალიზი.

მატერიალური რესურსების გამოყენების ეფექტიანობის მაჩვენებლები დიფერენცირდება კალკულაციის მუხლების მიხედვით შემდეგ შემადგენელ ელემენტებად:

- პროდუქციის ნედლეულტევადობა: $E^C = M^C/Q$ (3.10)

- პროდუქციის ლითონტევადობა: $E^M = M^M/Q$ (3.11)

- პროდუქციის თბოტევადობა; $E^T = M^T/Q$ (3.12)

- პროდუქციის ენერგოტევადობა; $E^E = M^E/Q$ (3.13)

- პროდუქციის ნახევარფაბრიკატების ტევადობა $E^n = M^n/Q$

სადაც:

M^C - მოხმარებული ნედლეულისა და მასალების ღირებულება (ათასი ლარი).

M^M - მოხმარებული ლითონის ღირებულება (ათასი ლარი).

M^T - მოხმარებული სათბობის ღირებულება (ათასი ლარი).

M^E - მოხმარებული ენერგიის რაოდენობა (ათასი ლარი).

M^N - მოხმარებული ნაყიდი ნაკეთობების და ნახევარფაბრიკატების ღირებულება (ათასი ლარი).

მასალატევადობის კერძო კოეფიციენტების შედგენა და ანალიზი სრულ წარმოდგენას არ იძლევა მატერიალური რესურსების გამოყენებაზე საწარმოში. ამიტომ გამოიყენება მალასატევადობის შემდგომი ანალიზი. ფაქტორული მოდელი, რომელიც პირველი რიგის ფაქტორებისაგან შედგება, მასალატევადობისათვის შეიძლება გამოხატული იქნას შემდეგნაირად:

$$ME = \frac{MZ}{BP} = \frac{\sum(Q^{OB} \cdot Y_{di} \cdot YP_i \cdot CM_i)}{\sum(Q^{OB} \cdot Y_{di} \cdot CP_i)} \quad (3.14)$$

სადაც: ME - პროდუქციის მასალატევადობა;

MZ - მატერიალური დანახარჯები;

BP - საერთო პროდუქცია (მთლიანი პროდუქცია) ღირებულებით გამოხატულებაში;

Q^{OB} - წარმოებული პროდუქციის რაოდენობა ნატურალურ გამოხატულებაში;

Y^d - i-ური სახის პროდუქციის ხვედრითი წილი წარმოებული პროდუქციის საერთო ოდენობაში;

YP_i - მასალების დანახარჯი i-ური პროდუქციის ერთეულზე;

CM_i - მასალების ღირებულება;

CP_i - ური სახის პროდუქციის გასაშვები ფასების დონე.

ფაქტორების გავლენა მასალაუკუგებაზე ანდა მასალატევადობაზე შეიძლება განისაზღვროს ჯაჭვური ჩასმის წესით.

მატერიალური რესურსების გამოყენების ეფექტიანობის ერთ-ერთი მაჩვენებელია მოგება ერთი ლარის მატერიალურ დანახარჯებზე. მისი დონის ამაღლება დადებითად ახასიათებს საწარმოს მუშაობას. ანალიზის პროცესში აუცილებელია შესწავლილი იქნას მოცემული მაჩვენებლის დინამიკა მისი დონის გეგმის შესრულება. საჭიროა მეურნეობათაშორისო შედარებების მოტანა და მისი სიდიდის ცვლილების ფაქტორების დადგენა. ამისათვის შეიძლება გამოყენებული იქნას შემდეგი ფაქტორული მოდელი:

$$\frac{Pp}{M3} = \frac{Pp}{B} \cdot \frac{B}{BP} \cdot \frac{BP}{M3} = R_{OB} \cdot D_B \cdot MO \quad (3.15)$$

სადაც Pp/MZ - მოგება მატერიალური დანახარჯების ერთ ლარზე.

მატერიალური რესურსების გამოყენების ეფექტურობის დასახასიათებლად, გამოიყენება განმაზოგადებელი და კერძო მაჩვენებლები.


განმაზოგადებელ მაჩვენებლებს მიეკუთვნება: მასალატევადობა, მასალაუკუგება (მასალაამოგება, საბრუნავი კაპიტალის ბრუნვადობა), წარმოების მოცულობის ზრდის ტემპების და მატერიალური დანახარჯების შესაბამისობის კოეფიციენტი, მატერიალური ხარჯების ხვედრითი წილი (წონა) პროდუქციის თვითღირებულებაში, მასალების გამოყენების კოეფიციენტი (ნახ. 23).

მასალაუკუგება განისაზღვრება წარმოებული პროდუქციის ღირებულების გაყოფით მატერიალური დანახარჯების ჯამზე (თანხაზე). ეს მაჩვენებელი ახასიათებს მასალების ამოგებას, ე.ი. რამდენი პროდუქცია იწარმოა (დამზადდა) მოხმარებული მატერიალური რესურსების თითოეული ლარიდან (ნედლეული, მასალები, სათბობი, ენერგია და ა.შ.).[29]

პროდუქციის **მატერიალტევადობა** (მასალატევადობა) გამოითვლება მატერიალური დანახარჯების ჯამის შეფარდებით წარმოებული პროდუქციის ღირებულებათან. ის გვიჩვენებს, თუ რა მატერიალური დანახარჯები უნდა განვახორციელოთ ან ფაქტიურად უკვე დაიხარჯა პროდუქციის ერთეულის წარმოებაზე.

წარმოების მოცულობის ზრდის ტემპების და მატერიალური დანახარჯების თანაფარდობის კოეფიციენტი გამოითვლება მთლიანი ან სასაქონლო პროდუქციის ინდექსის შეფარდებით მატერიალური დანახარჯების ინდექსთან. იგი შეფარდებითად ახასიათებს მატერიალუკუგების დინამიკას და ამასთან ერთად გვიჩვენებს მისი ზრდის ფაქტორებს.

პროდუქციის თვითღირებულებაში მატერიალური დანახარჯების ხვედრითი წონა გამოითვლება მატერიალური დანახარჯების ჯამის შეფარდებით წარმოებული პროდუქციის მთლიან ღირებულებასთან. ამ მაჩვენებლის დინამიკა ახასიათებს პროდუქციის მატერიალტევადობის (მასალატევადობის) ცვლილებას.



ნახ.23. საერთო მატერიალტევადობის განმსაზღვრელი ფაქტორების სქემა

მატერიალური დანახარჯების კოეფიციენტი წარმოადგენს მატერიალური დანახარჯების ფაქტიური ჯამის შეფარდებას გეგმიურთან, რომელიც

გადათვლილია (ხელახლა დათვლილი) გამოშვებული პროდუქციის ფაქტიურ მოცულობაზე. იგი გვიჩვენებს თუ რამდენად ეკონომიურად იხარჯება მასალები წარმოების პროცესში, ხომ არ აქვს ადგილი მათ გადახარჯვას დადგენილ ნორმასთან შედარებით. თუ კოეფიციენტი მეტია 1-ზე, ეს ნიშნავს, რომ მოხდა მატერიალური რესურსების გადახარჯვა და პირიქით, თუ კოეფიციენტი ნაკლებია 1-ზე, მაშინ მატერიალური რესურსები გამოყენებულია უფრო ეკონომიურად.

მატერიალტევადობის (მასალატევადობის) კერძო მაჩვენებლები გამოიყენება მატერიალური რესურსების (ნედლეულტევადი, მეტალტევადი, სათბობტევადი, ენერგოტევადი და სხვა) ცალკეული სახეების გამოყენების ეფექტურობის დასახასიათებლად. ასევე, ცალკეული ნაკეთობების მატერიალტევადობის დონის დასახასიათებლად (პროდუქციის ერთეულზე დახარჯული მასალების ღირებულების შეფარდება მის საბითუმო ფასზე).

ხვედრითი მატერიალტევადობა შეილება გამოითვალოს, როგორც ღირებულებითი, ასევე, ნატურალური ან პირობით-ნატურალური სახით (იური სახის პროდუქციის წარმოება დახარჯული მატერიალური რესურსების რაოდენობის შეფარდება ამ სახის გამოშვებული პროდუქციის რაოდენობასთან).

ანალიზის დროს მასალების გამოყენების ეფექტურობის მაჩვენებლების ფაქტიურ დონეს ადარებენ გეგმიურს, შეისწავლიან მათ დინამიკას და ცვლილების მიზეზებს, ასევე, გავლენას პროდუქციის წარმოების მოცულობაზე.

მატერიალტევადობა (მასალატევადობა), ის ევე, როგორც მატერიალუკუგება, დამოკიდებულია მთლიანი პროდუქციის მოცულობასა და მის წარმოებაზე გამოყენებული მატერიალური ხარჯების ჯამზე. თავის მხრივ, მთლიანი (სასაქონლო) პროდუქციის მოცულობა ღირებულების მიხედვით, შეიძლება შეიცვალოს წარმოებული პროდუქციის რაოდენობის, მისი სტრუქტურის და გასაცემი ფასების ხარჯზე. მატერიალური დანახარჯების

ჯამი ასევე დამოკიდებულია წარმოებული პროდუქციის მოცულობაზე, სტრუქტურაზე, ერთეული პროდუქციის წარმოებაზე დახარჯული მასალებსა და მათ ღირებულებაზე.

ამგვარად, საერთო მასალატევადობა დამოკიდებულია წარმოებული პროდუქციის სტრუქტურაზე, ერთეული პროდუქციის წარმოებაზე დახარჯული მასალების ნორმაზე, მატერიალური რესურსების ფასებსა და პროდუქციის გასაცემ ფასებზე.

4. ხელმძღვანელის კომუნიკაციური უნარი თანამედროვე პირობებში


გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს და 90-იანი წლების დასაწყისში საბაზრო სისტემაზე გადასვლამ არსებითი გარდაქმნები მოითხოვა მართვის სფეროში, ხელმძღვანელს საქმე აქვს ადამიანების ჯგუფთან, ფულთან და მატერიალურ რესურსებთან, რომლებზეც ზემოქმედება ხორციელდება მართვის სპეციფიკური მეთოდების მეშვეობით. მას აუცილებლად უნდა ესმოდეს მმართველობითი საქმიანობის სტრუქტურა, შეეძლოს პროფესიონალიზმის სიმაღლეთა განსაზღვრა ამ სფეროში, ასევე ამ სიმაღლეთა მიღწევის გზები და საშუალებები მიზანმიმართული განათლებისა და თვითგანვითარების პროცესის გზით.

პროფესიონალიზმის დონე განისაზღვრება ფაქტორთა სამი ჯგუფით: პირველი - ეს არის განსაზღვრული ინდივიდუალური თავისებურებების არსებობა და მისი კორექცია მოქმედების სფეროში; მეორე - სპეციალისტის ჩართვა სოციალურ-კულტურულ გარემოში; მესამე - სოციოკულტურული ნორმების ოპერირების დემონსტრირება პროფესიული საქმიანობის სფეროში.

ხელმძღვანელის პროფესიონალიზმის თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ მისი საქმიანობის ამოცანები და პრობლემები ძირითადად ეხება იმათ რეფლექსურ თვითორგანიზაციას, ვისთანაც აყალიბებს ურთიერთობას. ასევე მის საკუთარ რეფლექსურ თვითორგანიზაციას. ეს განაპირობებს

ურთიერთგაგების მიღწევს პროფესიონალებთან სხვა სფეროებში, ცალკეული სპეციალისტების მიერ თავიანთი ვალდებულებების შესრულების პროფესიონალური დონის გამოვლენას.[30]

ხელმძღვანელისათვის მნიშვნელოვანია იცოდეს თავის შესახებ იმ რეაქციის ცოდნა, სხვადასხვა სახის შეხედულებების წყაროები და მიზეზები, რომლებიც ყალიბდება ადამიანებთან ურთიერთობებში. ადამიანებთან ურთიერთობების პროცესის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საკვანძო კომპონენტია პრაქტიკული უკუ კავშირის მიღება, აღნიშნულის არარსებობა ადამიანების ურთიერთშემოქმედებას უმართავს ხდის. ლ.კ. ავერჩენკომ და ლ.ნ. ანტილოგოვამ უკუკავშირის გაცემა და მიღება გამოხატეს დიაგრამის სახით (ნახ.24.).



1. ღია სექტორი
2. ბრმა სექტორი
3. დახურული სექტორი
4. უცნობი სექტორი.

ნახ.24 ადამიანის შესახებ არსებული ინფორმაციის ტიპები.

მარცხენა ნახევარსფერო (1 და 3 სექტორი) წარმოადგენს იმ ინფორმაციას, რაც ადამიანმა იცის საკუთარი თავის შესახებ. ზედა ნახევარსფერო (სექტორი 1 და 2) ესაა ინფორმაცია, რომელიც ადამიანის შესახებ გააჩნიათ სხვებს. დაბალი ქვედა (სექტორი 3 და 4) - ესაა ინფორმაცია, რომელიც სხვებს არ გააჩნიათ ამ ადამიანის შესახებ. ინფორმაციის სიდიდე და შინაარსი სფეროს სხვადასხვა ნაწილებში იცვლება იმის მიხედვით, თუ როგორ ვარირებენ ნდობის დონე და უკუკავშირის ხარისხი.

ღია სექტორი (1) - მოიცავს ადამიანის შესახებ იმ ინფორმაციას, რომელიც ცნობილია თავად მისთვისაც და გარშემო მყოფთათვისაც, ეს მონაცემები ვლინდება ადამიანებს შორის ღია და თავისუფალი ურთიერთობების დროს. ეს სექტორი ფართოვდება ადამიანებს შორის ნდობის ფაქტორის განმტკიცების შედეგად.

ბრმა სექტორი (2) - მოიცავს ინფორმაციას ადამიანის შესახებ, რომელიც გააჩნიათ სხვა ადამიანებს, მაგრამ ცნობილი არ არის თვითონ მისთვის. გარე აქტიურობის გამოვლენა, რომელზედაც იგი ყურადღებას არ ამახვილებს. მისი პირადი თავისებურებები, რომელსაც იგი არ ათვისებთ, ფიქსირდება სხვების მიერ.

დახურული სექტორი (3) - წარმოადგენს ინფორმაციას, ადამიანის ცნობებს საკუთარი თავის შესახებ, რომელიც ცნობილია თვითონ მისთვის, მაგრამ უცნობია სხვებისათვის, ამა თუ იმ მიზეზის გამო ეს მონაცემები დაფარულია ადამიანების მიერ სხვებისაგან.

უცნობი სექტორი (4) - მოიცავს ყველა მონაცემებს ადამიანის შესახებ, რომელიც არც თავად მან და არც სხვებმა არ იციან. ეს მონაცემები ეხება მის იმ პირად თავისებურებებსა და შესაძლებლობებს, რომლებიც არ ვლინდება ჩვეულებრივ გარემოში და შეიძლება არც გამოვლინდეს მთელი სიცოცხლის მანძილზე.

რაც უფრო დიდია თვითგახსნილობის ხარისხი: ინფორმაციის გაცემა, მით უფრო დაბლა ეშვება წრეხაზის ჰორიზონტალური დიამეტრი, რაც უფრო მეტი ადამიანი ღებულობს ინფორმაციას სხვების შესახებ, მით უფრო მარჯვნივ გადაიწევა წრეხაზის დიამეტრი. იმისათვის რომ მიღებული იქნას უკუკავშირი, უნდა განვითარდეს, ჩამოყალიბდეს მითითება, ასეთი ინფორმაციის ათვისების უნარი, იმისათვის, რომ სტიმულირებული იქნას ასეთი გაცემა. ადამიანი ხდება უფრო გახსნილი სხვებისათვის და ისინი იწყებენ მის უკეთესად აღქმას.

უკუკავშირის გაცემის უნარის განვითარება სწორი ფორმით, ურთიერთდამოკიდებულების კლიმატის ჩამოყალიბება-ყველაფერი ეს ზრდის ურთიერთობის ეფექტიანობას.

თანამედროვე პირობები წინა პლანზე აყენებს ახალ მოთხოვნებს მენეჯერების მიმართ, ესენია: ორგანიზაციული და ფსიქოლოგიური თვისებების კომპლექსების ფლობა, სხვა ხალხთან მუშაობის უნარი.

ხელმძღვანელის წარმატებული საქმიანობა მნიშვნელოვანწილად

დამოკიდებულია შედეგიანი ქმედებების პრინციპების რეალიზაციაზე, ემყარება დეკარტის წესებს, კლოდ ბერნერის რეკომენდაციებს, ადამ სმიტის შრომის დანაწილების კანონებს და ფ. ტეილორის ინტეგრაციის კანონებს. აქ შეიძლება მოიაზრობდეს კაროლ ადამეცკის წარმოების ჰარმონიის კანონები, ანრი ფაიოლის, ფრენკ გილბერტის და სხვების წარმოების ჰარმონიის კანონები. მენეჯერებისათვის ფუნქციონალური მოთხოვნებიდან გამომდინარე მენეჯმენტის აღნიშნული კლასიკოსები გამოყოფენ შედარებით მნიშვნელოვან უნარებს:

1) მმართველობითი, ე.ი. გადაწყვეტილების მიღება, დაგეგმვა, კონტროლი.

2) კომუნიკაციური, ე.ი. ინფორმაციული ზემოქმედება, კოორდინაცია, მოტივირება.

3) ტექნიკური, ე.ი. პრობლემების გადაჭრა განსაზღვრულ საგნობრივ სფეროში, ხელქვეითებთან პრობლემების გადაჭრის ხერხებისა და შედეგების შეფასება.

ფილოსოფიური აზროვნების დასავლური ისტორიის თანახმად კომუნიკაციის პრობლემის გათვითცნობიერების ამოსავალი ფილოსოფიური პრინციპები შემუშავებული იქნა XX საუკუნის პირველ მეოთხედში. (მ. ბუბერი, ე. გუსერლი, გ. შედერი, კ. იასპერსი). კლასიკური ფილოსოფიური აზროვნების მსოფლმხედველობითი სქემებიდან კომუნიკაციურ ფილოსოფიაზე პრინციპული პრობლემური გადასვლა მკვეთრად ჩამოყალიბდა მხოლოდ უკანასკნელ პერიოდში. ასეთი მიდგომა სათავეს იღებს ბევრი რუსი ფსიქოლოგის (ლ.ს. ვიგოდაკის, ა.ნ. ლეონტიევის, ბ.ფ. ლომოვის, ა.ვ. პეტროვსკის და სხვები) შრომებში. ასევე უცხოელი ავტორების (ე. ფრომის, კ. როჯერსის, ა. მასლოუს, დ. გრინდერის და სხვების) კვლევებში.

ა. ბუდალევი აღნიშნავს, რომ ინფორმაცია, რომელიც ყალიბდება ადამიანების ურთიერთზემოქმედების პროცესში ყოველი მონაწილის მიმართ, ემყარება, ჯერ-ერთი, იმ სიგნალებს, რომელსაც ადამიანი ერთობლივი საქმიანობის პროცესში უშუალოდ იღებს სხვა მონაწილისაგან;

მეორეც - მასში აუცილებლად შედის ინფორმაცია, რომელსაც იგი ასევე ღებულობს საკუთარ თავზე თავისი ინტერეცეპტორებისაგან, რომელთა მეშვეობით იგი ღებულობს სიგნალებს საერთო საქმიანობაში მისი საკუთარი მონაწილეობის შესახებ, მიღწეული შედეგების, მისი მდგომარეობის და სხვა პირობების შესახებ" [31].

მკვლევარები: ბრიუს დელმანი, ჯოზეფ ო. კონერი, ჯონ სეიმორი, კომუნიკაციურ ჩვევებად მოიაზრებდნენ ინფორმაციის ურთიერთგაცვლის ერთიანობას და თანამოსაუბრეთა ურთიერთზემოქმედებას. მათ შორის ურთიერთობის გათვალისწინებით, ასევე შეხედულებების ვარაუდებით, მიზნების, ყველაფერი იმის გათვალისწინებით რაც განაპირობებს იმ ცოდნის დაზუსტებას და გამდიდრებას, რომელთაც ადამიანები ერთიმეორეს უზიარებენ.

სოციოლიგვისტების აზრით, კომუნიკაციური უნარი, ეს არის არა თანდაყოლილი, არამედ ადამიანის სოციალურ გარემოსთან ურთიერთქმედების შედეგად ჩამოყალიბებული უნარი, რომელსაც იგი იძენს სოციალურ-კომუნიკაციური გამოცდილების პროცესში. მოცემულ დებულებას ადასტურებენ რუსი მკვლევარების კვლევები (ვ.ს. გრეხოვი; ხ.კ., იბრაგიმოვი; ი.ს. კონი; ტ.ლ. ხუდიაკოვა). ისინი ამტკიცებენ, რომ კომუნიკაციური ჩვევები ყალიბდება პირველ ხუთ წელიწადში სტიქიურად, მცდელობების და შეცდომების გზით. სკოლაში უშუალო საქმიანობის მსვლელობაში ბევრი ვერ აღწევს განვითარების სათანადო დონეს. ამავე დროს მათი ჩამოყალიბების დონე არ არის დამოკიდებული არც სტაჟზე, არც ასაკზე, არც სქესზე. ვ.ა. დრაკოვი და ა.ვ. დრაკოვი თვლიან, რომ კომუნიკაციური უნარი - ეს არის ადამიანის ხასიათის ძირითადი თვისებების და თავისებურებების მოდიფიკაცია. კერძოდ: თანაზიარობა, ყურადღებიანობა, დაკვირვების უნარი, სიფხიზლე, სამართლიანობა, მოწესრიგებულობა, ერთგულება, გულწრფელობა, უშუალოება, შორსმჭვრეტელობა, გამჭრიახობა, გონებამახვილობა, თავმეკავებულობა, ვნებიანობა, მგზნებარება. ანალიზებს რა კომუნიკაციის უნარის ჩამოყალიბებას, ა.ა. ჟურვალოვი გამოყოფს ხარისხის

და ხასიათის ისეთ პროფესიულად მნიშვნელოვან თვისებას, როგორცაა თავშეკავებულობა გაწონასწორებულობა, კეთილმოსურნეობა, პატივისცემა. ავტორი აღნიშნულ თვისებებს მიიჩნევს კომუნიკაციური უნარის სტრუქტურის შედარებით მნიშვნელოვან კომპონენტებად.

ბევრი მკვლევარი ასევე იძლევა კომუნიკაციური უნარების ჩამონათვალს, მაგრამ ისინი კვლევებში თითქოსდა შუა გზაზე ჩერდებიან, ივარგლებიან ჩამონათვალის ელემენტების მარტივი ნაკრებით და შეგნებულად არ მიდიან წინ კვლევის "სისტემატიზაციასთან" მიმართებაში, რომელიც მოცემულ შემთხვევაში აღნიშნავს მხოლოდ ლოგიკურ მოწესრიგებულობას, ლოგიკურ კანონზომიერებას. ასე რომ არსებული კვლევების საფუძველზე შეიძლება გამოიყოს:

1) საერთო კომუნიკაციური უნარები, რაც აუცილებელია ცხოველმყოფელობაში. ეს არის საკუთარი ქცევის, განწყობის, ყურადღების, მეტყველების მართვა.

2) სოციალური კომუნიკაციური უნარები, რაც აუცილებელია პროფესიულ საქმიანობაში. აქ იგულისხმება საკუთარი თავის ფლობის, საკუთარი ემოციური მდგომარეობის კონტროლისა და კორექტირების უნარი.

ბ.დ. პარეჩინს კომუნიკაციური უნარის დასახასიათებლად შემოაქვს ტერმინი "ურთიერთგაგება". მისი აზრით ადამიანების ურთიერთგაგებაზე საუბარი შეეძლება მაშინ, როცა ადამიანებს ესმით ერთი მეორის, აქვთ ერთნაირი ანდა მსგავსი შეხედულებები სამყაროზე და მათ ფასეულობით ორიენტაციაზე. იგებენ ერთმანეთის ინდივიდუალურ თავისებურებებს, ესმით და ზოგჯერ გამოიციან კიდევ ერთმანეთის ქცევის მოტივებს და ქცევის შესაძლებლობებს რომელიმე კონკრეტულ სიტუაციაში. მათი აზრით ურთიერთგაგება ეს არის თვითშეფასების თანაზიარი აღიარება, თავიანთი შესაძლებლობებისა და უნარის აღიარება და ასე შემდეგ" [32].

ზოგიერთი მკვლევარი (ა.ვ. პეტრენკო, მ. რობერი, ლ.ი. ჩერნიკოვა) არ იზიარებენ არსებულ მოსაზრებებს კომუნიკაციის და კომუნიკაციური უნარის შესახებ და თვლიან, რომ კომუნიკაცია პიროვნებათაშორისი

ხასიათის მატარებელია იმისგან დამოუკიდებლად, თუ რა ფორმით არსებობს იგი. პიროვნებათაშორისი ურთიერთობები, რომელთა შიგნითაც ყალიბდება ნდობა, ურთიერთგაგება, პატივისცემა და გულითადობა, ხელს უწყობს იმას, რომ ყოველი კომუნიკაციური აქტი მიმდინარეობს უფრო წყნარად. ეფექტიანად, ფსიქიური ენერჯის ნაკლები დანახარჯებით. ა.ვ. პეტრენკო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ კომუნიკაციების შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს რომელიმე სხვა მხარის არა აბსტრაქტულ წარმომადგენლებთან, არამედ რეალურ ადამიანებთან, მათ ემოციებთან, ჩვევებთან, სტერეოტიპებთან, განსაზღვრული ფასეულობებისადმი ერთგულებასთან, კომუნიკაციურ გამოცდილებასთან.

ფუნდამენტურ კოლექტიურ მონოგრაფიაში "პიროვნებათაშორისი კომუნიკაციები" წარმოდგენილია კვლევების ფართო ფრონტი, რომლებიც ძირითადად კომუნიკაციური თეორიებისაგან შედგება. მაგალითად, პიროვნებათაშორისი კომუნიკაციური პროცესების სიღრმისეული სტრუქტურა მოიცავს დროებით ცვლილებებს, ციკლებს, პერიოდებს, რითმებს. ადამიანს აქვს მრავალმხრივი შემეცნება, ისინი ერთიმეორესთან ურთიერთობენ სისტემური პარტნიორების მეშვეობით, რომლებიც აიღება და პროვოცირდება პიროვნებათაშორისი ურთიერთზემოქმედების საფუძველზე, პიროვნებათაშორისი პროცესები შეიძლება აღწერილი იქნას ტერმინებში, შიდა მეტყველებაში, საკუთარ თავზე მეტყველებაში, რომელიც გარეგანი საუბრების, აზრობრივი წარმოსახვის, და ვიზუალიზაციის მსგავსია და რომელიც შეიძლება გრძელდებოდეს მხოლოდ წუთის რაღაც ნაწილში.

მოცემული მოსაზრება ეხმიანება კომუნიკაციის ფილოსოფიურ განმარტებას, რომლის თანახმადაც "ეს არის ურთიერთობა, რომლის მეშვეობითაც "მე" თავის თავს აღმოაჩენს სხვაში" [33].


კომუნიკაციის პროცესის ძირითადი ფუნქციები მდგომარეობს სოციალური ერთიანობის მიღწევაში, მისი ყოველი ელემენტის ინდივიდუალობის შენარჩუნების პირობებში. კომუნიკაციის არსი, მდგომარეობს პარტნიორების მიერ ახალი სისტემის ჩამოყალიბებაში, სადაც ხდება მათი

ჩანაცვლება პიროვნებათაშორისი შინაარსებით. ინტერესთა თანხვედრა კომუნიკაციურ უნარებს შორის და ცნების "კომუნიკაციური საზოგადოება" ყალიბდება კომუნიკაციურ პროცესში და ხასიათდება ერთიანობით, ურთიერთკავშირის, გაცვლის, ურთიერთზემოქმედების, ურთიერთგაგების და ა.შ. თვისებებით.

ეს კი ნიშნავს კომუნიკაციის კიდევ რამდენიმე მიმართულების არსებობას. კერძოდ ესენია:

- 1) კომუნიკაცია ინფორმაციის მიღებისა და გადაცემის მიმართულებით;
- 2) ფასეულობების, შეფასებების, აღქმის პროცესების შეთანხმება.
- 3) კავშირების ორგანიზაცია ინდივიდებს შორის.

საქმის არსი



ნახ. 25. ეფექტიანი კომუნიკაციის მოდელი.

ეფექტიანი კომუნიკაციის თვალსაჩინო მოდელი, შეიმუშავა ფრიდმან შულიც ფონ ტუნმა, რომელიც წარმოდგენილია ნახ. 25-ზე.

ინფორმაციის სიგნალების მომცველობის სიფართოვე, რომელიც მომდინარეობს სხვა ადამიანიდან, არსებითი გამოხმაურება რომელიმე მათგანზე და სხვების სრული ანდა ნაწილობრივი იგნორირება დამოკიდებულია არა მარტო ამ სიგნალების ობიექტურ ცოდნაზე, კომუნიკაციის შედეგებისათვის, არამედ მათ სუბიექტურ მნიშვნელობაზე, რომელიც შეიძლება არ დაემთხვეს მის ობიექტურ მნიშვნელობას. კომუნიკაციის უნარის არსის თავისებურ გაგებაში ა.ა. ბოდალევი მიიჩნევს, რომ ურთიერთზემოქმედების ერთ-ერთი აუცილებელი პირობა, რომელიც

პასუხობს ადამიანში ამ პროცესის ნორმალური მიმდინარეობის შესახებ წარმოდგენას, და შესაბამისად სასურველი მიზნების მიღწევას, არის ადამიანის მიერ ინფორმაციის უწყვეტი მიღება ამ პროცესში მისი საკუთარი ქმედებების შედეგების შესახებ. ეს არის ადამიანის მიერ თავისი ქცევების მართვა ქმედებების ნამდვილად განხორციელების საფუძველზე თვით-კონტროლის შინაარსის შესაბამისად და არა მათი მოსალოდნელი შესრულების მიღწევა უკუკავშირის მექანიზმის მეშვეობით.

გამოთქვამს რა სხვა ადამიანთან თავისი შეხედულებებს და განამტკიცებს მათ შესაბამისი გამომხატველობითი მოძრაობებით, აძლევს რა მათ დავალებებს, და წყვეტს რა მათთან რომელიმე პრაქტიკული ხასიათის ამოცანას, ინდივიდი უწყვეტად იღებს სიგნალს იმის შესახებ, თუ როგორ მოქმედებს იგი, როგორი შედეგებია მიღწეული მათ მიერ. მის ცენტრალურ მარეგულირებელ აპარატში სულ ყოველ დროს შემოდის ინფორმაცია გარე გარემოზე, სხვა ადამიანზე განხორციელებული ქმედებების შესახებ.

უკუ კავშირის მექანიზმის მოქმედების მეშვეობით ადამიანის სხვა ადამიანებთან ზემოქმედების მსვლელობაში მიღწეული შედეგის საფუძველზე შეიძლება საკუთარი მომდევნო ქცევის კორექტირება ახალი ზემოქმედების ხერხების გამოყენების სანაცვლოდ.

კომუნიკაციის საკითხებზე არსებული შრომის ანალიზის საფუძველზე ს.ნ. ტიდორი გამოყოფს მისი განვითარების თანმიმდევრულ ფაზებს.

პირველი ფაზა - ურთიერთმიმართულება ანუ ეს არის ფაზა, როცა ესა თუ ის პიროვნება ხდება შერჩევითი ყურადღების ობიექტი, მასზე წარმართება მთელი აღქმა განსაზღვრული მოტივის გავლენით.

მეორე ფაზა - ურთიერთგაგება. ადამიანები შეხვდნენ ერთიმეორეს თვალებით და ამ დროის შემჭიდროვებულ ინტერვალებში შეიძლება ჩართოს შეფასებითი აღქმა როგორც მოპყრობის ერთ-ერთი ფუნქციათაგანი.

მესამე ფაზა - ურთიერთ ინფორმირებულება, ანუ პარტნიორების რეაგირება კომუნიკაციებზე ერთმანეთისადმი რეაქციის ვერბალური და არავერბალური გამოხატულებით.

მეოთხე ფაზა - ურთიერთგამორიცხვა, პიროვნებათა ურთიერთშემხები პარტნიორობა გამოდის ერთიმეორის ზონებიდან და კომუნიკაცია მთავრდება.

ალბათ ყველაზე საინტერესო (და ამავდროულად ყველაზე დამახასიათებელი) კომუნიკაციური მოდელებიდან რომელიც წარმოჩენებულია საზღვარგარეთის მეცნიერებაში, არის ლ. ტეილორის მოდელი. მას შემოაქვს ურთიერთობის სამი ძირითადი კოორდინატი: "კომუნიკაციური შესაძლებლობა" (უნარები), "საბაზისო პროცესები" და "ანალიზის დონე", შესაძლებლობებს ავტორი ყოფს "სტრატეგიულებად" და "ტაქტიკურებად". ე.ი. მოსაუბრის უნარები, შესაძლებლობები გაიგოს კომუნიკაციური სიტუაცია და უნარი, რაც უზრუნველყოფს, განაპირობებს მისთვის უშუალოდ შესაძლებლობებს შევიდეს წარმატებულ კომუნიკაციაში: "საბაზისო" პროცესებიდან ავტორი გამოყოფს ოთხს, ესენია: ურთიერთობის "წარმოება", "გავრცელება", "ათვისება" და "დამუშავება". ანალიზის დონეები არის შემდეგი: "კომუნიკაციური სისტემა", "ორგანიზაციული დონე", "პიროვნებათაშორისი" და "პიროვნების შიდა" დონეები.

კომუნიკაციური უნარის შესწავლის პროცესში საინტერესოა ურთიერთობის პრობლემის კვლევის ვ.ნ. პანფეროვის 4 "მეთოდოლოგიური პრინციპი"; ასე მაგალითად:

1) კომუნიკაციური ასპექტი გულისხმობს კავშირის ძიების შესაძლო გზების შესწავლას ადამიანებს შორის როგორც ურთიერთობის საშუალება.

აქ ურთიერთობა - ეს არის ინდივიდებს შორის კონტაქტის დამყარების და განვითარების პროცესი, არსებობს ორი სახის კონტაქტი: პირდაპირი და ირიბი. ბოლო შემთხვევაში კონტაქტის გასაშუალოება ხდება რაიმე ტექნიკური საშუალებებით. ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ ადამიანის ადამიანთან უპირატესად პირდაპირ ურთიერთობაზე. კონტაქტი შეიძლება აიგოს სხვა სქემების საფუძველზეც. დავასახელოთ ზოგიერთი მათგანი: ადამიანი-ჯგუფი. ადამიანი - ადამიანი - ჯგუფი და სხვა ვარიანტები.

2) ინფორმაციული ასპექტი - ესაა სიგნალების შესწავლა, რომლებიც შემოდინ კავშირის არსებაში, მათი შინაარსისა და ფორმის თვალსაზ-

რისით. ასე მაგალითად: მეტყველებითი და სიტყვისმიერი ნიშნები (ზეპირი და წერიტი) წარმოადგენს ინფორმაციის გაცვლის წამყვან მექანიზმს, თუმცა ყოველი ცოცხალი სიტყვა, მიმართული სხვისადმი, დიდ ემოციურ ზემოქმედებას ახდენს ადამიანზე თავის ექსპრესიული შემავსებლებით - ინტონაციით, რიტმიკით, პაუზით და ა.შ. ეს ეგრეთ წოდებული პარა და ექსტრალინგვისტური სისტემები მიმიკასთან და პანტომიკასთან ერთად ე.ი. სხეულისა და სახის მოტორიკის მეშვეობით შეიძლება განხილული იქნას როგორც ინფორმაციის დამოუკიდებელი მატარებლები ანდა ინფორმაციის ნიშნისმიერი ერთეულები. ზოგჯერ ხდება, რომ ამა თუ იმ გრძნობისა და ემოციის გარეგნული გამოვლენით ჩვენ მხოლოდ ვიგებთ ადამიანის მდგომარეობას და რაც უფრო ძლიერია ეს გრძნობები, მით უფრო ძნელია მათი გამოვლენის დაფარვა, ემოციის ენა ძალზე ძველია. "ადამიანები დედამიწაზე ლაპარაკობენ სხვადასხვა ენაზე, ხოლო იცინიან და ტირიან ერთნაირად" - წერდა ი. ბონდარევი. ემოციონალური აკომპენიმენტი ქმნის ფერწერულ პალიტრას ჩვენი ურთიერთობების ერთობ ამეტყველებულ სასაუბრო ნიშნებში. კარგად შენიშნავდა ბ. შოუ, რომ "კის" ანდა "არას" დაწერა შეიძლება ერთხელ, ხოლო თქმა შეიძლება მრავალი შეფერილობით.

3) გნოსტიკური ასპექტი. აღქმის პროცესების შესწავლა და სიგნალების ინტერპრეტაცია, რომელიც შემოდის კავშირგაბმულობის არხებით. ერთი ადამიანიდან მეორეზე. ყოველი ხელმძღვანელისათვის აუცილებელია ჩამოაყალიბოს საკუთარ თავში, ერთის მხრივ, სიტყვით და გრძნობით მართვის უნარი, ხოლო მეორეს მხრივ, ხელოვნება იმისა, რომ ფრთხილად ასახოს თავისი ხელქვეითის ამა თუ იმ ფსიქოლოგიური მდგომარეობის გარეგანი გამოვლენის მთლიანი გამა და სწორად გაიგოს, სულის ეს მოძრაობები როდის არის სრულ შესაბამისობაში მეტყველების არსთან და როდის არ არის ეს სიწრფელე (გულწრფელობა).

4) ურთიერთობის შედეგობრივი ასპექტი გულისხმობს ადამიანების ქცევის შესწავლას მათ მიერ ათვისებული ცნობების ზემოქმედების მიხედვით, რომელიც გადმოცემული იქნა კავშირის ამა თუ იმ არხის

მეშვეობით. აქ აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ურთიერთობა - ეს არის ურთიერთდამოკიდებულების სისტემის ჩამოყალიბება, განვითარების და გამოვლენის პროცესი, რომელიც ყალიბდება ადამიანის ჯგუფებსა და ცალკეულ ინდივიდებს შორის. ურთიერთობა არის ამა თუ იმ დამოკიდებულების რეალიზაციის პროცესი: გამოვყოფთ ურთიერთობის ოთხ, ყველაზე უფრო გავრცელებულ სახეს. ასე მაგალითად, არსებობს უარყოფითი დამოკიდებულება, რომელიც რეალიზდება ურთიერთობის დადებით ფორმაში. უდიდეს თავზიანობას და ყურადღების ეტიკეტის მთელი ნაკრების დემონსტრირებას ვახდენთ ისეთ ადამიანთან შეხვედრისას, რომლის მიმართ გავგაჩნია შინაგანი ანტიპატია. მეორე შემთხვევაში უარყოფითი დამოკიდებულება ვლინდება ურთიერთობის უარყოფითი ნიშნით. ლაკონურად, ეს არის ღია მტრობა. მესამე ტიპი - ესაა დადებითი ურთიერთობა რომელიც რეალიზდება ურთიერთობაში დადებითი ნიშნით. როგორც წესი, ეს არის წრფელი, მყარი ურთიერთ სიმპათიის შემთხვევა, თუმცა შეიძლება იგი ერთმხრივი (ცალმხრივი იყოს). და ბოლოს მეოთხე ტიპი - გარკვეულად, რამდენადმე პარადოქსალური ჯანსაღი აზრის პოზიციიდან, ადამიანისადმი დადებითი დამოკიდებულება აქ ვლინდება, რეალიზდება ურთიერთობის პროცესში უარყოფითი ნიშნით, ურთიერთობებისა და დამოკიდებულებების შეთანაწყობის აღნიშნულ მრავალფეროვნებაში ვლინდება ადამიანებს შორის ურთიერთდამოკიდებულების ცოცხალი დინამიკის უსასრულო სურათი.

მ.ს. კაგანი მივიდა დასკვნამდე, რომ ურთიერთობა შეიძლება იყოს საქმიანობის ასპექტიც, ტიპიც და სახეობაც, საქმიანობის ხასიათის და თეორეტიკოსის მიერ მასზე გამოთქმული თვალსაზრისის შესაბამისად. მუდმივია ადამიანური ურთიერთობების თვით საქმიანობითი ბუნება რომელიც ვლინდება სუბიექტის ქმედების მიმართულებაში სხვა სუბიექტის მიმართ, რასაც ჩვენ ვუწოდებთ ასევე კომუნიკაციურ ჩვევებს.

ურთიერთობების (კომუნიკაციების) შესახებ თანამედროვე მეცნიერებაში არსებობს განსხვავებული განსაზღვრებების იმდენად დიდი რაოდენობა, რომ ამ ცნების დეფინაციის შესახებ საკითხი ხდება, თუ შეიძლება

ასე ითქვას, დამოუკიდებელი მეცნიერული პრობლემა, ურთიერთობათა კვლევის ცნობილი ამერიკელი თეორეტიკოსი ფრენკ დენი შეეცადა ასეთი განმარტებების სისტემატიზაცია მოეხდინა. შედეგად გამოვლინდა სამი ძირითადი "ცვლადი", სამი ნიშანი, რომელთა მიხედვითაც შეიძლება ერთი მეორისაგან განვასხვავოთ სხვადასხვა ავტორების მოსაზრებები.

- 1) ანალიზის დონე;
- 2) ინტენციის არსებობა ანდა არარსებობა კომუნიკატორის მხრიდან;
- 3) ურთიერთობის აქტის ნორმატიული შეფასების არსებობა ("კარგი" - "ცუდი", "წარმატებული" წარუმატებელი).

ა.ა. ლეონტიევის მიხედვით, ურთიერთობა ეს არის საქმიანობის ერთ-ერთი სახე და მისთვის დამახასიათებელია შემდეგი კრიტერიუმები:

1. ინტენციონალურობა - სპეციფიკური მიზანი დამოუკიდებელი ანდა სხვა მიზნებზე დაქვემდებარებული, სპეციფიკური მოტივის არსებობა.
2. შედეგიანობა - მიღწეული შედეგის დასახულ მიზანთან შესაბამისობის საზომი;
3. ნორმატიულობა-გამოხატული, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელი სოციალური კონტროლის ფაქტში ურთიერთობის აქტის მიმდინარეობით და შედეგებით.

პიროვნული მიდგომების შესაბამისად შრომის ავტორი მიიჩნევს, რომ კომუნიკაცია ეს არის კავშირი ორ ან მეტ ინდივიდს შორის, რომელიც დაფუძნებულია რომელიმე ინფორმაციის გადაცემის მათ ვერბალურ და არავერბალურ სისტემებზე და ერთიმეორის გავლენაზე.

შესანიშნავად ასახა კომუნიკაციური უნარის მნიშვნელობა არტურ ჰეილიმ, აღნიშნავდა რა, რომ: "არიან ადამიანები, რომლებიც ცდილობენ გამოეყონ სხვებს მაღალი კედლით, და თავად ოცნებობენ, რომ თქვენ ეს კედელი დაანგრით, და თქვენ ამას თუ ვერ გააკეთებთ, მაშინ ვერასოდეს ვერ შეიცნობთ ამ კედლის იქეთ მცხოვრებ ადამიანს" [34]. ამას ადასტურებს ერის ფრომიც, რომელიც თვლის, რომ ერთ-ერთი ეგზოსტენციალური დიხოტომია არის წინააღმდეგობა ადამიანურ მარტოობასა და სოციალური კავშირების მრავალრიცხოვნობას შორის. ადამიანი თავის თავთან მარტო

უნდა დარჩეს, როცა საჭიროა გადაწყვეტილების მიღება ანდა დასკვნის გამოტანა და იხელმძღვანელოს მხოლოდ საკუთარი გონების კარნახით, და ამავე დროს, ადამიანი ვერ იტანს მარტოობას, არ შეუძლია კავშირი არ დაამყაროს სხვა ადამიანებთან.

ემყარებოდნენ რა ა.ნ. ივაშოვას, ე.ვ. ზაიკის, მ.ი. ირიადოვას კვლევებს, წარმოდგენილი ნაშრომის ავტორები გვთავაზობენ კომუნიკაციური უნარების სამ კომპონენტთან სტრუქტურას, რომელიც მოიცავს:

1. საკუთარი პოზიციები ურთიერთობებში, რომელზედაც ადამიანი აგებს ურთიერთობას თავის პარტნიორებთან;

2. სხვა ადამიანების უპირატესი პოზიციები, რომელთა გათვალისწინებითაც ადამიანი ახდენს ღრმა ურთიერთდამოკიდებულის დამყარებას;

3. ურთიერთდამოკიდებულების სიღრმის ხარისხი, რომელზედაც ადამიანი ორიენტაციას იღებს ურთიერთობებში.

აქ აუცილებლად გათვალისწინებული უნდა იქნას რეალური მდგომარეობა, ანუ როგორია ისინი (კომუნიკაციური უნარები), სინამდვილეში დღეისათვის, ხოლო სასურველი მდგომარეობაა ის, როგორი წარმოდგენია ადამიანს მათი აღქმა მომავალში იდეალურად.

მთლიანად, შეიძლება, მინიმუმი, წარმოდგენილი იქნას შემდეგი ფორმებით:

1) მონაწილეთა მიზნები და სიტუაციის მიზნობრივი სტრუქტურა-ადამიანები ერთვებიან ურთიერთობებში სხვადასხვა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. მოთხოვნები ურთიერთობების მოტივების მეშვეობით აყალიბებენ ურთიერთობების მიზნებსა და ქვემიზნებს, რომლებიც მჭიდროდ არიან რა ერთმანეთთან დაკავშირებული, აყალიბებენ სიტუაციის მიზნობრივ სტრუქტურას;

2) სიტუაციაში მონაწილეობის წესები და ნორმები - წესების, ნორმატივების ერთიანობა აყალიბებს ქცევის როლური მოდელების რთულ კომპლექსებს, სცენარების შესაძლო ვარიაციებით, რომელიც აერთიანებს ურთიერთობის ორივე მხარეს. ადამიანების ქმედებების თითქმის ყველა


სფერო რეგლამენტირდება წესებით. ფორმალურ დონეზე წესები ასევე შეიძლება ჩაიწეროს ინსტრუქციებში და გულისხმობს მათი დაცვის მკაცრ პროცედურას;

3) მონაწილეთა როლი - ურთიერთობის ყოველი სიტუაცია შეიძლება შეიცავდეს ქცევის რიგ როლურ სტანდარტებს - ეს როლები შეიძლება იყოს ურთიერთშეთანხმებულები დინამიკაში, სადაც დომინირებს ხან ერთი, ხან მეორე როლი იმისგან დამოკიდებულებით, თუ როგორ ვითარდება ურთიერთობა და როგორ როლში ურთიერთობენ თანამოსაუბრეები;

4) ქმედებების რეპერტუარი - ეს პირველ რიგში არის ადამიანის მეტყველებითი ქცევა, ასევე არამეტყველებითი აქტივები. ქმედებების რეპერტუარი მოიცავს ზოგიერთ ქცევით აქტებს, რომლებიც განსაზღვრულ აზრს იძენს მათი მონაცვლეობისა და თანმიმდევრობითი თვალსაზრისით. გამოიყოფა ისეთი სტანდარტები, როგორცაა ლაპარაკი - მოსმენა - კითხვა - პასუხი. ეს სტანდარტები გულისხმობენ ურთიერთობათა კულტურის განსაზღვრულ ჩვევებსა და უნარებს.

ადამიანთა კომუნიკაციის შედეგი არის მათი ურთიერთობები ეფექტიანობის სხვადასხვა ხარისხით - რა იქნა მიღწეული, რა არ იქნა მიღწეული, რატომ არ გამოვიდა, რა შეცდომებმა შეუშალა ხელი (იხ.ნახ.26).

შიდა გარემოებები	გარე გარემოებები:
რატომ? (მოტივი)	რა? (შინაარსის, ფორმის აზრის, განზრახვის მქონე შეტყობინება)
რისთვის?(მიზანი)	სად? (მოქმედების ადგილი)
	როდის? (დრო)



ნახ.26. კომუნიკაცია და მისი შემადგენლები

კომუნიკაციებზე საუბრისას, არ შეიძლება არ შევეხოთ კომუნიკაციურ ბარიერებს, ანუ განსხვავებებს პიროვნულ ერთგვაროვან

თავისებურებებში, რაც ხელს უშლის ადამიანებს შორის სრულფასოვან ურთიერთობებს. გამოყოფენ შემდეგ კომუნიკაციურ ბარიერებს:

1) სიმბოლური - ერთი და იგივე მოვლენას (სიტყვა, ფრაზა, შემთხვევა) აქვს სხვადასხვა აზრი სხვადასხვა ადამიანისათვის;

2) მორალური - განსხვავება ადამიანებს შორის მათ მიერ ათვისებული სოციალური ნორმებისა და შეზღუდვების თვალსაზრისით. აქვე მოიაზრება ასევე არასასურველი ქცევების ჩვეულებრივი "შეფუთვა" და ის ფენომენი, რომ ძალიან კარგი ადამიანი კარგავს მომხიბვლელობას, თუ მას არ გააჩნია სისუსტეები;

3) მოტივაციური - როცა მიზნები (მოთხოვნები) ურთიერთშემოქმედებაში მყოფი ადამიანებისა ერთიმეორეს არ ემთხვევა, ასევე, როცა განზრახვა არ არის დაკავშირებული განმზრახველის მოთხოვნილებებთან;

4) ინტელექტუალური - განსხვავება ინტელექტის დონეებს შორის, ქცევის სიღრმე და სიტუაციისა და მოთხოვნების გაგება, ასევე შემეცნების მითოლოგიურობა ანდა ფსიქიკის დომინირებული რეფლექტურობა რაციონალურობის საპირისპიროდ;

5) რეგიონდნოსტული - პიროვნებათაშორისი მითითებების მოქნილობის არარსებობა. აღქმის, გარდაქმნის გართულება, მოტივების სისტემის, ემოციური გამოხმაურების - არარსებობა ცვალებად გარემოში. ჩვეული სისტემების ინერცია, ჩამორჩენილობა, უძრაობა;

6) ემოციონალური - მდგომარეობების სხვადასხვაობა, ემპატიების არარსებობა, ასევე ლოგიკის, დასკვნების მიუწვდომელობა იმასთან დაკავშირებით, რომ ემოციები ყოველთვის ახშობენ აზროვნებას;

7) ესთეტიკური - მოთხოვნები ფორმისადმი, კომუნიკატორების გარეგანი სახე, ეტიკეტი.

კომუნიკატორის ამოცანა - კომუნიკაციების ეფექტიანობის საქმეში გამოიხატება იმაში, რომ თავის თავში არ მოიცავდეს ბარიერებს და დაეხმაროს სხვებს აღნიშნული ბარიერების გადალახვაში.

როგორც ჩანს, ხელმძღვანელის პროფესიონალური საქმიანობის

დამაკავშირებელი ძაფის ლეიტმოტივი არის კომუნიკაცია, ხოლო უფრო ზუსტად, კომუნიკაციური უნარები, რამდენადაც ეს პირველ რიგში, არის მუშაობა ხალხთან.

განისაზღვრება რა კომუნიკაციური უნარის უმთავრესი როლი ხელმძღვანელის პროფესიონალურ საქმიანობაში წინამდებარე ნაშრომის ავტორთა აზრით:

1) კომუნიკაციური უნარები ყალიბდება და ვითარდება უშუალოდ ადამიანური ურთიერთზემოქმედების პირობებში;

2) კომუნიკაციური უნარი - ეს არის ცოდნის, ურთიერთობათა ვერბალური და არავერბალური ჩვევების კომპლექსი;

3) კომუნიკაციის სუბიექტებიდან ყოველი მათგანი ფლობს თავის აზრობრივ არეალს ანდა ცოდნის სისტემას და სხვადასხვა ასპექტით იყენებს ინფორმაციის გადამუშავების ძირითად არხებს და სხვა ადამიანზე ზემოქმედების ხერხებს.

კომუნიკაციური უნარები სახავენ ურთიერთობების შემდეგ მიზნებს:

საკონტაქტოს - კონტაქტის დამყარება როგორც ორმხრივი მზად ყოფნის მდგომარეობა შეტყობინების მიღებასა და გადაცემასთან მიმართებაში;

ინფორმაციული - ცნობების გადაცემა და მიღება, აზრთა გაცვლა;

შემაგულიანებელი - პარტნიორის აქტიურობის წარმართვა ამა თუ იმ ქმედებების გამოვლენაზე;

საკოორდინაციო - თანაზიარი ორიენტირება და ქმედებების შეთანხმება;

ემპათიური - პარტნიორის ემოციონალური მდგომარეობის აღქმა და გაგება, ურთიერთობების მიხედვით მისი გრძნობები;

რეფლექსური - ურთიერთობაში მონაწილეთაგან ყოველი მათგანის განხილვა, თუ რა საშუალებებით და რატომ მოახდინა ესა თუ ის გავლენა სხვაზე.

ასე რომ, იმისდა მიხედვით, თუ როგორ ასახავენ და ინტერპრეტირებენ ადამიანები ქცევას, გარეგნობას და აფასებენ ერთიმეორეს,

ბევრად და მოკიდებული მათი ურთიერთემოქმედების ხასიათი და შედეგები, რომელსაც ისინი გადაიან ერთობლივ საქმიანობაში.

თუ კი ურთიერთობების კრიტერიუმად ავიღებთ პარტნიორის პიროვნებაზე ორიენტაციის ხარისხს, მაშინ შეიძლება გამოიყოს რამდენიმე ჩვენთვის შედარებით მნიშვნელოვანი ურთიერთობათა დონეები, მათი სპეციფიკური ნიშნებითა და მახასიათებლებით. მაგალითად, უმაღლესი, სულიერი დონე კუთხის სათავეში აყენებს პიროვნებას, როგორც ურთიერთობის თვითმიზანს. ამ დონეზე, ჭეშმარიტად, ნამდვილად ჰარმონიული ურთიერთობები ყალიბდება ერთიმეორის მიღებით ისეთებად, როგორებიც ისინი არიან. ურთიერთობა ამ დონეზე, რომელიც ადამიანის ინდივიდუალურობისადმი კონცენტრირებული ინტერესის მატარებელია, ყალიბდება დიალოგის და ყოველი პარტნიორის უკიდურესად ღია და თავისუფალი ფსიქოლოგიური სივრცის საფუძველზე. სწორედ ემოციონალური ურთიერთაღქმის საფუძველზე ურთიერთობის თვითმიზანზე გასვლა განაპირობებს შეთავსებადობას, როგორც პიროვნულ ფენომენს.

ურთიერთობის წილობრივი დონე პირველ რიგში, ხასიათდება იმით, რომ ურთიერთობა ადამიანთან ყალიბდება საქმიანი თვისებების მეშვეობით, რომლებიც პასუხობენ ერთობლივი საქმიანობის მოთხოვნებს. უაღრესად პიროვნული მახასიათებლები იძენენ მნიშვნელობას ეფექტიანობის და საერთო საქმის შედეგების კონტექსტში.

შემდეგი დონე - ესაა სტანდარტიზებული. ერთის მხრივ, იგი შეიძლება იყოს ადამიანების მორიგი კეთილგანწყობის გამოხატულება სიტუაციური კონტაქტისას, როცა შინაგანი სამყარო კულტურის სტანდარტების მეშვეობით რჩება ინდივიდუალურობათაშორისი სივრცის საზღვრების მიღმა. ამ კონტაქტებში ორიენტაცია და ურთიერთაღქმა, ისევე როგორც ურთიერთობის მთელი პროცესი, ემყარება ეთიკის დაუწერელ ნორმებს. ამასთან, კონტაქტში შესვლისას, ჩვენ ვაღიარებთ ადამიანების სუვერენულობას და ღირსებას ყოველ კონკრეტულ ინდივიდში, ე.ი. ვინარჩუნებთ პირველსაწყის კეთილგანწყობას და პატივისცემას ადამიანების მიმართ, მეორეს მხრივ, ურთიერთობის ეს დონე შეიძლება

გახდეს "დისკომუნიკაციის სინდრომის" გამოვლენა, რომლის არსიც იმაში მდგომარეობს, რომ მიუხედავად ზედაპირული და ფორმალურად როლური კონტაქტების სიუხვისას, ადამიანები ვერ ახერხებენ ურთიერთობებში მოთხოვნების დაკმაყოფილებას, რამდენადაც ეს ინტენსიური კონტაქტები ვერ იძენენ პიროვნულ - აზრობრივ ან ინტიმურ გახსნილობას. სტანდარტიზირებული ურთიერთობები ორიენტაციის დაბალი დონისანი არიან პარტნიორის პიროვნებასთან მიმართებაში, მასში ხშირად დომინირებს ურთიერთობების ფორმალური სტრუქტურა პიროვნული დეფორმაციის სხვადასხვა ვარიანტებთან მიმართებაში. ასე მაგალითად, ნ.ა. ბედრიაევი წერდა: "ხშირად მიმართულია რა სხვა ადამიანებისაკენ ზედაპირულად, "მე"-ს უნარი შესწევს შეატყობინოს და არა ურთიერთობაში ჩაებას" [35].

ურთიერთობის მანიპულატიური დონე დამახასიათებელია ეგოცენტრული განწყობის მქონე ადამიანებისათვის, რომლებიც არ გამოირჩევიან სიღრმისეული თვითშემეცნებით და არსებითად, ნაკლებად არიან განწყობილი შეხედონ საკუთარ თავს გარედან. მათთვის სხვა ადამიანი არის მოთამაშე, რომელსაც უნდა მოუგო ანდა ჭკუით აჯობო. სხვისი პიროვნება, როგორც განსაკუთრებული ხარისხი და მისი შინაგანი სამყარო სრულადაა იგნორირებული ანდა განზრახ დამახინჯებულია. მანიპულატორი თამაშობს ინდივიდის სისუსტეებზე და აძლევს მას "მე" ინდივიდის იმ შეფასებას, რაც აუცილებელია მოცემულ სიტუაციაში. ურთიერთობის მანიპულაციური დონისათვის ძირითადი პრინციპია მონოლოგი. მანიპულაცია და მონოლოგი საბოლოო ჯამში განაპირობებს ინდივიდის სხვაზე დამოკიდებულებას და მოუმწიფებლობას. ისინი აფერხებენ და აკნინებენ მასში პიროვნულ საწყისებს, აჩერებენ ანდა აფერხებენ მის თვითრეგულირებას ქცევის რეგრესიულ-ინფანტილურ ფაზაში.

დისჰარმონიისა და უსულგულობის ყველაზე დაბალი დონეა - პრიმიტიული. პრიმიტიული დონე დამახასიათებელია მეზრდოლი ეგოცენტრისტებისათვის. ესაა ზღვრულად დეჰუმანიზებული ურთიერთობა, რომელშიც პრიმიტიული წესები და რეაქციები ხდება ადამიანის სხვა ხალხთან ურთიერთობის ანდა ჯგუფში ურთიერთდამოკიდებულების ბაზისი. ასეთი ქცევის საილუსტრაციოდ გამოდგება ხელმძღვანელობის

ავტორიტარული ტიპი, რომლისთვისაც ხელქვეითები ესაა მორჩილი და უპიროვნებო უმრავლესობა.

პიროვნების გასვლა აქტიურ პოზიციებზე საწარმოო და სამეურნეო ცხოვრებაში მიიღწევა არამარტო მისი საკუთარი ძალისხმევით, არამედ მასთან როგორც სუბიექტთან ურთიერთობით. ეს ნიშნავს ნდობისა და პატივისცემის ახალ სტრატეგიაზე გადასვლას და შესაბამისად, თანამონაწილეობის გრძნობას.

პროფესიული საქმიანობა გულისხმობს ხელმძღვანელისაგან კომუნიკაციური უნარების გამოყენებისადმი მზადყოფნას სხვადასხვა მმართველობითი ამოცანების გადაწყვეტისას, რაც დაკავშირებულია არჩევანის, რეფლექსაციის, პიროვნულ ფუნქციებთან, აზრების ჩამოყალიბებასთან, ორგანიზაციულ და სხვა ფუნქციებთან.

სამეცნიერო ლიტერატურაში ჩამოყალიბდა ორი მიდგომა საქმიანობასთან მზადყოფნის შესწავლისადმი: ანალიტიკური-ფუნქციონალური მიდგომა, რომლის დროსაც პირველ რიგში, ავლენენ პროცესუალურ თვისებებს, რომელიც უშუალოდ მნიშვნელოვანია საქმიანობისათვის და პიროვნული მიდგომა, რომელიც გულისხმობს მზადყოფნის შესწავლას სხვადასხვა თვისებების მიმართ, რომლებიც განსხვავდებიან მათი ადგილის მიხედვით საქმიანობის რეგულაციაში. ამასთან, წამყვანი როლი ეკისრება პიროვნულ თვისებებს, რომლებიც გამოხატავენ შესაბამის საქმიანობაზე ორიენტაციას.

კომუნიკაციური უნარების გამოყენებისადმი მზადყოფნა მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებისას დაკავშირებულია პიროვნების ინდივიდუალურ თვისებებთან, მის მიერ საკუთარი პროფესიული საქმიანობის მნიშვნელობის გააზრებასთან.

კომუნიკაციური უნარების გამოყენებისადმი მზადყოფნა, ერთის მხრივ, ნიშნავს ამ საქმიანობის შინაარსისა და სტრუქტურის დაუფლებას, ხოლო მეორეს მხრივ გულისხმობს იმ პირადი თვისებების განვითარებას, რომელიც უზრუნველყოფს ამ საქმიანობის აღიარებას, მასზე ორიენტაციას და წარმატებით განხორციელებას.

კომუნიკაციური უნარების აუცილებლობის გააზრების მსოფლ-

მხედველობითი ფუნქცია დაკავშირებულია იმასთან, რომ იდეალური ხელმძღვანელის სახე ორიენტირებულია ამოცანაზე გაკეთდეს ყველაფერი მომავლის შესაფერისი ვარიანტის შესაქმნელად და საზოგადოებას არ მიეცეს შესაძლებლობა აღმოჩნდეს წარუმატებლობის მორევში. აქედან გამომდინარე შეიძლება განისაზღვროს ხელმძღვანელის ადგილი სოციალურ-საზოგადოებრივ კონტექსტში, როგორც საზოგადოებაში არსებობის თავისებური კულტურის მატარებელი. ხელმძღვანელი სრულყოფილად უნდა ფლობდეს ადამიანური ურთიერთობების ტექნოლოგიებს, რამდენადაც იგი მაგალითის მიმცემია შრომით კოლექტივში და იმაზე, თუ როგორი ფსიქოლოგიური კლიმატია ორგანიზაციაში, დამოკიდებულია მისი მუშაობის ეფექტიანობა. უნდა აღინიშნოს, რომ ცვლილებები საზოგადოებაში აისახება ადამიანის ინდივიდუალური ფასეულობების სისტემაზე, ადამიანები მოდიან სამუშაო ადგილებზე თავიანთი პიროვნული ფასეულობებით, რაც იწვევს წინააღმდეგობებს ინდივიდუალურ და ჯგუფურ ფასეულობებს შორის, ამნელებს მუშაკთა და ხელმძღვანელთა ქცევებს. აქ განსაკუთრებულ როლს ასრულებს ისეთი ფასეულობები, როგორცაა სიცოცხლე, ადამიანის ცხოველმყოფელობა, შემოქმედება. ასეთ ფასეულობებზე აღზრდილი ხელმძღვანელი არის შემოქმედი და ხელქვეითებსაც წარმართავს შემოქმედებით მუშაობაზე, ორგანიზაციის ამოცანების მთლიანობაში აღქმაზე, ადამიანის როლზე საზოგადოებაში.

ხელმძღვანელი პასუხისმგებელია არა მარტო აწყობაზე, არამედ მომავალზეც, თავისი მოვალეობების შესრულებაზე და საკუთარი ქცევების შედეგების განჭვრეტაზე. ამის ნათელი მაგალითია ნებისმიერი მმართველობითი გადაწყვეტილება, რომლის გარეშეც შეუძლებელია საერთო ორგანიზაციული ამოცანების რეალიზება.

გარდაქმნები მმართველობით კადრებში, რაც დაკავშირებულია ახალ საბაზრო ურთიერთობებთან, მენეჯერისაგან მოითხოვს თვითგამორკვევას პროფესიულ საქმიანობაში, თავის საკუთარი მმართველობის სტილის შემუშავებას, თავიანთ ცხოვრებისეულ პოზიციას კონკრეტული მმართველობითი სიტუაციებისაგან დამოკიდებულებით. ასევე პიროვნული

თავისებურებების გათვალისწინებით ფორმალური ლიდერები ირჩევენ ხელმძღვანელის ცალკეულ სტილს. მაგალითად, მკაცრად სტრუქტურირებულ ჯგუფში მათ მონაწილეებს სჭირდებათ ხელმძღვანელის დახმარება, რომელიც არა მარტო წყვეტს მმართველობით ამოცანებს, აქრობს კონფლიქტებს, არამედ სწორად ახორციელებს ურთიერთობებს ხელქვეითებთან, იცავს რა სოციალური ქცევის წესების დაცვას.

პირველადი შრომითი კოლექტივის ეფექტიანი საქმიანობის განხორციელების ერთ-ერთი მთავარი მეთოდია სხვადასხვა ქმედებების კოორდინაცია, ე.ი. მათი ისეთი განაწილება, რომ ისინი ერთიმეორეს არ ეწინააღმდეგებოდნენ, არამედ ერთი ქმედებების მომზადება მოსდევდეს სხვების ქმედებებს, რაც მთლიანობაში გარანტიაა პრაქტიკული თანმიმდევრობის ქმედებებისა მოცემულ კომპლექსში.

ამაში ვლინდება ხელმძღვანელის საორიენტაციო ფუნქცია. ტრადიციული იერარქიული ურთიერთობები რთულდება, ამიტომ ეფექტიანი მართვა მოითხოვს გავლენის ჩვევების გამოყენებას გარშემომყოფებზე, ისე რომ არ იქნას გამოყენებული პირდაპირი ბრძანებები.

მმართველობითი პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ხელმძღვანელთა უმეტესობა ცდილობს გამოიყენოს შუალედური სტილი ავტორიტარულ და ლიბერალურ სტილს შორის, ასრულებს რა ამ დროს სხვადასხვა როლს წონასწორობის მხარდაჭერის მიზნით ჯგუფის წევრებს შორის პიროვნებათაშორის ურთიერთობებში, ამ როლებს შორის გამოიყოფა შემდეგი: "ექსპერტი", "კატალიზატორი", "დირიჟორი", "ჯგუფის მონაწილის ნიმუში".

როგორც "ექსპერტი", ხელმძღვანელი ადგენს ცვალებადი პროცესების აზრებს ჯგუფში მისი დარღვევის გარეშე. როგორც "კატალიზატორი" იგი ხელს უწყობს ურთიერთობების განვითარებას ჯგუფის წევრებს შორის. როგორც ჯგუფური ქცევის "დირიჟორი", იგი წარმართავს და ვარიირებს ქვეშემდგომთა ქმედებებს, რომ თავიდან აიცილოს ზედმეტი დამაბულობა თვითონ ჯგუფის შიგნით. "ჯგუფის მონაწილის ნიმუშის" როლში ხელმძღვანელი ავლენს სოციალურად პასუხსაგებ ქცევას როგორც ჯგუფის ერთ-ერთი წევრი, ასევე აქტივობას და უნარების ფართო სპექტრს, მართვის ჩვევებისა და პიროვნების თვითრეალიზაციის შესაძლებლობებს. "ნამდვი-

ლი სპეციალისტ-მენეჯერისათვის ნათელია, რომ ამა თუ იმ როლის ათვისება გულისხმობს პასუხის გაცემას ხვალინდელი დღის მოთხოვნებსა და მოლოდინებზე. ამ მისწრაფებაში არის წარმატების გარანტი, შესაძლებლობები ყოველთვის წინ უსწრებდეს თავის ხელქვეითებს და ისინი გაიყოლოს როგორც აღიარებულმა ლიდერ - ავტორიტეტმა.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ ხელმძღვანელი გარკვეულწილად ზემოქმედებას ახდენს და აკონტროლებს ქცევის ჯგუფურ ნორმებს, რაშიც ვლინდება მისი რეგულაციური ფუნქცია.

მართვის ბევრმა ტრადიციულმა სკოლამ და მეთოდებმა ამოწურა თავიანთი შესაძლებლობები და არ პასუხობენ აწმყოსა და მომავლის გამოწვევებს. ამიტომ საჭიროა ახალი, უფრო თანამედროვე მმართველობით ხერხები და მენეჯერებმა უნდა აითვისონ სხვა მიდგომები თავიანთ ხელქვეითებთან მიმართებაში. ასეთი მიდგომა არის მენეჯერის თვითრეალიზაციის უმნიშვნელოვანესი წინაპირობა, ანუ შემფასებლობითი ფუნქცია. ხელმძღვანელი არა უბრალოდ აცნობს კოლექტივს სისტემატიზებულ ცოდნას, არამედ ცოდნის მეშვეობით ასწავლის ხელქვეითებს აზროვნებას, დამოუკიდებლად ძიებას. დასმულ კითხვებზე პასუხების პოვნას და შეფასებას, აღწევს ახალ ცოდნას, მონაწილეობს წარმოების რაციონალიზაციაში.

ზემოთჩამოთვლილი ფუნქციების გარდა, მმართველობითი ამოცანების გადაწყვეტისას უნდა აღინიშნოს ასევე კომუნიკაციური უნარების ინტეგრაციული ფუნქცია, ანუ მათი გავლენა მენეჯერის პროფესიულ საქმიანობაზე. ხელმძღვანელის მუშაკებთან მმართველობითი ურთიერთ-ზემოქმედების სისტემა გულისხმობს ფირმაში საქმიანი თანამშრომლობის ორგანიზაციას, ამ ორგანიზაციულ საფუძველზე ყალიბდება მუშაკების საქმიანი ქცევის ფენომენი, რომლითვისაც დამახასიათებელია განსაზღვრული თვისებები, რამდენადაც ხელქვეითები ჩართულნი არიან სხვადასხვა მმართველობით ციკლში. ჭეშმარიტი ბრძანების ჩამოყალიბებისათვის დამახასიათებელია ადამიანების მზარდი ერთიანობა ცხოველმყოფელობის რიგი ურთიერთდაკავშირებული პარამეტრების მიხედვით, რომელთაგან აღსანიშნავია შემდეგი:

- მიზნობრივი - საქმიანობის საერთო მიზნების დაყოფა და მიღება;

- ემოციონალური - ინტერესთა ერთიანობა, პიროვნების ერთობლივი მიღება, ჯგუფის მდგრადი დადებითი განწყობა;

- ფასზე დამოკიდებული- ცხოვრებისეული და აზრობრივი ორიენტირების დაახლოება ყოფის ძირითადი მხარეების მიხედვით;

- ორგანიზაციული - ადამიანები თვლიან, რომ მოცემულ ორგანიზაციაში მუშაობით ისინი ამ ორგანიზაციის იმიჯის მატარებლები არიან.

რაც უფრო ნაკლები ფსიქოლოგიური შეთანხმებულობა ყალიბდება მუშაკებს შორის თავიანთი შესაძლებლობების, სურვილების, ვალდებულებების და მისწრაფებებისას, მით უფრო ეფექტიანად არიან ისინი ჩართულნი მმართველობით ციკლში. ციკლების ეფექტიანობა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ გადალახავს ხელმძღვანელი რთულ და არახელსაყრელ სიტუაციებს, აქცევს რა მათ ხელსაყრელ და ოპტიმალურ სიტუაციებად. ხელმძღვანელისათვის მარტივია ამ სიტუაციებში, თუ კი მუშაკები მასთან იგივე დამოკიდებულებაში არიან, როგორც ხელმძღვანელი მუშაკებთან.

მმართველობითი სიტუაციების დაპირისპირების ეფექტი ადასტურებს მმართველობით ციკლში მუშაკთა ჩართვის მაღალ ხარისხს, ასე რომ მუშაკთა საქმიანი ქცევის ყველა ნიშანი გათვალისწინებული უნდა იქნას ხელმძღვანელის მიერ, წინააღმდეგ შემთხვევაში მმართველობითი ურთიერთშემოქმედება, როგორც სისტემა, არ აღმოცენდება, ჭეშმარიტი ბრძანების ფორმირება, როგორც ამას პროფესიონალი ხელმძღვანელების გამოცდილება ადასტურებს, ხდება ერთიანობის ხარისხთან მიმართებაში, რომელიც ფიქსირდება და დგინდება ყოველი წევრის მიერ მის ინდივიდუალურ შემეცნებაში.

აქ უკვე მუშაობს ჯგუფი, რომელმაც აირჩია გარემოს აქტიური გარდაქმნისა და პრობლემების გადაჭრის სტრატეგია. ჯგუფური გადაწყვეტილებების მიღების ტექნოლოგია პრობლემურ სიტუაციაში შედგება რამდენიმე ეტაპისაგან. ესენია:

- 1) მიზანსწრაფულობა - თავისი ქმედებების მიზნების განსაზღვრა, საჭიროა განისაზღვროს მოთხოვნები, რომლებიც ყალიბდება ჯგუფში პრობლემურ სიტუაციასთან დაკავშირებით. მათი დაკმაყოფილება არის პრობლემური სიტუაციების გადაჭრის მიზანი.

2) სიტუაციის აღწერა - ყველა პირობის გამოკვლევა, რომელშიც მოქმედებს ჯგუფი და პრობლემური სიტუაციის ჯგუფური ხელფასის სრული სურათის შექმნა, ინფორმაციისაგან, რომელსაც ფლობს ჯგუფის (გუნდის) თითოეული წევრი;

3) პრობლემის გამოყოფა. იმ პრობლემების გამოყოფა და დაჯგუფება, რომლებიც გუნდს შეაძლებინებს დასახული მიზნის მიღწევას. სიის შედგენის პროცესში შეიძლება გაირკვეს, რომ რომელიმე პრობლემა უკვე აღარ არის ისეთი მისი არააქტუალობის გამო და პირიქით, ის, რაც ადრე ჩანდა როგორც უმნიშვნელო გართულება გადაიზარდა მნიშვნელოვან პრობლემად;

4) თეორიული პროექტის შექმნა - ქმედებების დაგეგმვა გამოყოფილი პრობლემების გადასაჭრელად არა კონკრეტულ საგნებზე ოპერირებით, არამედ თეორიული ცნებებით, სიმბოლოებით და აბსტრაქციებით. ეს არის იდეალური სქემა, რომელშიც ასახულია მსგავსი პრობლემური სიტუაციების გადაწყვეტის პრინციპები და მათი რეალიზაციის გზები.

5) მუშა პროექტის შექმნა - აუცილებელი ქმედებების დეტალური, კონკრეტული აღწერა ბრძანების პრობლემათა პაკეტის გადაჭრისას, გუნდის ყოველი წევრის ვალდებულებების განსაზღვრა ამ პაკეტის რეალიზაციისას და ამ ვალდებულებების შესრულების გრაფიკის შემუშავება.

6) რეალიზაცია - პრობლემური სიტუაციის გადაჭრის შემუშავებების ნაკლოვანებების გამოვლენა, შეცდომების განსაზღვრა, სამუშაო პროექტის სრულად რეალიზაციის შეუძლებლობების გამოვლენა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ხელმძღვანელს მმართველობითი გადაწყვეტილებების გადაჭრისას უნდა შეეძლოს: კონფლიქტის გარეშე მოახდინოს გავლენა გარშემომყოფზე, ჩამოაყალიბოს და განავითაროს მუშა ჯგუფები, თავად მოახდინოს საკუთარი თავის რეალიზაცია, რეფლექსირება, ეცადოს გაამუჯობესოს კომუნიკაციური უნარები როგორც მმართველობითი საქმიანობის მთავარი ამოცანა.

დასკვნა

- დისერტაციაში შემოთავაზებული საბრუნავი კაპიტალის მართვის მაჩვენებელთა სისტემა მოიცავს ჯგუფებს, რომლებიც ახასიათებს: საბრუნავი კაპიტალის შემადგენლობისა და სტრუქტურის მაჩვენებლებს; საბრუნავ კაპიტალზე მოთხოვნის განსაზღვრის მაჩვენებლებს; საბრუნავი კაპიტალის ფორმირების წყაროების მაჩვენებლებს; საბრუნავი სახსრების ოპტიმიზაციის მაჩვენებლებს; საბრუნავი კაპიტალის გამოყენების ეფექტიანობის მაჩვენებლებს.

- საბრუნავი კაპიტალის მართვის კვლევის მეთოდოლოგიის პირველი ეტაპია საბრუნავი კაპიტალის ფორმების განსაზღვრა, რომელიც შეიძლება განხილული იქნას დაგეგმვის ხარისხის მიხედვით, როგორც ნორმირებული და არანორმირებული საბრუნავი კაპიტალი. საბრუნავი კაპიტალის ფორმირების წყაროების მაჩვენებელი შეიძლება დაიყოს საკუთარ და ნასესხებ სახსრებად.

- საბრუნავი კაპიტალის სიდიდე განისაზღვრება არა მარტო საწარმოს პროცესების მოთხოვნებით, არამედ შემთხვევითი სიდიდეებით. ამიტომ იგი შეიძლება დაიყოს მუდმივ და ცვალებად კაპიტალად. ამის გარდა საბრუნავი კაპიტალის მართვა შეიძლება წარმოდგენილი იქნას როგორც მიმდინარე აქტივების სიდიდისა და სტრუქტურის, მათი დაფარვის წყაროებისა და მათ შორის თანაფარდობის განსაზღვრა, რაც საკმარისია საწარმოს გრძელვადიანი საწარმოს ეფექტიანი ფინანსური საქმიანობის უზრუნველსაყოფად.

- საქართველოში საბრუნავი კაპიტალის ეფექტურად გამოყენების სრულყოფილად დახასიათებისათვის შემდგომი კვლევა ჩავატარეთ საქართველოს ეკონომიკისათვის მთლიანად და მისი შემადგენელი ისეთი უმნიშვნელოვანესი დარგისათვის, როგორცაა მრეწველობა, ხოლო საბრუნავი კაპიტალის მენეჯმენტის სრულყოფის მიზნისგან გამომდინარე კონკრეტული ფირმისათვის, გამოკვლევა და შესაბამისი გამოთვლები ჩავატარეთ ფირმის მაგალითზე. კერძოდ სს „ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის“ მაგალითზე.

- მრეწველობაში საბრუნავი კაპიტალის ოპტიმალური თანაფარდობის განსაზღვრისათვის შემუშავებულია ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელი. განზოგადოებულ მაჩვენებლებად, კრიტერიუმებად ავიღეთ მხოლოდ მისი ბრუნვის სიჩქარე და მასალატევადობა. დავადგინეთ, რომ მრეწველობაში წარმოებული პროდუქციის ერთი მლ.ლარით ზრდა იწვევს საბრუნავი საშუალებების ბრუნვის სიჩქარის ზრდას 33-ჯერ, ხოლო ინვესტიციების ზრდა იწვევს საბრუნავი საშუალებების ბრუნვადობის ზრდას 32-ჯერ.

- დამამუშავებელ მრეწველობაში წარმოებული პროდუქციის მოცულობის ერთი მლნ-ით ზრდა იწვევს მასალატევადობის ზრდას 127-ჯერ. მშპ-ს ზრდა ერთი მლნ.ლარით იწვევს მასალატევადობის ზრდას 47-ჯერ.

- ქვეყანაში წარმოებული პროდუქციის ზრდა და მისი რეალიზაცია ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორია. ძალზე მნიშვნელოვანი ფაქტორებია: საბაზრო ეკონომიკის განვითარება, ბიზნესის წარმართვის სიადვილე, რომელიც მცირე და საშუალო საწარმოების და მეწარმეობის განვითარებას უწყობს ხელს, ასევე ხელსაყრელი საინვესტიციო გარემო. ყველა ამ ფაქტორის გათვალისწინებით მრეწველობის ზრდის მაჩვენებლების განსაზღვრა ხდება. თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანი ეკონომიკური მაჩვენებელი, რომელიც ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონეს შედარებით სრულად ასახავს სხვა მაჩვენებლებთან შედარებით არის მთლიანი შიგა პროდუქტი, ანუ ქვეყნის მიერ საანგარიშო წელს წარმოებული პროდუქციისა და მომსახურების საბაზრო ღირებულება.

- ს.ს. ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნიდან მოპოვებული ციფრობრივი მონაცემების აღებული ცხრა მაჩვენებლიდან მხოლოდ მომუშავეთა რიცხოვნობასა და საერთო შემოსავლებს შორის აღმოჩნდა მჭიდრო კორელაციური დამოკიდებულება.

- საკითხის შესწავლამ გვიჩვენა, რომ საბრუნავი საშუალებების მართვის საქმეში ზოგიერთ საწარმოებში სრული გაუგებრობაა. ამასთან დაკავშირებით აუცილებელია თითოეულმა საწარმომ, გაერთიანებამ გაითვალისწინოს, რომ საბაზრო ურთიერთობათა პირობებში საბრუნავი საშუალებების მართვის ერთ-ერთი მთავარი საკითხი სწორედ დაგეგმვაა.

- თითოეულმა საწარმომ საფინანსო დაგეგმვის დროს თავიდან უნდა

განსაზღვროს საბრუნავი საშუალებების საჭირო ოდენობა, თუ რა ოდენობის სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის მარაგი იქნება საჭირო იმისათვის, რომ მან უზრუნველყოს პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) წარმოება და რეალიზაცია. ასევე აუცილებელია დამატებითი სეზონური საჭიროების განსაზღვრა.

- აუცილებელია განხორციელდეს კონტროლი საბრუნავი საშუალებების ეფექტიანად გამოყენებაზე. პირველ რიგში აუცილებელია ოპერატიული კონტროლის განხორციელება შემუშავებული გეგმიური მაჩვენებლების თითოეულ საწარმოო ერთეულამდე, საწარმოს ქვედანაყოფებამდე დაყვანაზე და საწარმოო ვალდებულებათა შესრულებაზე, აგრეთვე სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა მარაგის და დანახარჯის მდგომარეობაზე.

- საბრუნავი საშუალებების გამოყენებაზე კონტროლის ერთ-ერთი იარაღია საბრუნავი საშუალებების ანალიზი, რომელიც ძირითადად საბუღალტრო ბალანსის საშუალებით ხორციელდება. ანალიზმა უნდა მოიცვას ისეთი საკითხები, როგორცაა საბრუნავი საშუალებების სტრუქტურა, მათი რაციონალური განლაგება წარმოებისა და მიმოქცევის სფეროების მიხედვით, საკუთარი საბრუნავი საშუალებების, ბანკის კრედიტების გამოყენება, მარაგის და დანახარჯების მდგომარეობა, დებიტორები, კრედიტორები, საწარმოს გადახდისუნარიანობა, საბრუნავი საშუალებების ბრუნვადობა და სხვა.

- ამასთან აუცილებელია შემუშავდეს ზოგადი პრინციპები საბაზრო ურთიერთობათა პირობებში საწარმოთა საბრუნავი საშუალებების მართვის შესახებ, რაც ერთგვარი ორიენტირი იქნება საწარმოებში საბრუნავი საშუალებების მართვის ახალი სისტემის დანერგვისათვის.

- ბიზნესის ეფექტური მსვლელობის უზრუნველსაყოფად მენეჯერები უნდა ცდილობდნენ ხარჯების თავიდან აცილებას. მაშასადამე საბრუნავ კაპიტალზე მიღებული გადაწყვეტილებას არა ერთჯერადი, არამედ პერმანენტული ხასიათი გააჩნია.

- საბრუნავი კაპიტალი შემადგენელი ნაწილების ჭრილში წარმოდგენილია როგორც ნორმატიული ანუ საგეგმო მაჩვენებლების სახით. ნორმატივებს ადგენენ განსაზღვრული წლის ბოლოს ნორმირებული საბრუნავი

სახსრების ყოველი სახეობის მიხედვით. საბრუნავი კაპიტალის ფაქტიური სიდიდის ყოველგვარი გადახრა განაპირობებს უარყოფით შედეგებს; მისი სიჭარბე იწვევს საბრუნავი სახსრების გამოყენების შემცირებას, ხოლო ნაკლებობა შეიძლება გახდეს საწარმოო პროცესის ჩაშლის მიზეზი.

- ზენორმატიული თანხები განაპირობებს დამატებითი წყაროების მოზიდვას, ნიშნავს საბრუნავი კაპიტალის გაყინვას, მისი ბრუნვადობის შენელებას. საბრუნავი კაპიტალის ნორმატივების ცვლილებების გათვლა მისი ცალკეული სახეების მიხედვით შეიძლება განხორციელდეს მათი სიდიდეების შედარებით საკვლევი პერიოდის ბოლოსა და დასაწყისში. საკუთარი საბრუნავი სახსრების ზრდა, როგორც წესი, არის პროდუქციის წარმოების სიდიდის ზრდის შედეგი. ხოლო შემცირება - წარმოების მოცულობის შემცირების შედეგი, მისი სტრუქტურის შეცვლის შედეგი და დამოკიდებულია მოგების შესაძლო გადიდებაზე მიმდინარე წელს, მისი გამოყენების მიმართულებებზე.

- საბრუნავი სახსრების შევსება შეიძლება განხორციელდეს ძირითადად მიღებული მოგების ხარჯზე. მოგების თანხა აკუმულირდება საწარმოს დაგროვების ფონდში, რომელიც იქმნება წმინდა მოგებისაგან. მოგების სიდიდე, რომელიც მიდის საბრუნავი კაპიტალის შევსებაზე და საბრუნავი სახსრების ნორმატივების ზრდის დაფარვაზე, დამოკიდებულია მოგების შესაძლო გადიდებაზე მიმდინარე წელს, რომელიც მიმართულია მის გამოყენებაზე და საბრუნავი სახსრების ნორმატივების ცვლილებებზე.

- მყარი პასივები არის საკუთარის საბრუნავი სახსრების დაფარვის წყარო მხოლოდ ზრდის თანხით. მოცემული წყარო, არსებითად, არის საკრედიტო დავალიანება. დებიტორული დავალიანების დაფარვის წყარო არის საკრედიტო დავალიანება მისი სხვადასხვა სახეებით. ეს განაპირობებს ძვრებს საბრუნავი სახსრების ფორმირების წყაროების სტრუქტურაში. კერძოდ კი საკუთარი საბრუნავი სახსრებით დაბალ უზრუნველყოფას.

- საკუთარი საბრუნავი კაპიტალის საკმარისობა შეიძლება შეფასდეს საკუთარი წყაროების მარაგების უზრუნველყოფის კოეფიციენტების მეშვეობით. საკუთარი სახსრებით უზრუნველყოფის კოეფიციენტით და მარაგების ფორმირების წყაროების ავტონომიის კოეფიციენტით.

- საბრუნავი კაპიტალის გამოყენების ეფექტიანობა ახასიათებს მისი ბრუნვის სიჩქარეს და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას, რაც უფრო ჩქარა გადავა სახსრები ერთი ფორმიდან მეორეში, მით უფრო ნაკლები სახსრებია საჭირო საწარმოსათვის პროდუქციის წარმოებაზე. ბრუნვადობის მაჩვენებლები აუცილებელია.

კაპიტალის ბრუნვადობის დაჩქარების ძირითადი გზებიდან შეიძლება გამოიყოს შემდეგი:

- საწარმოო ციკლის ხანგრძლივობის შემცირება წარმოების ინტენსიფიკაციის ხარჯზე;

- მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ორგანიზაციის გაუმჯობესება წარმოების საჭირო მატერიალური რესურსებით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მიზნით და კაპიტალის მარაგის სახით არსებობის დროის შემცირებისათვის;

- პროდუქციის გადმოტვირთვის პროცესის დაჩქარება და საანგარიშგებო დოკუმენტების გაფორმება;

- სახსრების დებიტორულ დავალიანებაში ყოფნის დროის შემცირება.

ამგვარად, საერთო მასალატევადობა დამოკიდებულია წარმოებული პროდუქციის სტრუქტურაზე, ერთეული პროდუქციის წარმოებაზე დახარჯული მასალების ნორმაზე, მატერიალური რესურსების ფასებსა და პროდუქციის გასაცემ ფასებზე.

კომუნიკაციური კვლევების საფუძველზე შეიძლება გამოიყოს:

- საერთო კომუნიკაციური უნარები, რაც აუცილებელია ცხოველმყოფელობაში. ეს არის საკუთარი ქცევის, განწყობის, ყურადღების, მეტყველების მართვა.

- სოციალური კომუნიკაციური უნარები, რაც აუცილებელია პროფესიულ საქმიანობაში. აქ იგულისხმება საკუთარი თავის ფლობის, საკუთარი ემოციური მდგომარეობის კონტროლისა და კორექტირების უნარი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. მაკკონელი ვ. რ., ბრიუ ს.ლ. ეკონომიკისი. ნაწ. II, თარგმანი რუსულიდან, თბ., (მ/ა სტ.) 1993, 519 გვ;
2. მაკკონელი ვ.რ., ბრიუ ს ლ. ეკონომიკისი. ნაწ. III, . თარგმანი რუსულიდან, თბ., (მ/ასტ.) 1997, 557გვ;
3. სამუელსონი პ., ნორდჰაუსი ვ., ეკონომიკისი (სახელმძღვანელო). ძირითადი შინაარსი. თარგმანი რუსულიდან, თბ., "ჭურნ." ეკონომიკისი" ბ-კა, 1992, 240 გვ;
4. სამუელსონი პ., ნორდჰაუსი ვ., ეკონომიკისი (სახელმძღვანელო). ძირითადი შინაარსი. ტ. 1.თარგმანი ინგლისურიდან, თბ., 1999, 472 გვ;
5. სმითი ა. გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ, ტ.I, თარგმანი ინგლისურიდან, თბ, "არტანუჯი" 2004. 240გვ;
6. მარქსი კ. კაპიტალი, ტ.I თარგმანი რუსულიდან, თბ., თბ.უნ-ტის გამომცემლობა, 1989, 775 გვ;
7. ფიშერი ს. ეკონომიკა. ტომი I, თარგმანი რუსულიდან. თბ. 1997. 506გვ;
8. ძნელაძე დ. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პრობლემები თბ., (ბ.ს. დეპარტამენტი). 1991, 111 გვ;
9. ჯ.კეინსი. დასაქმების, პროცენტისა და ფულის ზოგადი თეორია. ქუთაისი. (ს/ს "სტამბა"),1995, 420გვ;
10. პ. ჩაგელიშვილი. სამრეწველო წარმოების(ფირმის) ეკონომიკა და მეწარმეობა. თბილისი. გამომცემლობა "ზეკარი", 2004, 607გვ;
11. პაპავა. გ. მეწარმეობის საფუძვლები. თბილისი. გამომცემლობა სიახლე, 2004, 69გვ;
12. კაკულია.რ. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის თეორიისა და პრაქტიკის პრობლემები. თბილისი. სოც.-ეკონ. და რეგ. პრობლემების ს/კ ინ-ტი. (შპს "პდპ"). 2003, 545გვ;
13. სტატისტიკის მოკლე კურსი. ბ. გაბიძაშვილი. თბილისი. უნივერსიტეტის გამომცემლობა. 1998,320 გვ;
14. ეკონომიკური თეორია. გ.ადეიშვილი, რ.ასათიანი. თბ. საგამომცემლო ფირმა "სიახლე"1998, 557გვ;
15. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული. ეკონომიკის აქტუალური პრობლემები განვითარების თანამედროვე ეტაპზე. თბილისი 2010. გვ. 505-508;
16. ბლანკი ი.ა. ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლები. თბ.,თბ.უნ-ტის გამ-ბა 2008, 449;
17. ზუბიაშვილი მ., მღვდელაძე ა., ტყეშელაშვილი გ. ტრანსპორტის მენეჯმენტი. „ტექ. უნივ.“ თბ., 2007.
18. ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების შესახებ (მეთოდოლოგიური მიდგომა)."შრომები". თბ., 2000;

19. რიკარდო დ. პოლიტიკური ეკონომიის და დაბეგვრის საფუძვლები. ი.ჭავჭავაძის უნ-ტის გამ-ბა, 2007.395გვ;
20. საქართველოს მთავრობის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2008-2011 წლებისათვის, თბილისი 2007;
21. მექვაბიშვილი, ე. სახელმწიფო და ეკონომიკა. თბილ. უნ-ტის გამ-ბა, 1995,76 გვ;
22. საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული. საქ. სტატისტიკის სახ. დეპარტამენტი. თბ.2006;
23. საქართველოს მრეწველობის სტატისტიკა-წელიწდეულები. თბ. 2011;
24. საქართველოს 1998 წლის 24 ეკემბრის კანონი "ფასიანი ქა ღალდების ბაზრის შესახებ".
25. საქართველოს 1999 წლის 23 ივნისის კანონი "სასაქონლო ბირჟებისა და საბირჟო ვაჭრობის შესახებ" (მუხლი 3).
26. ძნელაძე დ.საბაზრო ეკონომიკის საკითხები,თბილისი,1993,გვ.114
27. Economic Indicators, Making Sence of Indicators, Sixth Edition, Bloombering Press, Ne York, The Economist, ISBN-13: 978-1-57660-240-9 (alk. paper);
28. Reaser Methodology In Applied Economics, Organizing, Planning, and Conduc-ting Economic Reasearch Don Ethridge, Blackwell Publishing, Iowa State University of America, second Edition, 2004, ISBN-0-8138-2994-19 (alk. paper);
29. Discovering Statistics Using SPSS, SAGE Publishions Ltd, ISBN 0 76194451 6;
30. Economic Growth, David N. Well, 2005, Pearson Education, Inc. 1st edition;
31. Accounting Research Methods, Do the Facts Speak For Themselves, Wanda A. Wallace, The Deborah D. Shelton Systems Professor of Accounting Texas A & M University, IRWIN, Boston;
32. Lissack M.P. "Cjnhltxity: the scince, its vocabulary, and its pelation to organiza-tions", 1(1), 1999, სტ.114;
- 33.Черняков Д., Эффективность использования производственного потенци-ала, конечные народнохозяйственные результаты – Экон. науки, 1981, №10, ст. 89.
- 34.Смышляева Л.М., Производственный потенциал: пути повышения эффек-тивности, М., 1981, стр.3
- 35.Лукинов И., Онищенко А., Пасхавер Б. Аграрный потенциал: исчисле-ние и использование. II Вопросы экономики, 1988., №1, ст. 12-21.
36. Большаков А.С., М Михайлов В.И. Современный менеджмент: теория и практика. СПб.: Питер, 2000. ст. 31;
37. Балашов В.Г., Заложнев А.Ю., Ивашенко А.А., Новиков Д.А. Механизмы управления организационными проектами. М.: ИНУРАН, 2003. ст.45;
38. И.И. Вилкова Н.Н. Модели и механизмы внутрифирменного управления. . М.: 1994. ст.12;
39. Новиков Д.А. Курс теорий активных систем. М.: СИНТТ-г, 1999. с. 13-25;
40. Бурков В.Н. Новсеков Д.А. Как управлять проектами. М.: СИНТЕГ, 1997;
41. Меском М., Альберт М., Хедоури Ф. Основы менеджмента / пер. с англ. – М.: Дело, 1996. ст.32.

42. Кабушкин Н.И. Основы менеджмента. Минск, БГЭУ, 1996, ст.18.
43. Дафт Р.Л. Менеджмент – СПб.: Питер, 2001. ст.84-85.
44. Кабушкин Н.И. Основы менеджмента. Минск, БГЭУ, 1996, ст.19; ст.83.
45. Советский энциклопедический словарь / гл. ред. А.М. Прохоров – 4-ое изд. М.: Советская энциклопедия, 1989, ст. 211.
46. Меской М., Альберт М., Хедоури Ф. Основы менеджмента, пер. с англ. – М.: Дело, 1996, ст..767.
47. Рыбаков Л.А. Философия структур организаций: эволюционный подход. К.: АИ. 1997, ст. 108-116.
48. Рубинштейн С.А. Теория общей психологии. СПб. Питер, 2000. ст.394.
49. Советский энциклопедический словарь / Гл. ред. А.М. Прохоров – 4-ое изд. – М.: Советская энциклопедия, 1989. – ст.1379.
50. Смышляева Л.М., Производственный потенциал: пути повышения эффективности, М., 1981, стр.3.
51. Абалкин Л. Роль государства в становлении и регулировании рыночной экономики // Вопросы экономики. 1997, № 6;
52. Балабанов И.Т. Риск - менеджмент. М.: Финансы и статистика, 1996. 188 с.56.
53. Бланк И.А. Стратегия и тактика управления финансами. Киев : ИТЕМ Лтд: АДЕФ – Украина, 1996. 534 с.
54. Бусыгин А.В. Предпринимательство. М.: Инфра-М, 1997. 607 с.
55. Глухов В.В., Бахрамов Ю.М. Финансовый менеджмент. СПб .: Специальная литература, 1995. 429 с.
56. Гоголев А.Ю. О стандартах при компьютерной технологии бухгалтерского учета // Бухгалтерский учет. 1995. № 12.
57. Джон Д. Дэниелс, Ли Х. Радеба. Международный бизнес. М.: Дело Лтд, 1994. 74 с.
58. Иванов Ю.Н., Русанов Ф.М. Рынок, предпринимательство, кадры. М.: Луч, 1992, 46 с.
59. Инфраструктура малого предпринимательства в научно-технической сфере / Под ред. Ю.А. Евдокимова, Г.В. Козлова, Ю.П. Пимошенко. М., 1996, 60 с.
60. Ансофф И. Х. Стратегическое управление. М. : Экономика, 1985, 519 с.
61. Ковалев В.В. Финансовый анализ: (Управление капиталом. Выбор инвестиций. Анализ отчетности). М.: Финансы и статистика, 1996. 432с.
62. Крейнина М.А. Финансовое состояние предприятия. Методы оценки. М.: ДИС, 1997. 224 с;
63. Мазурова И.И., Романовский М.В. Условия прибыльной работы предприятия. СПб.: Изд-во СПбУЭФ, 1992. 64 с.
64. Мирошник Н.В., Гришин И.А., Перфилов И.Г. Финансово-экономические аспекты управления оборотным капиталом в предпринимательской среде региона. Волгоград: Изд-во ВолГУб 2000 148 с.
65. Ойкен Вальтер. Основные принципы экономической политики. М.: Прогресс. 1995. 494 с.

66. Стоянова Е.С., Быкова Е.В., Бланк И.А. Управление оборотным капиталом. М.: Перспектива, 1998. 130 с.
67. Лукинов И., Онищенко А., Пасхавер Б. Аграрный потенциал: исчисление и использование. // Вопросы экономики, 1988., №1.
68. Бондарь Н. П., Васюхин О. В., Голубев А.А., Подлесных В.И. Эффективное управление фирмой: современная теория и практика//СП.: Изд. дом «Бизнес-пресса», 1999.
69. Бондарь М.П.; Васюхин О.В.; Голубев А.А.; Подлесных В.И. Эффективное управление фирмой. Современная теория и практика. СП; 1999.
70. Философский энциклопедический словарь/Ред. Л.Ф. Ильичев, П.Н Федосеев др. М.: энциклопедия, 1983. 840 с.
71. Шарп У., Александр Г., Бейлт Дж. Инвестиции: Пер. с англ. М.: Инфра-М, 1998. 1028 с.
72. Бодалев А.А. Восприятие человека человеком. Л., 1965. 175 с.
73. Каган М.С. Мир общения. М., 1988. 134с.
74. Фромм Э. Человек для самого себя. Психоанализ и этика. М., 1993. 420 с.
75. Бердяев Н. О рабстве и свободе человека. М., 1972. 68с.
76. Ильенков Э.В. Что же такое личность? С чего начинается личность? М., 1993. 240 с.
77. Швальбе Б., Швальбе Х. Личность, карьера, успех: Пер. с нем. М.: Процесс, 1993. 240 с;
78. <http://www.geostat.ge>
79. www.statistics.ge
80. www.Parliament.ge
81. www.mof.gov.ge